# ლელო

№043 (12 113) 22 თებერვალი ხუთშაბათი 2007 გამოდის 1934 წლიდან ფასი 50 თეთრი


პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი. პირველი მატჩები

# ბარსელონა აღარ ვარგა

## ლიგას ახალი ჩემპიონი ეყოლება?







ტექნიკური შედეგები 15

"ბარსელონასა" და "ლივერპულის" მატჩისწინა შანსების შეფასებისას, მუდმივად იმ ფაქტს უსვამდნენ ხაზს, რომ ინგლისელთა მთავარ მწვრთნელ რაფა ბენიტესს "ნოუ კამპზე" შეხვედრა არ ჰქონდა წაგებული, ხოლო "ლივერპულს" "ბარსას" საშინაო არენაზე არცერთი გოლი არ გაეშვა.

გუშინ, ესპანელებმა ერთი ტრადიცია დაარღვიეს, როცა რეინას კარი დეკუმ აილო, მაგრამ კატალონიურმა კლუბმა რაფა ბენიტესის კომპლექსს მაინც ვერ დააღწია თავი. გამოცდილმა მწვრთნელმა აშკარად დაჯაბნა ფრანკ რაიკაარდი, გაცილებით გამართული ფეხბურთი ათამაშა თავის გუნდს და სრულიად ლოგიკური გამარჯვება მოიპოვა. გაამართლა რაფას გადაწყვეტილებამ - პიტერ კრაუჩის ნაცვლად მოთამაშე კრეიგ ბელამიმ გოლი გაიტანა და საგოლე პასიც მიითვალა.

"ბარსელონაში" კი აშკარა კრიზისია. კვლავ სამუელ ეტო'ოს გარეშე დარჩენილ გუნდს არც მეკარე უვარგა და არც დაცვა. მოედნის ცენტრი "ლივერპულმა" დაიპყრო, ხოლო შეტევების ორგანიზებისას ბევრს სცოდავდნენ რონალდინიო და ლეონელ მესი. პასიური იყო ხავიერ სავიოლა, თუმცა ერთ ეპიზოდში არგენტინელმა გაიბრწყინა და ვალდებულიც იყო გოლი გაეტანა.

თამაში ზედმეტად ფრთხილად დაიწყო, იმდენადაც კი, რომ მერვე წუთამდე მსაჯს სასტვენი არ უხმარია. შემდეგ იყო "ბარსას" აფეთქება, ზედიზედ ორი მომენტი და დეკუს გოლი... ტაიმის ბოლოს კი, მასპინძელთა დაცვა აირია - ჯერ რიისე გავიდა ვალდესთან პირისპირ, შემდეგ ბელამიმ თავით დაარტყა ახლო მანძილიდან და ბოლოს, მანვე ასევე თავურით ანგარიში გაათანაბრა.

მეორე ნახევარში "ბარსელონა" ეგრევე შეტევაში წავიდა, მაგრამ სავიოლას მიერ ზემოთნახსენები მომენტისა და დეკუს ძელსმოხვედრილი ჯარიმის მეტი, გასახსენებელია არც არაფერია. სამაგიეროდ, "ლივერპულმა" კარგად გამოიყენა თავისი შანსი - ბელამიმ მის მიერ გოლფის ჯოხით ნაცემ რიისეს უპასა და მანაც "ლივერპული" ცალი ფეხით მეოთხედფინალში შეიყვანა.

როგორც ჩანს, სერია A-ში ბატონობა საკმარისი არ არის ჩემპიონთა ლიგაში წარმატების მისაღწევად. იტალიური ფეხბურთის ახალი ისტორიის შემქმნელმა "ინტერმა" ორჯერ წაიყვანა ანგარიში "ვალენსიასთან", მაგრამ კიკე ფლორესის გუნდმა ორივე შემთხვევაში გამონახა ძალები იმისთვის, რომ ანგარიში გაეთანაბრებინა. ესპანელები არაფერში ჩამოუვარდებოდნენ მეტოქეს და "სან სიროზე" დაფიქსირებულ ფრეს ნამდვილად იმსახურებდნენ.

მშობლიურ პორტუში დაბრუნებული ჟოზე მოურინიოსთვის "დრაგაოზე" მატჩი ძალიან ცუდად დაიწყო. მე-12 წუთზე "ჩელსის" რაულ მეირელესმა გაუტანა, ერთ წუთში კი, ტრავმა მიიღო ლონდონელთა დაცვის ბურჯმა - ჯონ ტერიმ და სტუმრებს წამყვანი მცველის გარეშე მოუწია თამაშის გაგრძელება. "ჩელსი" წაგებას ინგლისური პრესის მიერ მრავალგზის გაკრიტიკებულმა შევჩენკომ გადაარჩინა. საბოლოოდ, "ლივერპულის" მსგავსად, "არისტოკრატებმაც" სერიოზული განაცხადი გააკეთეს მეოთხედფინალში გასასვლელად.

"ლიონმა" კარგი შანსი დაიტოვა იმისთვის, რომ ზედიზედ მეოთხედ ითამაშოს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში. ფრანგები რომის "ოლიმპიკოზე" ძალიან აქტიურები იყვნენ, უფრო ბევრს უტევდნენ და იმდენი მოახერხეს, რომ "რომას" ძირითადი შემადგენლობის რვა (!) ფეხბურთელს ყვითელი ბარათი მიაღებინეს.

---

INTERNATIONAL RUGBY BOARD

რეპეტიცია მსოფლიო თასის წინ

## საქართველო-ნამიბია ბუქარესტში

IRB-ის ერთა თასი ახალი ტურნირია. პირველად შარშან, პორტუგალიაში გაიმართა და მასში მხოლოდ ოთხი ნაკრები მონაწილეობდა. წლევანდელ ტურნირზე, რუმინეთში, "ბორჯღალოსნებიც" მიიწვიეს. ბუქარესტის ახალთახალი სარაგბო სტადიონი "ტინერეტულუი" "ერთა თასს" 5-16 ივნისს უმასპინძლებს. ტურნირში 6 გუნდი მონაწილეობს: არგენტინის A (მეორე ნაკრები), იტალია A, სამხრეთი აფრიკის ახალგაზრდული გუნდი (U-23, Emerging Springboks), საქართველო, ნამიბია და რუმინეთი.

გუშინ დადგინდა შეჯიბრების განრიგი. საქართველოს ნაკრები ერთ სამეულში მოხვდა არგენტინასა და რუმინეთთან და ეთამაშება მეორე სამეულის გუნდებს - ნამიბიას, "ქურციკებსა" და იტალიას.

5 ივნისს ჩვენს ნაკრებს მსოფლიო თასის წინ დიდი რეპეტიცია ექნება - ვეთამაშებით მსოფლიო თასის D ჯგუფში ჩვენს მომავალ მეტოქეს, ნამიბიას. "ბორჯღალოსნები" 10 ივნისს ახალგაზრდა "ქურციკებს" გაეჯიბრებიან, ბოლოს, 16 ივნისს კი - იტალიის მეორე ნაკრებს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

**IRB-ის ერთა თასი**

**5 ივნისი**

საქართველო-ნამიბია

არგენტინა A-იტალია A

"ქურციკები"-რუმინეთი

**10 ივნისი**

საქართველო-"ქურციკები"

არგენტინა A-ნამიბია

იტალია A-რუმინეთი

**16 ივნისი**

საქართველო-იტალია A

ნამიბია-რუმინეთი

"ქურციკები"-არგენტინა A

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



რალფ მინგე

ნაკრები. მწვრთნელების ვიზიტი

# მწვრთნელები ბრიტანეთში

ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბის ორმა წარმომადგენელმა **რალფ მინგემ** და **ჰაინც ტოპმიოლერმა** ბრიტანეთს მიაშურეს. 19-წლამდელთა ნაკრებებს შორის ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდში გასული ჩვენი ნაკრები 17-22 მაისს ინგლისში, "ბლექბერნის" საწვრთნელ ბაზაზე გაივლის მოსამზადებელ შეკრებას. იქიდან კი შოტლანდიაში გადავა, სადაც ელიტრაუნდის მატჩებში, ჯგუფის მასპინძელ შოტლანდიასთან, პორტუგალიასა და თურქეთთან მოუწევს დაპირისპირება.

რალფ მინგე და ჰაინც ტოპმიოლერი ჯერ ბლექბერნში გაეცნობიან იმ პირობებს, სადაც ჩვენს 19-წლამდელებს მოუწევთ მომზადება. მერე კი შოტლანდიაში შეარჩევენ სასტუმროსა და ბაზას, სადაც ჭაბუკებმა უნდა იცხოვრონ და ივარჯიშონ. ნაკრების მწვრთნელები შოტლანდიაში, 24 მარტის მატჩისთვის, ეროვნული ნაკრებისთვის სავარჯიშო პირობებსაც გაეცნობიან.

დაბოლოს, გაცნობებთ იმასაც, რომ 17 და 19-წლამდელთა ნაკრებებს შორის ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის წილისყრა, 1 მარტს ბარსელონაში გაიმართება.

**დავით ცაბაძე**

მეორე წრის წინ

სიონი

# ყაზახები დარასელიას და ბოლნისს შორის ჩადგნენ

"სიონის" ახალწვეულთაგან საქართველოს თასის მეოთხედფინალში, "ჩიხურასთან" თამაში მხოლოდ ორმა ვერ შეძლო. მიზეზი ისაა, რომ **ვიტალი დარასელიასა** და **ლევან სილაგაძის** განაცხადში შეყვანა იმ დღისთვის ვერ მოესწრო. სილაგაძესთან დაკავშირებით, პრობლემა არ არსებობს და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, იგი ჩემპიონატის მეორე წრის პირველ ტურში აუცილებლად გავა მოედანზე.

რაც შეეხება დარასელიას, მას ყარაგანდის "შახტიორი" უქმნის დაბრკოლებას. როგორც იცით, ბოლო პერიოდი მან ამ გუნდის შემადგენლობაში გაატარა და კონტრაქტით მასვე ეკუთვნის.

ყაზახეთიდან ვიტალის გათავისუფლების ფურცელი ჯერ არ ჩამოსულა. "სიონის" ხელმძღვანელობა ახლა ამის მიზეზის გარკვევას ცდილობს. არაა გამორიცხული, ფორმალობების მოგვარება ხვალისთვის ვერ მოესწროს და "ოლიმპი"-"სიონის" უპრინციპულეს მატჩში დარასელიამ მონაწილეობა ვერ მიიღოს.

აქვე გეტყვით, რომ ბოლნისელებს სატრანსფერო საქმიანობა ჯერ არ დაუმთავრებიათ და **მიხეილ ბობოხიძის** გადაბირებას ცდილობენ. შეგახსენებთ, იგი თბილისის "დინამოს" საკუთრებაა. ჯერჯერობით, ბობოხიძის მომავალი გუნდი არ გარკვეულა, მაგრამ საკმაოდ დიდია იმის ალბათობა, რომ მიმდინარე სეზონის მეორე ნახევარი მან სწორედ "სიონის" შემადგენლობაში გაატაროს.



ვიტალი დარასელია

**ლევან ჯანეზაშვილი**



ირაკლი სირბილაძე

დინამო

# სირბილაძე: დინამოს N31

ჩემპიონატის განახლებამდე თბილისის "დინამომ" კიდევ ერთი ფეხბურთელი დაიმატა. ტანმაღალი ფორვარდის **ირაკლი სირბილაძის** საკითხი, რომელიც გუნდს მეორე ანთალიური შეკრების წინ შეუერთდა, დადებითად გადაწყდა. როგორც კლუბის პრესატაშე **გიგა გვენცაძემ** გვაცნობა სირბილაძე ამ სეზონს "დინამოში" ჩაამთავრებს. მას 31 ნომრიანი მაისურა გადასცეს, ხოლო კლუბის განაცხადში დღეს შეიყვანენ.

შეგახსენებთ, რომ ირაკლი სირბილაძემ გასული სეზონი მოქმედ ჩემპიონ ბოლნისის "სიონში" ჩაამთავრა. მიმდინარე ჩემპიონატის პირველ წრეში კი რუსთავის "ოლიმპში" გამოდიოდა. ზამთრის პაუზისას მის ქუთაისის "ტორპედოში" გადასვლაზეც იყო საუბარი, მაგრამ საბოლოოდ გარიგება არ შედგა.

**დავით ცაბაძე**

პრესკონფერენცია

# თქვენ გელით მოგება

## ლიგა მაყურებელს იზიდავს

პროფესიული ფეხბურთის ლიგა ახალი პროექტის ხორცშესხმას იწყებს. ლიგის პრეზიდენტი **დიმიტრი რამიშვილი** სეზონის განახლებამდე საზოგადოებას შეხვდა და ახალი პროექტების პრეზენტაცია მოაწყო. ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე მაყურებლის მოსაზიდად წამახალისებელი ლატარიის გათამაშება დაიწყება.

*"ჩვენი მიზანია, საქართველოში ისევ დავნერგოთ ბილეთის ყიდვის კულტურა, სტადიონზე მაყურებელი მოვიზიდოთ. სწორედ ამ მიზანს ემსახურება წამახალისებელი ლატარიის გათამაშება. შეძენილ ბილეთებს შორის პრიზები გათამაშდება. ჩათვალეთ, რომ დღეს აქცია დაიწყო და მჯერა, იგი წარმატებული იქნება"*, - აღნიშნა რამიშვილმა.

აქციის სლოგანია - ერთად ვიზრუნოთ ეროვნულ ჩემპიონატზე. თუმცა, ეს მხოლოდ ჩემპიონატის პოპულარიზაციის პროექტის ნაწილია. უახლოეს პერიოდში სხვა პიარ-აქციები დაიწყება. ამის თაობაზე ლიგაში საუბარს ერიდებიან. აქცია შოკისმომგვრელი ეფექტს უნდა იყოსო და დეტალებს არ ამხელენ.

რამიშვილმა პროფლიგის ყოველწლიურ ჟურნალ "ლიგის" ახალი, მესამე ნომერიც წარმოადგინა.

ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **გოგი ქავთარაძემ** ლატარიის გათამაშება უმნიშვნელოვანეს მოვლენად შეაფასა: *"ლატარია ქართული ფეხბურთისთვის წინგადადგმული ნაბიჯია, რადგან მაყურებლის მოზიდვას ხელს შეუწყობს. ამას შემდეგი ნაბიჯებიც უნდა მოჰყვეს და ეს სტადიონების მოწესრიგებაა"*.

**მერაბ მამულაშვილი**



დიმიტრი რამიშვილი

ინტერვიუ ნიკოლოზ გელაშვილთან

# მეტალისტს ზაფხულში დავუბრუნდები

**საქართველოს ჩეპიონატის ბომბარდირი კარიერას დროებით ისევ საქართველოში გააგრძელებს, ნიკოლოზ გელაშვილი ხარკოვის "მეტალისტში" ისინჯებოდა, მაგრამ ორი დღის წინათ თბილისში დაბრუნდა.**

**ნიკას მიზეზები გამოვკითხეთ**

- ხარკოველებს ძალიან ცუდ დროს ჩავაკითხე. ანთალიაში უკვე მესამე შეკრებას ატარებდნენ. გუნდი, ფაქტობრივად, დაკომპლექტებული იყო და მივხვდი, იქ მე ძირითადში არავინ მათამაშებდა. თუმცა ხარკოველები შემითანხმდნენ, რომ ზაფხულში შეკრებაზე ისევ გავყვები. მოკლედ, ჩვენ ერთმანეთს ისევ უნდა შევეხმიანოთ.

**- "მეტალისტში" რამდენი საკონტროლო მატჩი ჩაატარე?**

- სულ ორი და ორივე შეცვლაზე. ეტყობა ცუდი შთაბეჭდილება არ დამიტოვებია, რადგან ზაფხულში მიწვევენ. მწვრთნელს რომ მოვეწონე, ეს თვითონ მითხრა და სიტყვას არ ვამატებ.

**- უკრაინულ გუნდში თამაშის დროს მიხვდებოდი, რა ნაკლის გამოსწორება გჭირდება უპირველესად.**

- მთავარია გამძლეობა, ჯანი და უპრობლემოდ დარჩები. თუმცა ამ ნაკლის გამოსწორებას ცოტა მეტი დრო და შრომა სჭირდება. შრომა არ მეზარება, მეტი ვარჯიშია საჭირო. მოკლედ, ჯანი მჭირდება. სამწუხაროდ, ტრენაჟორებზე ყოველთვის არ მაქვს დატვირთვის საშუალება. "ვიტ ჯორჯია" სეზონის წინ ვარჯიშობს, სეზონის მსვლელობისას კი ინდივიდუალურად თუ მოვახერხებ. თუმცა ეს ძალიან მჭირდება და აუცილებლად უნდა მოვლონიერდე.

**- ხარკოვში რომ ვერ დარჩი გულნატკენი ხარ?**

- ნაღდად არა, გუნდი დაკომპლექტებული იყო და ტყუილად ხომ არ დავრჩებოდი?

**- "მეტალისტის" გარდა, სხვა ვარიანტი არ გქონდა?**

- თავიდან კიევის "არსენალში" უნდა წავსულიყავი.

**- "ვიტ ჯორჯია" დილმელაშვილისა და ფეიქრიშვილის გარეშე სხვა გუნდი იქნება. შენი აზრით, ახლა ჩემპიონობისთვის ისევ იბრძოლებთ?**

- გაგვიძნელდება, თუმცა იმასაც ვერ ვიტყვი, რომ მათ გარეშე თამაშებს ველარ მოვიგებთ-მეთქი.

**- პირადად შენ პარტნიორი დაგაკლდება და ბომბარდირობისთვის ბრძოლა გაგირთულდება.**

- კი, ეს მართალია. დათომ დღეს ჩვენს ჩემპიონატში ყველაზე კარგად იცის პასის მიცემა. ამის მიუხედავად, ბომბარდირობა მაინც უნდა შევინარჩუნო. ჩვენ ძალიან კარგი ბიჭები გვყავს, დათუნაიშვილმა, რაზმაძემ და კვალინიძემაც კარგი პასები იციან. თუმცა ორივე რომ დარჩენილიყო, პირველობის გარანტია იმ შემთხვევაშიც არ მქონდა.



ნიკოლოზ გელაშვილი

**- ბოლო წლებში ბომბარდირებს 20 ბურთის გატანაც უჭირთ. ვითომ ძალიან დაცვითი გახდა ქართული ფეხბურთი?**

- არა მგონია, უბრალოდ აღარაა ის დრო, მარტო ერთი გუნდი რომ იყო ძლიერი. დონე გათანაბრდა და ძალიან ჭირს გატანა ან კლასი დაეცა.

**- უფრო რომელია?**

- ორივე, კლასი რომ დაეცა, რა სადავოა. ისე კი, ეჭვი არ მეპარება, მეორე წრეში გაცილებით ძნელი იქნება ბურთის გატანა.

**- ისე, საქართველოში საუკეთესოობის მსურველმა თავდამსხმელმა 20 ბურთი მაინც უნდა გაიტანო.**

-გეთანხმები, ეს ძალიან კარგი შედეგი იქნებოდა. თუმცა ძალიან ძნელია, მით უფრო, მიმდინარე ჩემპიონატში. რამდენიმე ძლიერი გუნდი ჩამოყალიბდა და იოლად ბურთს არავინ უშვებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ყაზბეგი
www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

ეროვნული ჩემპიონატი
www.pfl.ge

პროგლემა

# რა ხდებოდა და რა ხდება გურიაში?

## ლანჩხუთში კლუბის გადარჩენის ფონდი ჩამოყალიბდა

ზუსტად 17 წლის წინათ ჭადრაკის სასახლეში გამართულ ყრილობაზე ლანჩხუთის „გურიის" ფეხბურთელებმა ისტორიული სიტყვა თქვეს. საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში ალზევებული „სოფლის გუნდის" წამყვანმა მოთამაშეებმა უარი თქვეს საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობაზე და ლანჩხუთური კლუბის ხელმძღვანელობისა და ქომაგების დაუკითხავად (მათი ნების საწინააღმდეგოდაც) მხარი დაუჭირეს ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობას. მაშინ „გურიის" მოთამაშეები გმირებად შერაცხეს. იმ პერიოდში მათი ქმედება მართლაც გმირობის ტოლფასი იყო. ლანჩხუთური კლუბი ყველაზე დაზარალებული გამოდიოდა - პატარა საქმე ხომ არ იყო ფაქტობრივად წყალში ჩაყრილიყო დიდი მზადება საკავშირო ჩემპიონატისთვის, დახარჯული მილიონები... გურულთა ისტორიული სიტყვის შემდეგ უკვე არავის დარჩა წინააღმდეგობის გაწევის მორალური უფლება...

ამ ამბიდან 17 წლის შემდეგ კი, „გურიის" გადარჩენის ფონდი ჩამოყალიბდა. მისი შექმნის ინიციატივა ლანჩხუთის გამგებელსა და კლუბის დიდ ქომაგს **ლევან გიორგაძეს** ეკუთვნის. პრეზენტაციაზე გულშემატკივრები და ბიზნესმენები დაპატიჟეს. საქმოსანთა უმრავლესობამ მოსვლა ვერ მოახერხა, თუმცა დიდმა ნაწილმა ფონდის შექმნის ინიციატორებს ტელეფონით დაუდასტურა მხარდაჭერა. ფონდში მოზიდული თითოეული თეთრი მხოლოდ „გურიას" მოხმარდება. შეხვედრაზე გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ფონდის გამგეობამ პარალელურად გაარკვიოს, თუ რატომ იქცა ერთ დროს საზოგადოებრივი ორგანიზაცია სახელმწიფო ორგანიზაციად. *„ჩვენ საქართველოში პირველი პროფესიული კლუბი შევქმენით, დნეპროპეტროვსკში საგანგებოდ ჩავედით და დებულება ჩამოვიტანეთ. მეტიც, მთელ საბჭოეთში „დნეპრის" შემდეგ მეორე პროფესიული კლუბი ვიყავით. შემდეგ ის სახელმწიფო ორგანიზაციად გადაკეთდა. სანამ კლუბის მფლობელი სახელმწიფო იქნება, სპონსორის მოსვლა თითქმის გამორიცხულია. იყო დრო, როცა სახლში ნასალები ფული, 50 ათასი დოლარი კლუბში მოვიტანეთ, მაგრამ „გურია" დღეს მაინც ასეთ დღეშია"* — აღნიშნა ბიზნესმენმა **ნუგზარ ჩხაიძემ**. **ალბერტ ლომაძის** აზრით, უმჯობესია ფონდს ბიზნესის კეთების უფლება მიეცეს. ეს ის ლომაძეა, ვის სახელსაც უკავშირდება 80-იანი წლების „გურიის" ტრიუმფი, რამეთუ რაიკომის მეორე მდივანს ფეხბურთის კურირება ევალა. მართალია, ორივე წინადადება მოიწონეს, მაგრამ ფონდის მოვალეობად მხოლოდ „გურიისთვის" თანხების მობილიზება განისაზღვრა. მას უხელმძღვანელებს 7-კაციანი გამგეობა, რომელიც მალალჩინოსნებიდან, ბიზნესმენებიდან და გულშემატკივრებისაგან შედგა. **გია გოგუაძის** დაყენებული თხოვნით, თავმჯდომარის პოსტი ლევან გიორგაძეს შესთავაზეს. შემოწირულობების გაღება შეუძლიათ როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს. იურიდიული პირი მინიმუმ 150 ლარით უნდა დაეხმაროს კლუბს (რა თქმა უნდა, სურვილის შემთხვევაში), ხოლო რიგით ადამიანებზე მინიმალური ტარიფი განსაზღვრული არ არის ანუ ნებისმიერ გულშემატკივარს შეუძლია ფონდის ანგარიშზე შეიტანოს ის თანხა, რამდენიც მას სურს.

პრეზენტაციაზე ითქვა, რომ თავად ფონდი საგამოძიებო საქმიანობას ვერ აწარმოებს, თუმცა შეეცდებიან, დაადგინონ, რატომ გახდა საზოგადოებრივი ორგანიზაცია სახელმწიფოს კუთვნილება. „ლელო" შეეცადა დეტალები გაერკვია: „გურიამ" ნორმალურად მხოლოდ საწყის ეროვნულ ჩემპიონატებში იასპარეზა, პირველ თასს ორი ვერცხლის მედალი მოაყოლა და ამის შემდეგ ლანჩხუთური კლუბის დაღმასვლა დაიწყო. საწყის წლებში კიდევ ახერხებდნენ „გურიის" უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებას. ვერა და ვერ იქნა 15 წლის მანძილზე გრიგოლეთის ბაზით სპონსორის დაინტერესება — უნიკალური მდებარეობის მქონე 6.5 ჰექტარ მიწას ყველა „დასაჯიჯგნად" ეტანებოდა. კლუბს ვალები დაუგროვდა, ერთ-ერთმა მევალე „საქნავთობმა" სასამართლოში იჩივლა, „გურიის" წინააღმდეგ სარჩელი მისმა ყოფილმა და იმდროინდელმა თანამშრომლებმაც შეიტანეს. სასამართლომ გრიგოლეთის ბაზა აუქციონზე გაიტანა — მყიდველი უკვე „შერჩეული" იყო, პროკურატურის მაღალჩინოსანი. მაშინ „გურია" ქომაგებმა და ჟურნალისტებმა გადაარჩინეს. სწორედ იმ დროს გამოჩნდა **აკაკი ჩხაიძე** და 100 ათასის სანაცვლოდ ბაზის 50% მიიღო. თუმცა შემდგომში რკინიგზამ სხვა პირობები აღარ შეასრულა და წესით, „გურიამ" მთლიანი წილი უნდა დაიბრუნოს. მაშინ იმასაც ამბობდნენ, რომ ის 100 ათასი მთლიანად ვალებს არ მოხმარებია და ვილაცების ჯიბეშიც „წავიდა". მართალია, ჩხაიძე თავიდან ამბობდა, რად მინდა საბაყაყიში ბაზაო, მაგრამ შემდეგ რაკი 100 ათასი გადაიხადა, ბაზისა და კლუბის ცალკე სუბიექტებად დაფუძნება მოითხოვა. *„მაშინ გადარჩენის სხვა გზა არ არსებობდა. ჩხაიძე ითხოვდა აქ ინვესტიციას რომ ჩავდებთ, მერე კლუბის გამო საფრთხე რომ არ შეექმნას, კლუბი და ბაზა ცალკე სუბიექტებად დააფუძნეთო"* — ამბობენ საქმეში ჩახედულები. სწორედ იმ პერიოდში შპს „ლანჩხუთის გურია-2000" ჩამოყალიბდა. ამით კლუბის მესვეურებმა „გურიის" წარსულის მოშორება გადაწყვიტეს და ახალი შპს ძველის სამართალმემკვიდრედ „არ გამოიყვანეს". პრინციპში, იმ დროს ამან მართლაც გაამართლა, თან ისიც აღსანიშნავია, რომ დღევანდელი „გურია" არა თასის მფლობელი კლუბის სამართალმემკვიდრე, არამედ ერთ დროს „ლოკომოტივი-2-თან" „დაძმობილებულ-გაერთიანებული" კლუბია (მაშინ ასეთი გზით მოიპოვა უმაღლესი ლიგის საგზური). დღეს კი ისე გამოდის, რომ რამაც ადრე „გურია" გადაარჩინა, ახლა პრობლემად იქცა. თან რკინიგზა 50%-ს ისევ ფლობს და „გურიის" მესვეურები ამ უწყებისგან წილის დაბრუნებას იმედოვნებენ.

როგორც ხედავთ, მაგარი ჩახლართული სიტუაციაა და არა გვგონია, სახელმწიფომ, რომელიც კლუბის სოლიდურ წილს ფლობს, გრიგოლეთის 6.5 ჰექტარი იოლად დათმოს. არადა, სხვა შემთხვევაში, სპონსორიც არ დაინტერესდება. კლუბის მესვეურები არ მალავენ, რომ ყველა სპონსორი იმ წამსვე თავს იკავებს, როცა კი გაიგებს, რომ „გურიის" მნიშვნელოვან წილს სახელმწიფო ფლობს.

***P. S. ახალშექმნილი ფონდი ბიუჯეტიდან გამოყოფილ 12 ათას ლართან ერთად „გურიას" სეზონს ჩაამთავრებინებს. სამომავლოდ კი რა მოხდება, ეს გუბერნატორ-გამგებლის მარიფათზეა დამოკიდებული — ჩვენი ინფორმაციით, მიხო სვიმონიშვილი და ლევან გიორგაძე კლუბის კეთილდღეობით სერიოზულად არიან დაინტერესებულები.***

**მამუკა ქანთარია**
ლანჩხუთიდან



მათე ლვინიანიძე

ლეგიონერები

# ქართული დერბი არ შედგება

## მათეს ოპერაცია გაუკეთეს

ამ უქმეებზე გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში ერთბაშად ორი ქართული დერბი უნდა შემდგარიყო, მაგრამ...

პარასკევს, 23 თებერვალს, იენაში, **გიორგი ლომაიასა** და **მიხეილ აშვეთიას** "კარლ ცაისი" **მათე ლვინიანიძის** "მიუნხენ 1860-ს" უმასპინძლებს. მათეს ტრავმის ამბავი უკვე იცით, ბავარიელთა ქართველ მცველს "დუისბურგთან" მატჩში მარცხენა მუხლზე გარე მყესი გაუწყდა. გუშინ მას მიუნხენში ოპერაცია გაუკეთეს და თვენახევრით მოუწევს დასვენება.

"მათეს ტელეფონით უკვე ვესაუბრე. მას მიუნხენის კლინიკაში ოპერაცია გაუკეთეს. მკურნალ ექიმსაც ვესაუბრე და როგორც მითხრა, მათეს სამიდან ექვს კვირამდე მოუწევს იძულებით დასვენება. ასე რომ, საუკეთესო შემთხვევაში, ის მარტის შუა რიცხვებამდე ვერ შეძლებს ვარჯიშის დაწყებას", - გვითხრა ნაკრები გუნდების მენეჯერმა **თამაზ ბოკერიამ**.

რაც შეეხება მეორე დერბის, კვირას, 25 თებერვალს **ალექსანდრე იაშვილისა** და **ოთარ ხიზანეიშვილის** "ფრაიბურგი" **დავით სირაძის** "აუეს" დაუხვდება. გერმანული წყაროების მიერ გავრცელებულ ცნობათა თანახმად სირაძეს ანგინა აქვს. ამ მიზეზით ის ორი დღის განმავლობაში ვერ ივარჯიშებს და შესაძლოა ვერც "ფრაიბურგთან" ითამაშოს.

**დავით ცაბაძე**

# კიდევ ერთი ქართველი უცხოეთში

ქართველი ლეგიონერების რიცხვს ცოტა ხნის წინათ კიდევ ერთი ფეხბურთელი შეემატა. ქუთაისის „უნივერსიტეტის" 19 წლის ნახევარმცველი **გიორგი ჩახუნაშვილი**, რომელიც ადრე „ტორპედოშიც" თამაშობდა, ფიფას აგენტ **საშა მიტლეცკის** მეშვეობით ბელარუსში გაემგზავრა და იქაურ „სმორგონში" გაიარა სინჯები. სმორგონელთა მთავარი მწვრთნელი მინსკის „დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი **დმიტრი კონდრატიევია**, რომელმაც ჩახუნაშვილი საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე გასინჯა და მისი დატოვება გადაწყვიტა. ამჟამად ჩახუნაშვილი გუნდთან ერთად ანთალიურ შეკრებაზე იმყოფება და მომავალი სეზონისთვის ემზადება. „სმორგონი" ბელარუსის უმაღლეს ლიგაში შარშან გადავიდა და ლიგაში წარმატებულად გამოსვლა რომ შეძლოს, რამდენიმე ახალი ფეხბურთელი დაიმატა. ჩახუნაშვილის გარდა „სმორგონში" კიდევ ორი ქართველი მიიღეს - ყოფილი ბათუმის დინამოელი **სულიკო კაკაბაძე** და თბილისელი **ნიკოლოზ ზედელაშვილი**. ორივე აქამდეც ბელარუსულ კლუბებში ასპარეზობდა.

**დავით კოხრეიძე**

# კანდელაკი კვლავ სტაბილურია

როგორც იცით, "ჩერნომორეცი" **გიორგი შაშიაშვილმა** და **კახა მჟავანაძემ** დატოვეს. შესაბამისად, ოდესური კლუბის ღირსებას ქართველთაგან მხოლოდ **ილია კანდელაკილა** იცავს. სასიამოვნოა, რომ მას ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის პრობლემა არც ამჟამად აქვს.

უკანასკნელი საკონტროლო მატჩი "ჩერნომორეცმა" ვარნის "ჩერნო მორესთან" ჩაატარა და საკმაოდ ძლიერ მეტოქეს 2:0 სძლია. უკრაინელებმა გოლები პირველი ტაიმის მიწურულს და შეხვედრის დასრულებამდე 15 წუთით ადრე გაიტანეს.

რაც შეეხება კანდელაკს, მან ბულგარელებთან დაპირისპირებაში მოედანზე



ილია კანდელაკი

90 წუთი გაატარა და თანაგუნდელთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული იყო. უკრაინული პრესის ცნობით, იგი დაცვაშიც მაღალ დონეზე გარჯილა და შეტევებშიც ხშირად ამწვავებდა თამაშს.

დღეს "ჩერნომორეცი" **რევაზ გოცირიძის** ყოფილ კლუბს, ნაბერეჟნიე ჩელნის "კამაზს" გაეჯიბრება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადაიხადე სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



მოედანს მიღმა

# კამერუნიდან ჩუღურეთში ბოლნისის გავლით

## ბოიომოსა და ანას სიყვარულის ამბავი

ჩუღურეთი, ძველი თბილისისთვის დამახასიათებელი ე. წ. იტალიური ეზო, თაღიანი შესასვლელით. ეზოში, სადაც რამდენიმე ოჯახი ცხოვრობს, ერთი სხვათაგან გამორჩეულია, რომლის წევრები ბოლნისის "სიონის" კამერუნელი შავკანიანი 24 წლის მცველი ბოიომო ფრიდოლინი და ასევე 24 წლის ანა წიკლაური არიან. დიახ, ასეთი რამ უცხოეთში დღეს თითქმის აღარავის უკვირს, მაგრამ ქართული რეალობისთვის მართლაც იშვიათობაა.

ახალი, ინტერნაციონალური ოჯახის შესახებ რომ შევიტყვეთ, უმალ ბოიომოს მობილურის ნომერი მოვიძიეთ და ტელეფონით შევათანხმეთ შეხვედრა და მეორე დღეს ოჯახშიც ვეწვიეთ.

როგორც ირკვევა, ბოიომომ და ანამ ერთმანეთი ოქტომბერში, ქუჩაში გაიცნეს და თვენახევარში დაოჯახებაც გადაწყვიტეს.

### ბოიომო ფრიდოლინი:

- თვეზე მეტია, რაც ანასთან და თანაგუნდელებთან, ჩასემთან და ევოჩესთან ერთად, ამ ბინაში ვცხოვრობთ. ორი დღეა ევოჩემ სხვა ბინა იქირავა და გადავიდა. თუ არ ცდები ცენტრალური სტადიონის სიახლოვეს ცხოვრობს. იცით რატომ გადავიდა? ერთ კვირაში ცოლი ჩამოსდის კამერუნიდან. ჩვენ ერთი დიდი ოჯახივით ვიყავით. ერთმანეთთან თბილი დამოკიდებულება და სიყვარული გვაკავშირებს. ანა ჩემი მეუღლე და ჩასემისა და ევოჩეს მეგობარია. ისინი მას საკუთარი დასავით უყურებენ.

**- ჩვენი პირველი ინტერვიუ გასულ ზაფხულს შედგა. კარგად მახსოვს, კითხვაზე ქართველს ხომ არ მოიყვანდით ცოლად-თქო, უმალ თანხმობა მითხარით. სიტყვაც შეასრულეთ. ანა სად და როდის გაიცანით?**

- მაშინ თბილისში ახალი ჩამოსული ვიყავით, მაგრამ ქუჩაში არაერთი ლამაზმანი მყავდა ნანახი და უმალ დავასკვენი, რომ ქართველები ლამაზი ხალხი ხართ.

რაც შეეხება კითხვას, ერთმანეთი ქუჩაში გავიცანით, საბურთალოზე, ოქტომბერში. თავისუფალ დროს კაფეში ვხვდებოდით ერთმანეთს. მალე დავუახლოვდით ერთმანეთს და მერე დავოჯახდით კიდეც.

ანამ ინგლისური და გერმანული ენები იცის, საკმაოდ განათლებული ადამიანია. ამას გარდა ურთიერთობაში პრობლემა არასდროს გვქონია. მეც ვსწავლობ ქართულს, ბევრი რამ მესმის, მაგრამ გამართულად საუბარი ჯერ კიდევ მიჭირს.

**- სამშობლოში დარჩენილ შენი ოჯახის წევრები გაგვაცანით...**

- კამერუნში დედ-მამა და სამი ძმა მყავს. ისინი ჩემზე უმცროსები არიან.

**- მათი რეაქცია როგორი იყო, როცა გაიგეს, რომ ქართველი მოიყვანეთ ცოლად?**

- თავდაპირველად კითხვები დამაყარეს, თითქმის ყველაფერი აინტერესებდათ ქართველებისა და საქართველოს შესახებ. როცა გაიგეს, რომ ქართველები მდიდარი წარსულისა და ისტორიის, ტრადიციების მქონე, თბილი, კონტაქტური და ლამაზი ხალხია, ძალიან გაიხარეს. მოუთმენლად ელიან რძლის გაცნობას. ხშირად გვეკითხებიან თუ როდის ჩავალთ კამერუნში.

**- და როდის აპირებთ ამას?**

- ორივეს ძალიან გვინდა რაც შეიძლება მალე ჩავიდეთ კამერუნში, მაგრამ საამისოდ სათანადო დრო უნდა შევარჩიოთ. მე პროფესიონალი ფეხბურთელი ვარ, ჯერ საამისოდ არ მცალია. ახლახან ჩემპიონატი განახლდა და აქ უნდა ვიბრძოლოთ მაღალი ადგილებისთვის. შევარჩევთ მომენტს, დროს კამერუნისთვისაც გამოვნახავთ.

**- რამდენი შვილი გინდათ გყავდეთ?**

- მართალი გითხრათ შვილების რაოდენობაზე ჯერ არ გვიფიქრია... ალბათ ორი ან სამი შვილი... უფრო სამი სჯობს, გოგონაც და ვაჟებიც.

**- იქნებ თქვენი ერთი დღის რეჟიმი გვითხრათ...**

- დილით ვიღვიძებთ და ვარჯიშზე გავრბივართ. შინ რომ ვბრუნდებით ან მუსიკით ვერთობით ან კომპიუტერით. მერე კი ანას დახმარებით მე და ჩასემი ქართულს ვსწავლობთ.

**- თქვენი ოჯახის წევრები როდის აპირებენ თბილისში ჩამოსვლას?**

- ალბათ ეს წელს არ მოხერხდება. ვფიქრობ, ჩემები გაისად გვეწვევიან.


ბოიომო და ანა

**- მეუღლე თუ დაესწრება თქვენს თამაშებს?**

- ჩემს გაცნობამდე ანას ფეხბურთი ნაკლებად აინტერესებდა, მაგრამ ახლა უფრო მეტად დაინტერესდება სპორტის ამ სახეობით. რა თქმა უნდა სტადიონზეც მოვა და მიქომაგებს კიდეც. მე კი მას ლამაზი თამაშით და გოლით გავახარებ.

**- "სიონთან" რა ხანგრძლივობის კონტრაქტი გაკავშირებთ?**

- კიდევ ორი წლით ვეკუთვნი ქართულ გუნდს.

**- რამდენადაც ვიცი კათოლიკე ხართ?**

- დიახ, ჩვენ კამერუნელები ყველანი კათოლიკეები ვართ. მეუღლე კი მართლმადიდებელია.

**- ჩასემი დარჩენილა დასაოჯახებელი. იქნებ უკვე შერჩეულიც კი ჰყავს საცოლე?**

- (იცინის), გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. შესაძლოა ასეცაა. სჯობს, ამაზე თავად მას ჰკითხოთ.

**- ერთი ფრაზა გამახსენდა... ზოგისთვის მეუღლე პლანეტაა. თქვენთვის ვინ ან რაა ანა?**

- ჩემი ცხოვრების ნაწილი, პლანეტა... ჩემი სამყაროა. ის განათლებული, მოწესრიგებული და წყნარი ადამიანია. საოჯახო საქმეები უყვარს.

**- ქართულ კერძებს ხშირად გიმზადებთ?**

- კი, ძალიან მომეწონა ხინკალი, ხაჭაპური, ლობიო და სხვა ქართული კერძები, რომლებიც ქათმის ხორცითა და ყველით მზადდება. სხვათა შორის, ანას კამერუნული სამზარეულოდანაც ვასწავლი კერძების მომზადებას და კარგადაც გამოსდის. ახლა ევოჩეს მეუღლეც ჩამოვა და ოჯახებით ხშირად ვესტუმრებით ერთმანეთს.

**- დაბოლოს, საქართველოს მოქალაქეც ხომ არ გახდებით?**

- ვნახოთ. მეუღლე ქართველი მყავს. საქართველო უკვე ჩემთვის საყვარელი ქვეყანაა, ჩემი ინტერესის სფეროშია. წინააღმდეგი ნამდვილად არ ვიქნები.

### ანა წიკლაური

- პეკინის გამზირზე გავიცანით ერთმანეთი. კოტდივუარიდან ჩემი მეგობარი იყო ჩამოსული. სწორედ ის დაინტერესდა ბოიომოს გაცნობით, უნდოდა გაეგო თუ სად ცხოვრობდა.

**- შენს პროფესიასა და ოჯახის წევრებზე რას გვეტყოდით?**

- გერმანისტი ვარ, ინგლისური ენაც ვიცი. მედიცინაშიც ვერკვევი. გარკვეული პერიოდის განმავლობაში გერმანიაში ოლდენბურგში ვცხოვრობდი და ვსწავლობდი.

რაც შეეხება ჩემი ოჯახის წევრებს, მშობლები და დაოჯახებული ძმა მყავს.

**- ოჯახის წევრები როგორ შეხვდნენ თქვენი დაქორწინების ამბავს?**

- ნორმალურად. ბოიომო საკმაოდ თბილი და კეთილი ადამიანია. ჩემებსაც ძალიან მოეწონათ... ბევრი შავკანიანი მეგობარი მყავს და ჩემებს ბოიომოსთან ჩემი დაახლოებაც არ გაკვირვებიათ.

**- ჯვრისწერა ან ქორწილი ხომ არ გქონიათ?**

- არა, ქორწილი ჯერ არ გვქონია. ჯვარს კი აქ არ დაგვწერენ, რადგან ბოიომო კათოლიკეა, მე კი მართლმადიდებელი.

**- მეუღლე კამერუნში გეპატიჟებათ. წინააღმდეგი ალბათ თქვენც არ უნდა იყოთ...**

- წავალ, რატომაც არა. კამერუნი რამდენადაც ვიცი ლამაზი ქვეყანაა. გარკვეული პერიოდით ჩავალთ კამერუნში, მერე კი ისევ აქ დავბრუნდებით.

**დავით ცაბაძე**

# მალხაზს ყველა მოუთმენლად ელის

მოსკოვის "ლოკომოტივის" ოფიციალურმა ვებგვერდმა სპეციალური განყოფილება გახსნა, რომლის მეშვეობითაც კლუბის გულშემატკივრებს **მალხაზ ასათიანისთვის** მოკლე შეტყობინებების დაწერა შეუძლიათ. სულ რამდენიმე დღეში ქართველ უნივერსალს რამდენიმე ასეულმა ქომაგმა მისწერა. ცხადია, ისინი მალხაზის მიმართ უდიდეს სიყვარულსა და პატივისცემას გამოხატავენ და მას დროულად გამოჯანმრთელებას უსურვებენ. ქვემოთ რამდენიმე საინტერესო შეტყობინებას შემოგთავაზებთ და თავად მიხვდებით რას წარმოადგენს ასათიანი "ლოკომოტივისა" და მისი გულშემატკივრისთვის.

"შენ რომ არ დაშავებულიყავი, რუსეთის ჩემპიონი უთუოდ "ლოკომოტივი" გახდებოდა. მალე დაბრუნდი, ცსკა-სა და "სპარტაკს" წელს აუცილებლად ვაჯობებთ".

"ძალიან მიყვარხარ, მსოფლიოს საუკეთესო მცველი ხარ".

"ლოკომოტივმა" საკმაოდ ძლიერი მცველები, ბრანისლავ ივანოვიჩი და როდოლფო იყიდა, მაგრამ ისინი შენ ვერ შეგედრებიან".

"მახო, მალე დაგვიბრუნდი, "ლოკოსაც" და საქართველოს ნაკრებსაც ძალიან აკლიხარ".

"შენ ისეთი კეთილშობილი ადამიანი ხარ, დარწმუნებული ვარ, ოლიჩზე დაბოლმილი არ იქნები. ძალიან გთხოვ, ზაზა ჯანაშიას გზა არ გაიმეორო, ბოლომდე ფეხბურთელად დარჩი და ღმერთი აუცილებლად დაგაჯილდოებს ბრწყინვალე კარიერით".

"ამბობენ, რომ შეუცვლელი ფეხბურთელი არ არსებობს. ეს ტყულია, შენ შეუცვლელი ხარ".

"მოკლედ და კონკრეტულად - კაცი ხარ!"

"ცსკა მხოლოდ იმიტომ გახდა ჩემპიონი, რომ დაგამტვრია. დაბრუნდი და დაუმტკიცე არმიელებს, რომ შენი გატეხა შეუძლებელია!"

"ვამაყობ, რომ იმ გუნდის გულშემატკივარი ვარ, რომლის ღირსებასაც შენ იცავ".

"ვიცი, რომ "ლოკომოტივი" ძალიან გიყვარს, მაგრამ გისურვებ, თავის დროზე, რომელიმე ევროგრანდის ლიდერიც გახდე".

"მალე დაბრუნდი, "ლოკომოტივი" და საქართველო თავის საუკეთესო ფეხბურთელს მოუთმენლად ელის".

"ყოველი დღის გათენება მიხარია, იმიტომ რომ შენს დაბრუნებამდე ერთი დღით ნაკლები რჩება ხოლმე".

"შენი ტრავმის შემდეგ, "ლოკომოტივის" თამაშების უმრავლესობას აღარ დავსწრებივარ, დაუძლურებული დაცვის ყურება ხასიათს მიფუჭებდა".

"ძალიან გთხოვ, "ლოკომოტივთან" კონტრაქტი გაახანგრძლივე, ფანები მუდამ ხელის გულზე გატარებთ".

"ნებისმიერ დროს, როცა ცუდ ხასიათზე ხარ, გაიხსენე, რომ მილიონობით ადამიანს უყვარხარ, არა მარტო როგორც კარგი ფეხბურთელი, ასევე როგორც ღირსეული და კეთილშობილი ადამიანიც".

"2007 წელს "ლოკოს" გულშემატკივრებს ორი ბედნიერი დღე გაგვითენდება: დღე, როცა შენ დაგვიბრუნდები და დღე, როცა რუსეთის ჩემპიონობას ვიზეიმებთ".

"შენ "ლოკომოტივის" ავადმყოფობის ერთადერთი წამალი ხარ".


მალხაზ ასათიანი

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

საქართველოს ჩემპიონატი

# ოთხი ტურის ბრიგადები

ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო განყოფილებამ გუშინ ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის პირველი ოთხი ტურის მსაჯები დაამტკიცა. ამ სიაში ცვლილებები მხოლოდ იმ შემთხვევაში შევა, თუ რომელიმე "შავოსანმა" მოვალეობის შესრულება ავადმყოფობის ან დისკვალიფიკაციის გამო ვერ შეძლო.

რაც შეეხება "ამერი"-"დინამოს" არბიტრ ლევან კვარაცხელიას, მისი ქმედება დამაკმაყოფილებლად შეფასდა, მაგრამ როგორც ხედავთ, პირველი ტურის მსაჯებში მისი გვარი არ ფიგურირებს, მეორეში – სათადარიგო არბიტრის ფუნქციებს შეასრულებს, მთავარი მსაჯი კი მესამე ტურამდე არ იქნება.

**XIV ტური**

23 თებერვალი

**ბორჯომი–დინამო**
არბიტრი: ხარიტონაშვილი
ასისტენტები: მიქელაძე, ბერაძე
მეოთხე მსაჯი: გაგნიძე

**ბათუმი–დილა**
არბიტრი: ჭაჭუა.
ასისტენტები: რუსიშვილი, მაჩიტიძე
მეოთხე მსაჯი: კიკაჩეიშვილი

**ოლიმპი–სიონი**
არბიტრი: ფანიაშვილი
ასისტენტები: მენთეშაშვილი, გაბრიაძე
მეოთხე მსაჯი: ი. ურუშაძე

**მერანი–კახეთი**
არბიტრი: პ. დოგრაშვილი
ასისტენტები: სპიცინი, კაკაბაძე
მეოთხე მსაჯი: სანაია

**ლოკომოტივი–ზესტაფონი**
არბიტრი: მაისურაძე
ასისტენტები: ჩიგოგიძე, მოლოდინაშვილი
მეოთხე მსაჯი: გუმბერიძე

**ჩიხურა–ამერი**
არბიტრი: ხეცაძე
ასისტენტები: კოკაია, უკლება
მეოთხე მსაჯი: ზვ. ასკაროლლი

**ვიტ ჯორჯია–ტორპედო**
არბიტრი: ბეუქლიშვილი
ასისტენტები: ფიფია, თოდრია
მეოთხე მსაჯი: გუნთაძე

**XV ტური**

2 მარტი

**ამერი–ბათუმი**
არბიტრი: კრიჭაშვილი
ასისტენტები: ქუხილავა, სანოძე
მეოთხე მსაჯი: ვადაჭკორია

**სიონი–ვიტ ჯორჯია**
არბიტრი: ბუიშვილი
ასისტენტები: ჯვარიძე, მ. ურუშაძე
მეოთხე მსაჯი: გუმბერიძე

**ლოკომოტივი–ბორჯომი**
არბიტრი: ნონიკაშვილი
ასისტენტები: ჭიჭინაძე, კვეტენაძე
მეოთხე მსაჯი: კვარაცხელია

**ზესტაფონი–მერანი**
არბიტრი: სანაია
ასისტენტები: ნაკაიძე, გუდურაშვილი
მეოთხე მსაჯი: ჭაჭუა

**კახეთი–ოლიმპი**
არბიტრი: ელისაბედაშვილი
ასისტენტები: ყრუაშვილი, ბერულავა
მეოთხე მსაჯი: ხეცაძე

**ტორპედო–ჩიხურა**
არბიტრი: სილაგავა
ასისტენტები: კურტანიძე, ხუჭუა
მეოთხე მსაჯი: ბეუქლიშვილი

**დილა–დინამო**
არბიტრი: კიკაჩეიშვილი
ასისტენტები: ტეფნაძე, გ. დოგრაშვილი
მეოთხე მსაჯი: პ. დოგრაშვილი

**XVI ტური**

10 მარტი

**ბორჯომი–დილა**
არბიტრი: ფანიაშვილი
ასისტენტები: ლომსაძე, ნარმანია
მეოთხე მსაჯი: ხეცაძე

**დინამო–ამერი**
არბიტრი: ვადაჭკორია
ასისტენტები: გაბრიაძე, ფიფია
მეოთხე მსაჯი: ელისაბედაშვილი

**ბათუმი–ტორპედო**
არბიტრი: მაისურაძე
ასისტენტები: უკლება, კოკაია
მეოთხე მსაჯი: ნაკაიძე

**ჩიხურა–სიონი**
არბიტრი: კვარაცხელია
ასისტენტები: რუსიშვილი, მაჩიტიძე
მეოთხე მსაჯი: გაგნიძე

**ვიტ ჯორჯია–კახეთი**
არბიტრი: კრიჭაშვილი
ასისტენტები: გოგოლაძე, ზ. ასკაროლლი
მეოთხე მსაჯი: სანაია

**ოლიმპი–ზესტაფონი**
არბიტრი: ხარიტონაშვილი
ასისტენტები: ელიკაშვილი, თოდრია
მეოთხე მსაჯი: გუმბერიძე

**მერანი–ლოკომოტივი**
არბიტრი: ბეუქლიშვილი
ასისტენტები: შენგელია, ტეფნაძე
მეოთხე მსაჯი: სილაგავა

**XVII ტური**

17 მარტი

**მერანი–ბორჯომი**
არბიტრი: სანაია
ასისტენტები: ელიკაშვილი, ი. ურუშაძე
მეოთხე მსაჯი: ჭაჭუა

**ლოკომოტივი–ოლიმპი**
არბიტრი: პ. დოგრაშვილი
ასისტენტები: მიქელაძე, კაკაბაძე
მეოთხე მსაჯი: კიკაჩეიშვილი

**ზესტაფონი–ვიტ ჯორჯია**
არბიტრი: ვადაჭკორია
ასისტენტები: მენთეშაშვილი, ერქვანია
მეოთხე მსაჯი: ელისაბედაშვილი

**კახეთი–ჩიხურა**
არბიტრი: მაისურაძე
ასისტენტები: გუნთაძე, მოლოდინაშვილი
მეოთხე მსაჯი: ზვ. ასკაროლლი

**სიონი–ბათუმი**
არბიტრი: ხეცაძე
ასისტენტები: ჩიგოგიძე, ბერაძე
მეოთხე მსაჯი: გუმბერიძე

**ტორპედო–დინამო**
არბიტრი: ბეუქლიშვილი
ასისტენტები: მ. ურუშაძე, გუდურაშვილი
მეოთხე მსაჯი: გაგნიძე

**ამერი–დილა**
არბიტრი: ხარიტონაშვილი
ასისტენტები: ჯვარიძე, სპიცინი
მეოთხე მსაჯი: ნონიკაშვილი

## კიევის არსენალის ლიდერები თბილისში მკურნალობენ

უკრაინულ გაზეთ "კომანდაში" საკმაოდ უცნაურ ინფორმაციას წავაწყდით. კიევის "არსენალი" ანთალიაში ემზადება, გუნდის ლიდერმა **სერგეი ზაკარლიუკამ** (დონეცკის "შახტარისა" და უკრაინის ნაკრების ყოფილი წევრია) მუხლი იტკინა და ორი თვე ვერ ითამაშებს. სამკურნალოდ კი სამშობლოს ნაცვლად, საქართველოში, თანაგუნდელ **ლაშა ჯაკობიასთან** ერთად გამოემგზავრა.

ლაშა მართლა თბილისში აღმოჩნდა. *"კი მართალია, ზაკარლიუკა თბილისში მე წამოვიყვანე, რადგან აქ კარგი სპეციალისტები გვყავს - ჯერ ჩვენი ნაკრების მასაჟისტ გოგიტა ლობჟანიძესთან მყავდა, შემდეგ კი ალეკო კასრაძესთან და გუშინ კიევში გაემგზავრა"*, - გვითხრა ჯაკობიამ.

თავად ლაშა თბილისში ორიოდე დღით გაჩერდება და "არსენალს" შეუერთდება. საქართველოს ნაკრების წევრმა უკვე მოიშუშა ტრავმა და მალე თამაშსაც შეძლებს: *"გუნდთან ერთად ვარჯიში უკვე დავიწყე. დაახლოებით 10 ვარჯიში ჩავატარე და ტკივილს აღარ ვგრძნობ. ალბათ, 2-3 ტურს თუ გამოვტოვებ და მერე ვითამაშებ."*



გოგიტა გოგუა

# ციმბირში, ისიც სინჯებზე?

წლეულს ქართველ ფეხბურთელთაგან **გოგიტა გოგუას** ტრანსფერი ყველაზე მეტად გაჯანჯლდა, მისი გადასვლა შოტლანდიურ "ჰართსში" ბოლო მომენტში ჩაიშალა. ქართველი უკან, ნალჩიკის "სპარტაკში" არ დაბრუნდა და ორშაბათს ესპანეთში ციმბირულ "ტომს" შეუერთდა. ჩვენი ინფორმაციით გოგიტამ "ტომის" ხელმძღვანელობასთან პირობებზე მოილაპარაკა და იჯარით სეზონის ბოლომდე ითამაშებს ციმბირულ კლუბში. რუსული კლუბის ოფიციალური საიტის ინფორმაციით კი ქართველი ჯერ მხოლოდ ტესტირებას გადის და მისი დარჩენა-წასვლის საკითხიც ამის მერე გადაწყდება. მოკლედ, გოგუას ჯერ დასამტკიცებელი ჰქონია, რომ "ტომს" ახალ სეზონში გამოადგება. რუსეთის პრემიერლიგის საუკეთესო ახალბედის გასინჯვა ცოტა უცნაური კია, მაგრამ ჩვენ კლუბის ოფიციალური პოზიცია გაგაცანით. ჩვენს ინფორმაციას ადასტურებს "კომსომოლსკაია პრავდას" რეგიონული გამოშვება: *"კონტრაქტის პირობები გარკვეულია, მხოლოდ ფორმალური მხარეა მოსაგვარებელი. რამე სასწაული თუ არ მოხდა, გოგუა ახალ სეზონში "ტომში" ითამაშებს"*.

"ტომი" ამჟამად ესპანურ მარბელიაში იმყოფება შეკრებაზე, სადაც 23 თებერვალს საკონტროლო მატჩს გამართავს. გოგიტა გოგუას კიევის "დინამოს" წინააღმდეგ მოუწევს თამაში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| გუნდი | მიდიან | მოდიან | მზადება |
|---|---|---|---|
| ოლიმპი | კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები) რ. ონიანი (ზესტაფონი), ხოჯავა, ნაჭყებია (ამერი), სირბილაძე, მიმინოშვილი, მიქიაშვილი (ჩიხურა), გ. თოდუა ვ. კვარაცხელია, ხოხონიშვილი (ორივე-ბათუმი) | რ. ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ტორპედო) ვ. კილასონია (მწვრთნელი) მერლანი (ვეტრა, ლიტვა), რ. გოცირიძე (კამაზ, რუსეთი), არზიანი (რუბინი), ნავალოვსკი (დინამო) ჩხარტიშვილი (დინამო ერევანი), ბერუაშვილი (ტორპედო) | თბილისი |
| ვიტ ჯორჯია | დილმელაშვილი, ფეიქრიშვილი (დინამო), | კიკნაძე (ბორჯომი), იმერლიშვილი (კახეთი), ბიძინაშვილი (კახეთი) | თბილისი, თურქეთი |
| ამერი | ჩანგელია (უკრაინა) კედელაშვილი, სილაგავა, სევასტოპულო | მესხი (ჩიხურა), ნაჭყეპია (ოლიმპი), კაკაშვილი (რილსკი, ბულგ.) | ორი შეკრება ანთალიაში, |
| ზესტაფონი | იმედაძე (შახტიორი, ყარაღანდა), თურმანიძე | რ. ონიანი (ოლიმპი), ლეანდრო, ჟონატასი | თბილისი, თურქეთი |
| დინამო | ამბროზიო (გრემიო), ბობოხიძე (ზარია), ახალაია, ბაბუნაშვილი (სიონი), სტურუა (ჩიხურა), გრიგალაშვილი (ბორჯომი), მახარაძე (ჩიხურა) ნავალოვსკი , ნერგაძე (ბათუმი), გიგაური, ქუცურუა (ჩიხურა), დვალი (ჩიხურა) | დილმელაშვილი (ვიტ ჯორჯია) ზელიჩი (ავსტრალია, თავისუფალი აგენტი) კრშკო (ჟილინა), ფეიქრიშვილი (ვიტ ჯორჯია), სირბილაძე | ბაკურიანი, ორი შეკრება ანთალიაში |
| ტორპედო | ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ოლიმპი), გამეზარდაშვილი (სკონტო) ბერუაშვილი (ოლიმპი) მ. ღონღაძე (ლოკომოტივი) | კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები), კ. კვეტენაძე, მერკვილაძე, ხურცილავა, | ქუთაისი, თბილისი |
| სიონი | სიჭინავა, შავგულიძე, ბათიაშვილი, ჭიჭეიშვილი | მამალაძე, სილაგაძე, დარასელია, ბაბუნაშვილი, ექონია, კორღალიძე, სანიკიძე | დსთ-ის თასი, თბილისი |
| ლოკომოტივი | ყიფიანი, მხეიძე, ებანოიძე, ცხომარია, მენაბდე, მიხაილიდი, ალავერდაშვილი | სოსელია, წუწუნავა, მალიჩავა, სამხარაძე | ურეკი |
| ბორჯომი | ნკემი, მონგუე, ნაკანი (მერანი), მოდებაძე, კიკნაძე, ბენდელიანი, ლაბაძე | კვერნაძე, კაიდარაშვილი, კოშკაძე (ბათუმი) ლ. მერებაშვილი (ჩიხურა) საყვარელიძე, მძინარიშვილი (ორივე დილა), გრიგალაშვილი (დინამო), კაკალაძე (ჩიხურა) | ბორჯომი |
| მერანი | — | ნაკანი (ბორჯომი), კუტივაძე (მწვრთნელი), კედელაშვილი, ა. ნოზაძე | თბილისი, გურჯაანი |
| ჩიხურა | ფეხბურთელთა აბსოლუტური უმრავლესობა | სტურუა, დვალი, ქუცურუა, ჩარგეიშვილი, მახარაძე (ყველა დინამო), მ. მიქაძე | საჩხერე, თბილისი |
| ბათუმი | ა. მუჯირი (ბაქი), კოშკაძე (ბორჯომი), ნაჭყებია | ჩარგეიშვილი, კერესელიძე, ბარამიძე (დინამო 2), თურმანიძე (ზესტაფონი), შალამბერიძე (მეშაქრე) | ბათუმი |
| დილა | ბეგიაშვილი (პრეზიდენტი), მამესწარაშვილი (მწვრთნელი) | ლურსმანაშვილი (პრეზიდენტი), ვარდოსანიძე, ელიაური (მწვრთნელები), დ. ხანიშვილი, კ. ხანიშვილი, ბ. ჩიტაია, გ. ჩიტაია | გორი, თბილისი |
| კახეთი | ბიძინაშვილი, იმერლიშვილი (ორივე ვიტ ჯორჯია), ცინაძე, კევლიშვილი, სოსელია, წუწუნავა (ლოკომოტივი), კევლიშვილი (მერანი) | კუპრაშვილი (გურჯაანი) მედოევი, ე. მერებაშვილი | თელავი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერები

# მილანი და რონალდინიო: მოქმედება იწყება

## როსონერი გაუჩოს ძმასთან მოსალაპარაკებლად მზადაა

იტალიური პრესის ბოლო ცნობებით, "მილანი" მზადაა, მოლაპარაკებები წამოიწყოს **რონალდინიოს** ჩამოსაყვანად. გაუჩო "როსონერის" უპირველესი ოცნება რომაა, ეს დიდი ხანია ცნობილია. ახლა ბრაზილიელი "მილანისთვის" უკვე კონკრეტულ და ყველაზე პრიორიტეტულ სამიზნედაც გადაიქცა. მილანელთა სატრანსფერო კონსულტანტ **ერნესტო ბრონძეტის** კლუბისგან დაევალა, რომ რონალდინიოს აგენტ ძმას, **რობერტო ასისს** დაუკავშირდეს. ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი** ღიად აცხადებს, რომ "როსონერი" ძალიან არის მოწადინებული ბრაზილიელის გადაბირებით, თუკი "ბარსელონა" მის გაშვებას გადაწყვეტს. *"რონალდინიომ იცის ჩვენი დაინტერესების შესახებ და ეს "ბარსელონისთვისაც" კარგად არის ცნობილი, მაგრამ ჩვენთვის კორექტულობა მთავარია და არ გვინდა, რომ რომელიმე კლუბის ნებას შევეწინააღმდეგოთ* – თქვა გალიანიმ ორშაბათს – *არ ვიცი, ისეთმა ძლიერმა და მდიდარმა კლუბმა, როგორიც "ბარსელონაა", რატომ უნდა გადაწყვიტოს რონალდინიოს გაყიდვა, მაგრამ თუ მართლა ეს მოხდა, "მილანში" მთავარი პრეტენდენტი იქნება".*

გაუჩოს კონტრაქტი 2010 წლამდე აქვს გაფორმებული, მაგრამ მოლაპარაკებები ხელშეკრულების 2014 წლამდე გაგრძელებაზე ჯერჯერობით ჩიხშია შესული. მედიის ცნობით, ბრაზილიელი ხელფასის სახით წლიურ 13 მილიონ ევროსა და იმიჯის უფლებების 100 პროცენტს ითხოვს.



რონალდინიო

დორტმუნდი

# ვიორნსი ბორუსიაში რჩება

## ვეტერანმა მცველმა კონტრაქტი 2008 წლამდე გააგრძელა

ადრეც გაცნობეთ, რომ დორტმუნდის „ბორუსიის" ვეტერან მცველ **კრისტიან ვიორნსს** ვესტფალიურ კლუბთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურებოდა. ახლა კი გადაწყვეტილია, რომ 34 წლის ვიორნსი BVB-ში მინიმუმ კიდევ ერთ წელს გაატარებს და შავ-ყვითლების ღირსებას 2008 წლის ივნისამდე დაიცავს. მხარეები ახალ კონტრაქტზე ამ დღეებში შეთანხმდნენ და „ბორუსიამ" ეს ოფიციალურად გუშინ დაადასტურა. იმ შემთხვევაში, თუკი ორივე მხარეს ექნება სურვილი, ვიორნსის კონტრაქტი გაისად კიდევ ერთი წლით, 2009 წლამდე გაგრძელდება.

*„კრისტიანი ჩვენი გუნდის შეუცვლელი ფიგურაა და ძალიან მიხარია, რომ ახალი ხელშეკრულების გაფორმებას დათანხმდა. მისი დაკარგვა არ გვინდოდა და ბედნიერი ვარ, რომ საწადელს მივაღწიეთ,"* – განუცხადა „კიკერს" „დორტმუნდის" სპორტულმა დირექტორმა **მიხაელ ცორკმა**. ვიორნსი, რომელსაც გერმანიის ნაკრებში 66 თამაში აქვს ჩატარებული, „ბორუსიაში" 1999 წლიდან ასპარეზობს. *„მიხარია, რომ კლუბის ხელმძღვანელებმა ნდობა გამომიცხადეს. დორტმუნდიდან აბარგების სურვილი ერთი წუთითაც არ გამჩენია, რადგან ამ ხნის მანძილზე ეს გუნდი ძალიან შემიყვარდა,"* – ეს კი თვითონ ფეხბურთელის სიტყვებია, რომელსაც ბუნდესლიგაში ჩატარებული 439 თამაშიდან, 210 სწორედ BVB-ს მაისურით აქვს გამართული.

შეგახსენებთ, რომ კრისტიან ვიორნსმა კარიერა 17 წლის ასაკში, „ვალდჰოფ მანჰაიმის" შემადგენლობაში დაიწყო. მერე „ლევერკუზენისა" და პსჟ-ს ღირსებას იცავდა, საიდანაც მოხვდა კიდეც „დორტმუნდში". დღესდღეობით კრისტიანი ტრავმირებულია. მას ბუნდესლიგის მეორე წრეში ჯერ არ უთამაშია. ვიორნსისთვის კონტრაქტის გაგრძელების შემდეგ „ბორუსიის" ბოსები აქცენტს მეორე ცენტრალურ მცველზე, **კრისტოფ მეტცელდერზე** გადაიტანენ, რომელსაც ხელშეკრულების ვადა ასევე სეზონის ბოლოს ეწურება. როგორც იცით, მეტცელდერს „იუვენტუსი" ეპატიჟება.



ფრანჩესკო ფლაკი

სამპდორია. ორი სკანდალი

# ფლაკის კოკაინი აღმოაჩნდა

## ვიერის ქუჩაში ძვირფასი საათი წაართვეს

**ფრანჩესკო ფლაკის** სისხლში კოკაინის კვალი აღმოაჩნდა. "სამპდორიის" კაპიტანს დოპინგ-ტესტი 28 იანვარს, "ინტერთან" საშინაო შეხვედრის შემდეგ ჩაუტარდა. იმ დღეს ფლაკიმ მოედანზე 70 წუთი დაჰყო, მერე კი **ბონაცოლიმ** შეცვალა. გუშინ იტალიის ოლიმპიური კომიტეტის ანტისადოპინგო კომისიამ ოფიციალური განცხადება გაავრცელა, სადაც ადასტურებდა, რომ პირველი ანალიზის შედეგად ფლაკის სისხლში კოკაინის შემადგენელი ნივთიერება აღმოაჩინა. ანტისადოპინგო ლაბორატორია "სამპის" კაპიტანს ხელახალ ანალიზს ჩაუტარებს. თუმცა სანამ მისი შედეგი გახდება ცნობილი, ფედერაციამ შეიძლება, პრევენციული ზომის სახით არ მისცეს ფეხბურთელს მოედანზე გასვლის უფლება. თუ განმეორებითმა ტესტმა თავდაპირველი პასუხი დაადასტურა, ფლაკის ერთწლიანი დისკვალიფიკაცია არ ასცდება.

საინტერესოა, რომ ფლაკიმ ამ სეზონში ერთი დისკვალიფიკაცია უკვე მოიხადა. სექტემბერში ფედერკალჩოს სადისციპლინო კომისიამ სამპდორიელი ტოტალიზატორზე არალეგალურად თამაშის გამო, ფეხბურთიდან ორი თვით მოკვეთა.

ამასობაში, იტალიურმა სააგენტოებმა გაავრცელეს ცნობა, რომ **კრისტიან ვიერის** ქუჩაში დღისით-მზისით 16 ათას ევროდ ღირებული საათი Audemars Piguet წაართვეს. ინციდენტი მილანში, ვიერის კუთვნილი ფირმის Sweet Years-ის ოფისთან მოხდა. ის-ის იყო, "ატალანტას" ფორვარდმა მანქანა ავტოსადგომზე გააჩერა, როცა მას მოტოციკლეტით ორი ახალგაზრდა მიუახლოვდა. მძარცველებმა ბობოს ჯერ სახელით მიმართეს, მერე კი ხელიდან საათი წაგლიჯეს და მიიმალნენ.

ლიბერტადორესი 2007. ჯგუფური ტურნირი

**I ჯგუფი**

**ეს ნასიონალი (ეკვ)–ამერიკა (მექ) 1:2**

**ეს ნასიონალი:** ჯოვანი იბარა, ომარ დე ხესუსი, კარლოს კასტრო, პაველ საისედო, კაგუა (46. კიროსი), ერიკ დე ხესუსი, კარლოს იდალგო, ველინგტონ სანჩესი (52. ორდონიესი), ვალტერ კალდერონი, კრისტიან ბენიტესი, ივან კავიედესი (82. ვალტერ აიოვი).

**ამერიკა:** გილერმო ოჩოა, ისმაელ როდრიგესი, ხოსე კასტრო, სერვანტესი, ინიგო (46. რაულ სალინასი), სარიტამა (46. ნელსონ კუევასი), მოსკედა (79. იგნასიო ტორესი), ხერმან ვილია, არგელო, რაულ მენდოსა, სანტიაგო ფერნანდესი.

**გოლები:** 1:0 კრისტიან ბენიტესი (27), 1:1 სანტიაგო ფერნანდესი (42), 1:2 ხერმან ვილია (46)

**გაძევება:** კარლოს იდალგო (77. ეს ნასიონალი)

**მაყურებელი:** 5 000

**ლიბერტადი (პარ)–ბანფილდი (არგ) 1:0**

**ლიბერტადი:** ბავა, ბონეტი, სარაბია, პედრო ბენიტესი, ბალბუენა (54. ედგარ ბენიტესი), აკინიო (73. ოსვალდო მარტინესი), რივეროსი, გინასუ, მარინი, ბარეირო (73. ნელსონ რომერო), ერნან ლოპესი.

**ბანფილდი:** ლუკეტი, ბარასა, მაიდანა, სანგინეტი, პაჯესი, ჩატრუკი (64. გალარსა), კინტეროსი, ვილარეალი, ანდრისი, ვიტი (60. ლუხამბიო), ცვიტანიჩი.

**გოლი:** 1:0 რივეროსი (85)

**II ჯგუფი**

**ალიანსა (პერ)–ნეკაქსა (მექ) 1:2**

**ალიანსა:** ფორსიტი (44. ფრანსისკო პისარო), ბენავიდესი (68. იოჰან სოტილი), მარკო როდრიგესი, ხუან ხაიო, ლიგერა, მაესტრი, პოროსო, გილერმო სალასი, სანტიაგო სალასარი, იგლესიასი, სეგარა (78. ალექსანდრ სანჩესი).

**ნეკაქსა:** ალესანდრო ალვარესი, ბარბოსა, ბელტრანი, სერვანტესი, გალინდო, ომარ ერნანდესი, კლებერი (86. პადილია), ლუკასი, ალფრედო მორენო (77. მარჩანტი), კუატროკი, სალგეირო (85. ხიმენეს სილვერა).

**გოლები:** 0:1 მორენო (17), 0:2 სალგეირო (32), 1:2 ლიგერა (56)

იუვენტუსი ჩემპიონთა ლიგის მიღმა

# ქალბატონი ევროიტალიას ქომაგობს, მაგრამ არ უყურებს

## ბუფონსა და კომპანიას ჩემპიონთალიგური თამაშების ტელევიზორში ნახვა არ აინტერესებს

"ბებერი ქალბატონისთვის" ეს დღეები დიდი სინანულის დღეებია. სამშაბათსა და ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგა გახურდა, ის კი იქ არ არის. სხვები ბურთაობენ, "სინიორა" კი გარეთ დგას და უყურებს. თუმცა არა. როგორც ირკვევა, ტურინში ყველას არ ჰქონია იმის თავი და ნერვები, რომ სამშაბთსა და ოთხშაბათს ტელევიზორს მიუჯდეს და მშვიდად უყუროს იმ ტურნირს, სადაც წლების განმავლობაში ერთ-ერთი მთავარი გმირი იყო. მაგალითად, **ჯანლუიჯი ბუფონი**, რაც ევროსეზონი დაწყო, შუა კვირაში სახლიდან გადის და სალამოობით ალტერნატიული საშუალებებით იქცევს თავს. ანალოგიურად იქცევიან მისი თანაგუნდელებიც, ისინი, ვისთვისაც ჩემპიონთა ლიგა უფრო დიდი სინანული და ტკივილია. პირველ რიგში, ესენი **ტრეზეგე** და **კამორანეზი** არიან, თუმცა არც **დელ პიეროსა** და **ნედვედს** ხიბლავს ევროფეხბურთის მიღმა ყოფნა. "იუვე" ჩემპიონთა ლიგის ბოლო 11 გათამაშების უცვლელი მონაწილე იყო (ცხრაჯერ მერვედფინალში გავიდა, ერთხელ თასი მოიგო და სამჯერ ფინალში ითამაშა). გასაკვირი არაა, რომ ასეთი გუნდი გულგრილი ვერ დარჩება. ევროპიდან იძულებით მოკვეთილი ფეხბურთელები თვლიან, რომ ამას არ იმსახურებდნენ.

ფორცა იტალია. გუნდი ერთსულოვნად ქომაგობს იტალიურ გუნდებს, "ინტერსაც" კი... ცოტა ძალდატანებით, მაგრამ მაინც. "იუვე" ქომაგობს, მაგრამ არა ისე, რომ ტელეეკრანთან ჯდომის ინტერესი ჰქონდეს. *"თუ ძილის წინ შემთხვევით ტელევიზორთან მოვხვდი, შეიძლება, მიმოხილვაში საინტერესო მომენტებს ვუყურო. ხანდახან ღირს, რომ თამაშიდან გამოხვიდე, დაისვენო, ბურთი და მოედანი სხვებს დაუთმო..."* – ამბობს ბუფონი, რომელიც შურისა და ბოღმის გარეშე დასძენს, რომ "ინტერში" ფავორიტს ხედავს. "ბიანკონერის" ახალგაზრდა მარცხენა მცველი **ფედერიკო ბალცარეტი** სამშაბთ საღამოს ტელევიზორთან იჯდა... *"ჰო, მაგრამ "კანალე 5-ზე" ფილმს ვუყურებდი. წესით, ეს ჩემი პირველი, ნამდვილი ჩემპიონთა ლიგა უნდა ყოფილიყო, როგორც ძირითადის მოთამაშის. ვისურვებდი, რომ ტურნირი იტალიურ გუნდს მოეგოს. შეუძლებელი არ უნდა იყოს, თუ გვითვალისწინებთ იმას, რაც ესპანეთში ხდება: "ბარსელონა" ძალიან არასტაბილურია, "რეალში" ხომ საერთოდ აურზაურია".* ერთადერთი გამონაკლისი **ალესანდრო ბირინდელია**, რომელიც ოთხშაბათს ლამაზი ფეხბურთის მოყვარულებს "რომა"-"ლიონის" ნახვას ურჩევდა: *"ჩემპიონთა ლიგაში ეს ორი გუნდი ყველაზე სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობს. ძალიან მაინტერესებს ჩემი მეგობარი სპალეტის "რომას" ნახვა. სამწუხაროა, რომ ამ "რომას" საერთაშორისო დონეზე თამაშის გამოცდილება საკმარისად არა აქვს, საბოლოო ჯამში ამან გუნდზე შეიძლება, ცუდად იმოქმედოს. "ინტერსაც" კარგი შანსები აქვს, იბრასა და ვიეირას დამატების შემდეგ ძალიან სოლიდურად გამოიყურება და დაცვაც საკმაოდ შეკრული ჰყავს. ბოლო დროს მომხდარი ფაქტების შემდეგ, კარგი იქნება, თუ ჩვენები ძალიან მაღალ დონეზე ითამაშებენ და ამით იტალიური ფეხბურთის იმიჯს პოზიტიურად წარმოაჩენენ".*

პრეზიდენტი **ჯოვანი კობოლი ჯილი**, როგორც ყოველთვის, ფეარ-ფლეის პრინციპებს მისდევს: *"ამ შემთხვევაში სამ იტალიურ გუნდს ვქომაგობ, ვინაიდან ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენმა ფეხბურთმა ევროპულ ასპარეზზე წარმატებას მიაღწიოს. ჩემპიონთა ლიგის მერვედფინლებიდან სამი მომენტი მაინტერესებს: "მილანის" დაცვის თამაში, როგორ გამოვა "რომა" ემპოლიში ნაგების შემდეგ და შეძლებს თუ არა "ინტერი" თავისი უძლეველობის ევროპაში დამტკიცებას".*



ჯანლუიჯი ბუფონი

დეშამი ჯაშუში. საკმარისია, ჩემპიონთა ლიგა ახსენო და დეშამს მაშინვე თვალები უბრწყინდება. ეს ტურნირი ფეხბურთელობისას ერთხელ "იუვესთან" ერთად მოიგო, მერე "მონაკოს" მწვრთნელობისას შეეძლო ხელმეორედ მოგება, მაგრამ ფინალში **მოურინიოს** "პორტუსთან" დამარცხდა. *"როცა ჩემპიონთა ლიგაზე ლაპარაკი მესმის, ტანში ჟრუანტელი მივლის ხოლმე და ცოტა ნოსტალგიაც მეუფლება. ეს ის ტურნირია, რომელსაც შეუძლია, ყველაზე დიდი ემოცია გაჩუქოს და ყველაზე დიდი იმედგაცრუება მოგიტანოს".* ოთხშაბათს, პროფესიული მოსაზრებებიდან გამომდინარე, "რომა"-"ლიონის" ყურებას აპირებდა: *"როგორც მწვრთნელს, ეს შეხვედრა ძალიან მაინტერესებს, რადგან რამდენიმე ფრანგი ფეხბურთელის თამაში მინდა ვნახო".* ეს ფრანგი ფეხბურთელები **ფლორან მალუდა** და **ერიკ აბიდალი** არიან, "ქალბატონის" სამიზნეში ისინი კარგა ხანია მოხვდნენ. *"ლიონსა" და "რომას" კარგად ვიცნობ – ყვებოდა შაბათს დეშამი და არ მალავდა, რომ სიმპათია ფრანგების მიმართ აქვს – თამაშის მხრივ, ამ გუნდებს თავთავიანთ ქვეყნებში ბადალი არ ჰყავთ. მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში ჩემი ფავორიტები "ბარსელონა", "ჩელსი" და "ინტერი" არიან."*

**გოგა ახალაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი vs ბაიერნი

# მადრიდი ვან ბომელის წინააღმდეგ

## მაკლარენი: ბექჰემს ნაკრებში დაბრუნების კარგი შანსი აქვს...

"რეალი" ბაიერნელ **მარკ ვან ბომელს** უეფაში უჩივლებს. სამშაბათს, ჩემპიონთა ლიგის პირველ მერვედფინალში, მეორე გოლის გატანისას (2:3) ნახევარმცველმა მადრიდელი გულშემატკივრის მისამართით უხამსი ჟესტი გამოიყენა, თანაც რამდენჯერმე. სამეფო კლუბმა მის საქციელს შეუწყნარებელი პროვოკაცია უწოდა და უეფას რეაგირებისაკენ მოუწოდა. სავსებით შესაძლებელია, ვან ბომელს 7 მარტს, საპასუხო მატჩის გამოტოვება მოუხდეს. აი, მარკის კომენტარი, რომელიც მან ცივ გონებაზე გააკეთა: *"ყველას ბოდიშს ვუხდი. ზოგიერთი რეალელისგან განსხვავებით, ფანებთან პრეტენზიები არ მაქვს... ვაღიარებ, ეს არ უნდა ჩამედინა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი გოლი გავიტანე და ემოციები ვერ მოვთოკე."*

შარშან ვან ბომელი "რეალის" დაუძინებელი მტრის, "ბარსელონის" შემადგენლობაში ირიცხებოდა, მაგრამ ტრავმების გამო ბევრი გაუცდა. გასულ ზაფხულს ის მიუნხენში გადავიდა. ტრანსფერის შემდეგ ეს იყო ვან ბომელის პირველი ვიზიტი ესპანეთში. მარკის საქციელს **რობერტო კარლოსიც** გამოეხმაურა: *"საშინელი სანახავი იყო ის, რაც მეტოქემ ჩაიდინა. ასეთ ქმედებას ფეხბურთთან საერთო არაფერი აქვს. ის შეურაცხყოფაა და ცხადყოფს, რომ მოწინააღმდეგე გუნდის მიმართ ოდნავი პატივისცემაც კი არ გაგაჩნია. იმედია, უეფა ყველაფერს სათანადოდ შეაფასებს. ერთხელ სამმატჩიანი დისკვალიფიკაციაც კი მომისაჯეს იმის გამო, რაც მსაჯს საერთოდ არ დაუნახავს."*

გაზეთმა "მარკამ" მკითხველებს შეახსენა, რომ ეს არ იყო პირველი სკანდალი, რომელიც "რეალისა" და "ბაიერნის" მატჩებისას მომხდარა. ძველი მეტოქეების დაპირისპირება თითქმის ყოველთვის აყალმაყალით სრულდებოდა. ესპანელი მიმომხილველების აზრით, "სანტიაგო ბერნაბეუზე" ყველაზე ამაზრზენი ჟესტი "ბაიერნის" ყოფილ ვარსკვლავ **კლაუს აუგენტალერს** ეკუთვნის - გოლის შემდეგ მან ხარს გამოჯავრა, გაბზეკილი თითები თავთან მიიტანა და ფანებს "ურქინა". **შტეფან ეფენბერგი** მიუნხენური მატჩებისას ერთთავად "რეალის" ფეხბურთელთა წყობილებიდან გამოყვანას ცდილობდა. "ბაიერნის" მეკარე **ოლივერ კანი** კი დღემდე ნომერ პირველ საზოგადოებრივ მტრად მიიჩნევა. მიზეზი ამ კლუბების 2001 წლის დაპირისპირებაა, რომელიც ბავარიელთა გამარჯვებით დასრულდა. "ბაიერნმა" საბოლოოდ ჩემპიონთა თასი დაისაკუთრა. 2002 წელს "რეალმა" მეტოქეს სამაგიერო გადაუხადა. მიუნხენში, საპასუხო მატჩის წინ, პერუელმა თავდამსხმელმა **კლაუდიო პისარომ** მადრიდელებს კლოუნები უწოდა და ფანებს ხუთი გოლის გატანას დაჰპირდა, მაგრამ სტუმრებმა არათუ ეს ბარიერი გაიარეს, არამედ თასიც მათ დარჩათ.

გუშინწინდელი თამაშის შემდეგ კანმა დაიქადნა, რომ ორი კვირის შემდეგ მიუნხენის სტადიონი რისხვისაგან მთლიანად განითლებული იქნება. "რეალს" "ალიანს არენაზე" არასოდეს უთამაშია. "ოლიმპიაშტადიონზე" კი სავალალო სტატისტიკა ჰქონდა: მხოლოდ ერთი ფრე და შვიდი წაგება.

■ ■ ■

**დევიდ ბექჰემის** ბოლოდროინდელმა ასპარეზობამ საგრძნობლად გაზარდა მისი ნაკრებში დაბრუნების შანსი. მადრიდელ გალაქტიკოს ეროვნულ გუნდში შარშანდელი მუნდიალის შემდეგ არ უთამაშია. ინგლისელთა ახალმა თავკაცმა **სტივ მაკლარენმა** მისი საჭიროება დღემდე ვერ დაინახა. ბექჰემს "რეალშიც" პრობლემები ჰქონდა. ორთვიანი პაუზის შემდეგ **ფაბიო კაპელომ** ის ძირითადში დააბრუნა და დევიდიც საუცხოოდ ათამაშდა. "ბაიერნთან" მატჩი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მთელ მის მადრიდულ კარიერაში. მაკლარენი იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ მისი ყოფილი შეგირდი შთამბეჭდავ ფორმაშია: *"აი, ესაა ის, რასაც ნამდვილი დევიდ ბექჰემი გაძლევს. ეს გახლავთ მისი პასუხი ყველა იმ პრობლემაზე, რაც სხვადასხვა დროს გამოუვლია. დევიდი პროფესიონალია. ერთი თვის წინ თადარიგშიც კი არ სვამდნენ. დღეს კი "ბაიერნთან" მატჩის გმირი ხდება... ბექჰემი უკვე პრობლემას მიქმნის, მაგრამ ამ პრობლემას ნებისმიერი მწვრთნელი ინატრებდა. დევიდი ძნელი არჩევანის წინაშე მაყენებს."*

ინგლისი შესარჩევ ტურნირს მარტის მიწურულს, ისრაელსა და ანდორასთან მატჩებით განაახლებს. მაკლარენი ამბობს, რომ თუ გალაქტიკო დღევანდელ ფორმას შეინარჩუნებს, ნაკრებში მოხვედრის კარგი შანსი ექნება: *"შემადგენლობის დასახელებამდე ოთხი კვირაა. ვნახოთ, რა მოხდება ამ პერიოდში."*

მისტერ სტივი "რეალი"-"ბაიერნის" მატჩს არ დასწრებია, არადა, ის ესპანეთში იმყოფებოდა. ინგლისელთა მწვრთნელმა პირადად მოინახულა "ესპანიოლის" სტადიონი ბარსელონაში, სადაც ანდორასთან საკვალიფიკაციო მატჩი გაიმართება. მაკლარენი **ოუენ ჰარგრივსის** ნახვას გეგმავდა (ბექჰემზე დაკვირვება მის გეგმებში არ ყოფილა), მაგრამ იმის გამო, რომ "ბაიერნის" ხელმძღვანელობას ბოლო წუთამდე არ ჰქონდა გადაწყვეტილი მისი თამაშის საკითხი, მადრიდში გამგზავრება საკუთარი განრიგიდან ამოიღო. ცნობისთვის, ჰარგრივსმა მთელი მატჩი შეუცვლელად ჩაატარა. მაკლანერი დანაშაულს 7 მარტს, მიუნხენში, საპასუხო მატჩისას გამოისყიდის.



დევიდ ბექჰემი



მარკ ვან ბომელის უხამსი ჟესტი

### პუმპიდომ ნიუელსი დატოვა

სამშაბათს თანამდებობა დატოვა "ნიუელსის" მთავარმა მწვრთნელმა **ნერი პუმპიდომ**. მისმა შეგირდებმა კლაუსურის პირველი ორი მატჩი წააგეს და სატურნირო ცხრილის ფსკერზე აღმოჩნდნენ. პუმპიდო როსარიულ კლუბში 2005 წლის ოქტომბერში დაინიშნა. მისი მოთმინების ფიალა შაბათს, "რივერ პლეიტთან" 1:2 დამარცხებამ აავსო. მართალია, შეხვედრა ოთხი წუთით ადრე შეწყდა (ტრიბუნებზე მოწყობილ არეულობათა გამო), მაგრამ შედეგი არ შეიცვლება. "რივერთან" თამაშით, "ნიუელსის" მოუგებელი სერია 13 თამაშამდე გაიზარდა. პუმპიდოს სამწვრთნელო კარიერის საუკეთესო შედეგი 2002 წელს მოგებული ლიბერტადორესის თასია. იმ დროს ის პარაგვაული "ოლიმპიის" მთავარი მწვრთნელი იყო.

### ბრაგა პარმაში ახალი მწვრთნელით

დღეს უეფას თასის 1/16 ფინალის განმეორებითი მატჩები გაიმართება. პარმაში სტუმრობის წინ "ბრაგა" უმწვრთნელოდ დარჩა. **როჟერიო გონკალვეშს** კარისკენ მიუთითეს. გუნდის გაძღოლა მისმა ასისტენტმა, პორტუგალიის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა **ჟორჟე კოშტამ** ითავა. გონკალვეშმა პოსტი გასული წლის ნოემბერში დაიკავა. მისი შეგირდები 18 მატჩში დაგროვებული 28 ქულით მეხუთე ადგილზე იმყოფებოდნენ. სეუ როჟერიო მე-11 მწვრთნელია, რომელიც ამ სეზონში პორტუგალიის უმაღლესი დივიზიონის კლუბებიდან დაითხოვეს. დასასრულს, იმასაც შეგახსენებთ, რომ პირველი მატჩის შემდეგ ანგარიშით 1:0 "ბრაგას" სასარგებლოდ.



მანჩესტერის ფანები თამაშის შემდეგ პოლიციამ დაამშვიდა

ინციდენტი

# მანჩესტერელები ლანსში აბობოქრდნენ

ფრანგულ პოლიციას "მანჩესტერ იუნაიტედის" ფანების დასამშვიდებლად ცრემლსადენი გაზის გამოყენება დასჭირდა. "ლილისა" და "მენიუს" დაპირისპირება სკანდალური და ინციდენტებით დახუნძლული აღმოჩნდა. ლანსის "ფელიქს ბოლარზე" პრობლემები მე-15 წუთზე დაიწყო. ერთ-ერთი ინგლისელი ქომაგი მინდვრის დამცავ ღობეზე გადაძვრა, მინდორზე შეაღწია და **ედვინ ვან დერ სარს** მიუახლოვდა. უსაფრთხოების ოფიცრებმა წესრიგის დამრღვევი მინდვრიდან გაათრიეს. ამან დანარჩენი მანჩესტერელი ფანების პროტესტი და მღელვარება გამოიწვია. რამდენიმე მათგანმა მინდორზე შეღწევა სცადა. პოლიცია მათ უმალ წინ აღუდგა. ყველაზე აქტიურებს კი ხელჯოხებითა და გაზით გაუმასპინძლდა. თამაში არ შეჩერებულა. ეფექტური ღონისძიებების შედეგად, რამდენიმე წუთში ტრიბუნებზე სიმშვიდემ დაისადგურა. ისინი, ვინც ღობეზე იყვნენ ამძვრალნი, სამართალდამცველებმა მშვიდად ჩამოხსნეს (ერთი, სხვათა შორის, ხანშიშესული ქალბატონი იყო) და დააპატიმრეს. "იუნაიტედის" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ მზადაა, ინციდენტი უეფას დელეგატებთან ერთად განიხილოს და დამნაშავეთა დასასჯელად ეფექტური ღონისძიებები გაატაროს.

ვერდერი. სკანდალი

# ფრინგსი გააგიჟეს

## ბრემენული ჰარმონია სამმა წაგებამ დაარღვია

„ვერდერმა" ბუნდესლიგაში ბოლო სამი თამაში წააგო და თუკი სამი კვირის წინ სატურნირო ცხრილს „შალკესთან" ერთად ლიდერობდა, ახლა მესამე ადგილზეა და გელზენკირხენულ კლუბს უკვე 7 ქულით ჩამორჩება, რაც იმას ნიშნავს, რომ „მუსიკოსებმა" „ვერცხლის სინზე" ოცნება უნდა შეწყვიტონ. თუ არ გამოსწორდებიან და ქულების განიავებას გააგრძელებენ, შესაძლოა, სამეულს მიღმაც აღმოჩნდნენ. მით უმეტეს, რომ მათ „ბაიერნი" მისდევს.

ბრემენული გუნდის კაპიტან **ტორსტენ ფრინგსს** მოთმინების ფიალა აევსო. „ჰამბურგთან" მატჩის შემდეგ ფრინგსმა თანაგუნდელები მაგრად გამოლანძღა, მერე კი არც ჟურნალისტებთან საუბარში დამალა, რომ თითოეული თანამებრძოლის თამაშით იმედგაცრუებულია. *„ბოლო დროს ყველა თავის უკანალს უფრთხილდება. რატომღაც აღარ ვიბრძვით და მე ვერ ვხვდები, რატომ. არ ვიცი, რა დაგვემართა, ფაქტი ისაა, რომ უაზროდ ვთამაშობთ და წარმატებას ველარ ვაღწევთ."* – ამბობდა ფრინგსი „ჰამბურგთან" წაგების (0:2) შემდეგ.

ამ და სხვა ამგვარი განცხადებებით ფრინგსმა თანაგუნდელები მოიმდურა. მაგალითად, **დანიელ იენსენი** ამბობს, რომ ასეთი სახის განცხადებებს კაპიტანი მხოლოდ გასახდელში ან თანაგუნდელებთან პირადი საუბრის დროს უნდა აკეთებდეს და არა საჯაროდ. *„თუ ჩემთან სასაყვედურო აქვს, პირადად უნდა მისაყვედუროს, თორემ სახალხოდ საუბარი და თანაგუნდელის შეურაცხყოფა ყოველთვის იოლი გამოსავალია."* - ჩივის იენსენი. ამაზე ფრინგსს ასეთი პასუხი აქვს: *„თუკი ჩემი სიტყვების შემდეგ ვინმე თავს შეურაცხყოფილად თვლის, ფეხებზე მკიდია! მე ზუსტად ასეთებზე ვამბობ. მათ „ვერდერში" არაფერი ესაქმებათ!"*

ეს უკვე სერიოზული სკანდალია. შესაძლოა, ფრინგსი აჭარბებს, მაგრამ ფაქტი ის გახლავთ, რომ ბოლო დროს „ვერდერში" მართლაც ვერ არის საქმე კარგად. იენსენი და სხვები (მათ შორის **დიეგოც**) იმაზეც ჩივიან, რომ ტორსტენი თამაშის დროსაც ხშირად აკრიტიკებს თანაგუნდელებს და ყველას უყვირის ხოლმე. ეს კი არავის მოსწონს. დიეგოს თქმით, თამაშის დროს ფეხბურთელის კრიტიკა და თანაც მაღალი ტონით, მის თამაშზე უარყოფითად აისახება.

*„ჩემთვის თანაგუნდელისგან კრიტიკა მხოლოდ გასახდელშია მისაღები და არავითარ შემთხვევაში სახალხოდ. როცა თამაშის დროს ერთი ფეხბურთელი მეორეს აკნინებს და უბრაზდება, ასეთ რამეს გუნდში არეულობა და თავდაუჯერებლობა შემოაქვს."* – ამბობს დიეგო. მიუხედავად ამისა, ფრინგსი თანაგუნდელების კრიტიკის შეწყვეტას არ აპირებს. გუშინ ტორსტენმა „ვერდერის" გენერალურ მენეჯერ **კლაუს ალოფსს** მიაკითხა და მისი კაბინეტიდან ყვირილის უფლება წამოიღო. *„ტორსტენი გუნდის ლიდერია და მას ყველაფრის უფლება აქვს. მე ძალიან მომწონს ის, რომ ფრინგსი თანაგუნდელებს აკრიტიკებს."* – ეს ალოფსის სიტყვებია და როგორც ხედავთ, მან ტორსტენს მწვანე აუნთო.

*„ალოფსისგან უფლება მივიღე და ეს იმას ნიშნავს, რომ სხვა არაფერი მაინტერესებს. ჩემთვის სულერთია, რას ფიქრობენ სხვები. ასე მინიმუმ ფხიზლად მაინც იქნებიან. მოხარული ვიქნებოდი, სხვებიც ჩემნაირად რომ ყვიროდნენ. ერთმანეთს თუ არ შევუძახეთ, არაფერი გამოვა."* – ამბობს ფრინგსი.

**გოტფრიდ ლენცი**



ტორსტენ ფრინგსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები

# მეფურად დასჯილი სამეფო გუნდი

## ბაიერნს ფეხბურთის თამაში დაავიწყდა, მაგრამ ბრძოლა ახსოვს...


რეალი-ბაიერნი. რაულის მეორე გოლი გააქვს ბაიერნის კარში

**რეალი-ბაიერნი 3:2**

**რეალი:** კასილიასი, ტორესი, კანავარო, ივან ელგერა, რობერტო კარლოსი (59. რაულ ბრავო), ბექჰემი, გახო, გუტი, იგუაინი (53. რობინიო), ვან ნისტელროი, რაული.

**ბაიერნი:** კანი, სანიოლი, ლუსიო, ვან ბუიტენი, ლამი, დემიკელისი (46. სალიჰამიჯიჩი), ვან ბომელი, ჰარგრივზი, შვაინშტაიგერი (79. შოლი), მაკაი, პოდოლსკი (61. პისარო).

**გოლები:** 1:0 რაული (10), 1:1 ლუსიო (23), 2:1 რაული (28), 3:1 ვან ნისტელროი (34), 3:2 ვან ბომელი (88)

**მაყურებელი:** 80 000

**არბიტრი:** ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

ეს ის იშვიათი შემთხვევა გახლდათ, როცა თამაშის შემდეგ ორივე გუნდი კმაყოფილია ხოლმე - „რეალი" ოდნავ ნაკლებად, რადგან ორბურთიანი უპირატესობა ჰქონდა, რომელიც ვერ შეინარჩუნა და განმეორებითი მატჩის წინ ნერვიულობა ელის, „ბაიერნი" კი უფრო მეტად, რადგან **მარკ ვან ბომელის** ის ერთი ხეირიანი გასროლა, შესაძლოა, გადამწყვეტი გამოდგეს ამ წყვილში. მადრიდელებმა კი თავის თავს უნდა დააბრალონ ის, რომ განმეორებით მატჩში დიდი ვნებათაღელვა შეხვდებათ. მაშინ, როცა ანგარიშია 3:1 და აშკარაა, რომ მეტოქეს თამაში არ მისდის, მხოლოდ შედეგის შენარჩუნებაზე ზრუნვა (მით უმეტეს, ყოველგვარი პრესინგის გარეშე), რასაც „რეალი" ბოლო წუთებზე აკეთებდა, დამღუპველია. და თამამად შეიძლება ითქვას, რომ უნიათო „ბაიერნმა" „სამეფო გუნდი" მეფურად დასაჯა.

არადა, პირველი ტაიმის შემდეგ ალბათ ბევრმა იფიქრა, რომ მიუნხენურ გიგანტს შავი დღე დაადგებოდა. მადრიდელებმა ისე სწრაფად და ისე იოლად გაიტანეს გოლები, რომ თითქოს მხოლოდ მონდომება იყო საჭირო და **ოლივერ კანის** კარის ბადე კიდევ რამდენჯერმე შეირხეოდა. მაგრამ **ფაბიო კაპელოს** საფეხბურთო ფილოსოფია ხომ ყველამ ზეპირად ვიცით...

ახლა კი, ვან ბომელის იმ ერთი გასროლის შემდეგ, რეკორდმაისტერი მეოთხედფინალში გასვლაზე ოცნებობს და სავსებით სამართლიანადაც. სამართლიანად, რადგან ეს ოცნება უკვე ძალიან რეალურია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მიუნხენის „ალიანს-არენაზე" სულ სხვა ატმოსფერო და თამაში იქნება, თამაში, სადაც მოკარნახის როლში უკვე „ბაიერნი" იქნება და ესეც არ იყოს, „სანტიაგო ბერნაბეუზე" გატანილი ორი გოლი ბავარიულ კლუბს ოპტიმისტურად განწყობისა და თავისი თამაშის ჩვენების უფლებას აძლევს. საკმარისია, „ბაიერნმა" 1:0 ან 2:1 მოიგოს, რომ „რეალი" ზედიზედ მესამედ ვერ გასცდება ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალს.

ისე, თამაშმა ნამდვილად გაამართლა. თუმცა ეს სხვანაირად ვერც იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე გრანდს კრიზისული პერიოდი აქვს, წინდაწინვე ცხადი იყო, რომ დაძაბულობის მხრივ ეს შეხვედრა მერვედფინალის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ჯახი გამოდგებოდა. საერთო ჯამში „რეალმა" გაცილებით უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა, განსაკუთრებით კი **დევიდ ბექჰემისა** და **რაულის** თამაშია გამოსარჩევი. ცოტა ხნის წინათ კაპელოს მიერ ტრიბუნაზე გასტუმრებული ბექსი, რომელიც „დონ ფაბიომ" მოედანზე დიდი ჭირვეულობით დააბრუნა, უბრალოდ, ყველგან იყო. ასეთი მონდომებული და ეფექტური ბექჰემი დიდი ხანია, არ გვინახავს. აშშ-ისკენ გეზაღებულმა დევიდმა სამივე გოლში მიილო მონაწილეობა, რაულმა კი დუბლი შეასრულა და მატჩის გმირიც სწორედ ის გახდა.

რაც შეეხება „ბაიერნს". **ოტმარ ჰიტცფელდის** შეგირდები პირველ ტაიმში ამაზრზენად გამოიყურებოდნენ. ვინც გერმანიის პირველობაზე მათ თამაშებს ვერ უყურებს, მხოლოდ ანგარიშებს იგებს და ძალიან უკვირს, მიუნხენური გიგანტი ქულებს ასე უაზროდ რომ კარგავს, ახლა მაინც მიხვდებოდა, რაშია საქმე. არანაკლებ მძიმე მდგომარეობაში მყოფმა „რეალმა" რეკორდმაისტერს პირველ ტაიმში სრული დემონტაჟი მოუწყო. ჰიტცფელდის ბიჭებს მოედანზე არაფერი გამოსდიოდათ, გარდა წარმოუდგენელი შეცდომებისა. ამიტომაც იყო, შესვენებაზე **ფრანც ბეკენბაუერმა** ტელეკომპანია „პრემიერ უორლდის" პირდაპირ ეთერში რომ თქვა: *„ბავშვურ შეცდომებს უშვებენ! არც კი ვიცი, რა უნდა ვთქვა. არაფერი შეცვლილა, რაც ნიურნბერგსა და აახენში იყო, აქაც იგივეა."*

„ბაიერნის" დაცვის ხაზის ურთიერთშეუთანხმებლობასა და ქაოტურობაზე მეტყველებს სამივე გოლი, განსაკუთრებით კი პირველი. მე-10 წუთზე ბექჰემის ნამოწყებული შეტევა, **ვან ნისტელროიმ** რაულისკენ გაკეთებული ჭკვიანური პასით გააგრძელა. **ლუსიო, ვან ბუიტენი** და **ლამი** ხელოვნური თამაშგარის შექმნას ცდილობდნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ და მათ პოზიციურ შეცდომას ის მოჰყვა, რომ რაული კანთან პირისპირ დარჩა. ოლიმ კარი დატოვა და ბურთის მოგერიება ფეხით სცადა, მაგრამ ბურთი რაულს დარჩა, რომელმაც ხუთი მეტრიდან დალაშქრა უკვე ცარიელი კარი.

მიუნხელებმა წონასწორობა 13 წუთში აღადგინეს: **ვილი სანიოლმა** ჯარიმა ჩააწოდა, „რეალის" საჯარიმოში კი ყველას ლუსიომ აჯობა, რომელმაც ჩინებული თავურით ბურთი 6 მეტრიდან **კასილიასის** შორეულ კუთხეში ჩაახვია. ისე, ლუსიოს ამ გოლის შემდეგ უფრო დიდი გული მიეცა და თუკი მანამდე მეტოქის ნახევარზე გადასვლას მაინც იშვიათად ბედავდა, გოლის შემდეგ „რეალის" საჯარიმოს მისადგომებთან უფრო ხშირად დალანდავდით, ვიდრე კანთან ახლოს, სადაც მისი ადგილია.

28-ე წუთი და ისევ რაული! ბექჰემის ჩაწოდებულ კუთხურს „ბაიერნის" საჯარიმოში **ივან ელგერამ** ურტყა, რაულმა კი ბურთს კარის ხაზიდან ნახევარ მეტრში მიასწრო და თავი მიაშველა – 2:1! ისე, ბურთი მაინც კარში გადიოდა, მაგრამ რომ არა რაული, ფილიპ ლამი ამ სიტუაციას ალბათ გააუვნებლებდა, „რეალის" კაპიტანთან საჰაერო ორთაბრძოლაში კი ტანდაბალი მარცხენა მცველი ვერაფერს გახდა.

მაგრამ მადრიდელებმა ესეც არ იკმარეს და სულ რაღაც ექვს წუთში „ბაიერნის" მდგომარეობა ძალიან დაამძიმეს. ასისტენტად ისევ ბექჰემი მოგვევლინა და ბარემ აქვე ვთქვათ, რომ ასეთ ფორმაში მყოფი და ასე მონდომებული ბექსის ამერიკაში გაშვება საცოდაობაა. დევიდის საჯარიმო ჩაწოდებას ისევ ელგერა დახვდა და ბურთი თავით ვან ნისტელროისკენ გაგზავნა, რომელსაც ისღა დარჩენოდა, რომ კანი მოძრაობაზე გამოეჭირა და სხვაობა ორამდე გაზარდა. „ბაიერნის" მცველები კი ამ დროს ისევ გაურკვეველი საქმიანობით იყვნენ დაკავებული.

მერე იყო მეორე ტაიმი და „ბაიერნის" ტანჯვა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. „რეალმა" ტემპიც დააგდო და მეტოქეც მიუშვა, თითქოს შესთავაზა, ახლა თქვენ გვაჩვენეთ, რა შეგიძლიათო. ჰიტცფელდის გუნდმა „რეალსა" და საერთოდ ყველას დაგვიდასტურა, რომ ფეხბურთის თამაში დავიწყებული აქვს, სამაგიეროდ, ერთადერთი, რისიც ამ გუნდის ქომაგებს უნდა ეიმედებოდეთ, არის ის, რომ „ბაიერნმა" ბოლომდე იბრძოლა. სხვა საქმეა, როგორ, მაგრამ იბრძოლა და საწადელსაც მიაღწია. ვან ბომელის იმ ერთმა გასროლამ, რომელიც ზემოთაც ვახსენეთ და რომელმაც „ბაიერნის" ჰოლანდიელ ნახევარმცველს სულ მუშტი აქნევინა, შესაძლოა მეოთხედფინალში სწორედ რეკორდმაისტერი გაიყვანოს. ისე, ვან ბომელმა მატჩის შემდეგ ბოდიში მოიხადა, უხამსი ჟესტი გავაკეთე და „რეალის" ფანებმა უნდა მაპატიონო. თუკი უეფა სიმკაცრეს გამოიჩენს, შესაძლოა, ვან ბომელს დისკვალიფიკაცია მიუსაჯონ, რაც განმეორებით შეხვედრაში „ბაიერნისთვის" ძალიან დიდი დანაკლისი იქნება.

მეორე ტაიმიდან გასახსენებელია **კლაუდიო პისაროს** მომენტიც, როცა ამ უკანასკნელმა შესანიშნავი მოძრაობით შეარცხვინა „რეალის" მცველები და კარგადაც დაარტყა, მაგრამ კასილიასმა აუღო. დაველოდოთ 7 მარტს და ვნახოთ, რა მოხდება მიუნხენში.

**ფაბიო კაპელო:** *„როცა ვიგებთ, ყოველთვის კმაყოფილები ვართ, თუმცა, რა თქმა უნდა, საშინელებაა ის, რომ ბოლო წუთებზე მეორე გოლი მივიღეთ. დადებითი იყო ის, რომ პირველ ტაიმში „ბაიერნს" ბევრი პრობლემა შევუქმენით და სამი გოლი გავუტანეთ. მიხარია, რომ საერთოდ მოვიგეთ."*

**ოტმარ ჰიტცფელდი:** *„პირველი ნაბიჯი უკვე გადავდგით, მეორე კი სახლში უნდა გადავდგათ. შესვენებაზე ბიჭებს ვუთხარი, თავის ჩაქინდვრის საფუძველი არ არსებობს-მეთქი. ვუთხარი, რომ „რეალი" წნეხის ქვეშ უნდა მოგვექცია. თუ ამას „ალიანს არენაზე" შევძლებთ, აუცილებლად მოვიგებთ და მეოთხედფინალში გავალთ. „რეალი" ნამდვილად არ არის სასწაულებრივად ძლიერი გუნდი."*

**ეინდჰოვენი-არსენალი 1:0**

**ეინდჰოვენი:** გომეში, კროლდრუპი, ალექსი, და კოშტა (66. სუნ ჩანი), სალსიდო, მენდესი, სიმონსი, კოკუ, კულინა, დიეგო (75. ვერჰეიენი), კონე.

**არსენალი:** ლემანი, გალასი, კოლო ტურე, სენდეროსი, კლიში, გლები (76. ბაპტიშტა), ფაბრეგასი, ჟილბერტო სილვა, როსიცკი, ადებაიორი, ანრი.

**გოლი:** 1:0 მენდესი (61)

**მაყურებელი:** 36 500

**არბიტრი:** ტომ ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)

იმის გათვალისწინებით, რომ მეორე ტაიმში „ეინდჰოვენმა" ძალიან მოუმატა და აშკარად დაჯაბნა **არსენ ვენგერის** გუნდი (პირველ ნახევარში „მეთოფეები" უფრო დომინირებდნენ), **რონალდ კუმანის** გუნდმა გამარჯვება დაიმსახურა. ვენგერის სამწყსოს შეეძლო, უკეთესი შედეგისთვის მიეღწია და განმეორებითი მატჩისთვის შედარებით მშვიდად ყოფილიყო, მაგრამ ლონდონელებმა ვერაფერი გააწყვეს, მიუხედავად იმისა, რომ არაერთი მომენტი ჰქონდათ.

„ეინდჰოვენის" წარმატება მით უფრო დასაფასებელია იმის გამო, რომ კუმანის გუნდს ლიდერი და მთავარმეგოლე **ჯეფერსონ ფარფანი** გამოაკლდა – ფეხბურთელი, რომელიც ჰოლანდიის ჩემპიონატის ბომბარდირთა დავას 15 გოლით ერთპიროვნულად ლიდერობს. პერუელის ნაცვლად კუმანმა თავდასხმაში **კონეს დიეგო ტარდელი** შეუწყვილა. ვენგერმა კი, პრემიერლიგის უკანასკნელი მატჩისგან განსხვავებით, ოთხ ცვლილებას მიმართა: **სენდეროსმა** და **გალასმა** დაცვაში **ჯურუ** და **ჰოიტი** შეცვალეს, **ბაპტიშტასა** და **უოლკოტის** ნაცვლად კი, სასტარტოში **ადებაიორი** და **გლები** ვიხილეთ.

გადაჭედილ „ფილიპსზე" (36 500 მაყურებელი) გუნდებმა თამაში ფრთხილად დაიწყეს და უკანმოუხედავ იერიშებს მშვიდი პასები და დალაგებული კომბინაციები ამჯობინეს. ლონდონელებს მოედნის ცენტრში გაბატონება და მოულოდნელი პასებით ფონს გასვლა სურდათ, რაც თითქმის გამოუვიდათ კიდეც. მე-13 წუთზე **ანრი-როსიცკის** კომბინაციას ის მოჰყვა, რომ ჩეხი ნახევარმცველი **გომეშთან,** ფაქტობრივად, პირისპირ დარჩა, მაგრამ ეინდჰოვენელთა მეკარემ ბურთი შესანიშნავ ნახტომში მოიგერია. ამ მომენტის შემდეგ „არსენალმა" ინიციატივა გადაიბარა და მასპინძელთა გუნდი საკუთარ საჯარიმოს მიაჯაჭვა. კუმანის ბიჭებს თავდაჯერების ნაკლებობა ეტყობოდათ – ისინი ბევრ შეცდომას უშვებდნენ. მართალია, პირველ 35 წუთში როსიცკის მომენტის გარდა სახიფათო მდგომარეობა არცერთ კართან არ შექმნილა, მაგრამ სანახაობრიობის თვალსაზრისით, თამაშს მაინც არა უშავდა. საჯარიმოში შეღწევას ვერცერთი მხარე ახერხებდა, რის გამოც ფეხბურთელები უფრო შორეული დარტყმებით ცდილობდნენ ანგარიშის გახსნას, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ – 29-ე წუთზე **კოკუს ლემანმა** აუღო, 38-ეზე კი ანრის მცდელობა გომეშმა ჩაახშო. ტაიმის მიწურულს „მეთოფეთა" ფრანგ ლიდერს კიდევ ორჯერ შეეძლო გატანა. ჯერ **ალექსს** დაუძვრა და დაარტყა, მაგრამ გომეში გაისარჯა კარგად, მერე კი 18 მეტრიდანაც დაჰკრა, მაგრამ მცირე მანძილით ააცილა.

მეორე ტაიმში კუმანის სამწყსო უფრო აგრესიული გახდა, განსაკუთრებით ნახევარმცველები გააქტიურდნენ, რის გამოც „არსენალს" პრობლემები შეექმნა. 54-ე წუთზე „ეინდჰოვენის" დაწინაურება კონეს შეეძლო, რომელიც **სალსიდოს** ჩაწოდებას დროულად გამოეხმაურა და ბურთი ლემანის კარის შორეული კუთხისკენ გაგზავნა, მაგრამ ააცილა. ეს იყო მეორე ტაიმის პირველი საგოლე მომენტი, მეორეს კი გოლიც მოჰყვა: 61-ე წუთზე **ედისონ მენდესმა,** რომელიც საერთოდ მატჩის გმირი გახდა, კონესგან კარგი პასი მიიღო და 22



ეინდჰოვენი-არსენალი. ტიერი ანრიმ გოლი ვერ გაიტანა

# ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები



ლილი-მანჩესტერი. რაიან გიგზმა გამარჯვების გოლი თამაშის მიწურულს გაიტანა

მეტრიდან დაურტყა ლემანს. გერმანელმა მეკარემ რეაქცია ოდნავ დააგვიანა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დარტყმა ძალიან ძლიერი და რაც მთავარია, ზუსტი გამოდგა – ბურთი ლემანის კარის ბადეში გაეხვა. ინგლისელებს ჰქონდათ გათანაბრების შანსი, მაგრამ „ეინდჰოვენი" შესანიშნავად მოთამაშე გომეშმა იხსნა, რომელმაც 69-ე წუთზე **ფაბრეგასის** დარტყმული (17 მეტრიდან) ჩინებულ ნახტომში მოიგერია.

ბოლოს კუმანის გუნდმა ანგარიშის შენარჩუნებაზე დაიწყო ზრუნვა, ოღონდ ჰოლანდიელები „არსენალს" პრესინგს ეთამაშებოდნენ. „მეთოფეებმა" მასირებული იერიშები სცადეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, საგოლე შანსებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ვენგერის გუნდი მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში პასიური იყო და ამრიგად, პსვ-ს გამარჯვება დამსახურებულია. ასე რომ, განმეორებითი მატჩის წინ ეინდჰოვენელებს შეუძლიათ, სენსაციაზე იოცნებონ.

**რონალდ კუმანი**: *„ეს იყო საუკეთესო შედეგი, რისი მიღწევაც დღეს შევძელით. ვერავინ იტყვის, რომ მოგება არ დავიმსახურეთ. დღეს ჩვენ კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ ფეხბურთში შეუძლებელი არაფერია. ჰო, „ეინდჰოვენი" არ არის „არსენალის" დონის გუნდი, მაგრამ სწორი ტაქტიკითა და უდიდესი მონდომებით, რაც ჩვენ დღეს ნამდვილად გამომავლინეთ, ნებისმიერის დამარცხება შეგვიძლია. მეოთხედფინალში გასვლა რეალურია, მაგრამ ლონდონში სასურველი შედეგის მიღწევა რთული იქნება. ფრთხილად უნდა ვიყოთ."*

**არსენ ვენგერი**: *„პირველ ტაიმში ნორმალურად ვითამაშეთ, მეორეში საშინლად გამოვიყურებოდით. რიტმი დავკარგეთ და დავისაჯეთ კიდეც. განმეორებით შეხვედრაში დიდი სიფრთხილე გვმართებს, მაგრამ ჩვენ გვაქვს საკმარისი თავდაჯერება იმისთვის, რომ საბოლოო ჯამში მეოთხედფინალში გავიდეთ."*

**ლილი–მანჩესტერი 0:1**

**ლილი**: სილვა, შალმი, ტავლარიდისი, პლესტანი, ტაფორო, ფოვერუე (57. კაბაიე), მაკუნი, დებუში, ბოდმერი, ობრანიაკი (90. ბასტოსი), ოდემვინგი (75. ოდელი).

**მანჩესტერი**: ვან დერ სარი, ნევილი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, ქერიკი, სქოულზი (90. ო'ში), გიგზი, კრისტიანო რონალდო (67. საა), რუნი, ლარსონი.

**გოლი**: 0:1 გიგზი (83)

**მაყურებელი**: 38 000

**არბიტრი**: ერიკ ბრაამჰაარი (ჰოლანდია)

იმსახურებდა თუ არა „ლილი" წაგებას, ეს უკვე მეორეხარისხოვანია. მთავარი ის გახლავთ, რომ „მანჩესტერმა" ერთობ ულიმღამოდ წარმართული მატჩი ჭკვიანური გოლით მოიგო და ახლა ალბათ ძალიან ცოტას თუ ეპარება ეჭვი იმაში, რომ **სერ ალექს ფერგიუსონის** შეგირდები მეოთხედფინალში ითამაშებენ. მოკლედ, მოვლენები ზუსტად ისე განვითარდა, როგორც მოსალოდნელი იყო. „ლილი" კი ალბათ იმითაც კმაყოფილი უნდა იყოს, რომ არსებობის განმავლობაში პირველად გააღწია ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში. მართალია, წინ კიდევ განმეორებითი შეხვედრაა, მაგრამ დაგვეთანხმებით, სტუმრად მოპოვებული გამარჯვების შემდეგ შანსები „მანჩესტერის" სასარგებლოდ უკვე 80/20-ზეა.

„ჩარლტონ ატლეტიკთან" მატჩისგან განსხვავებით, ფერგიუსონმა ძირითად შემადგენლობაში დააბრუნა **კრისტიანო რონალდო, ქერიკი და ლარსონი**. ამ ფეხბურთელებმა **პარკის, ფლეტჩერისა და საას** ადგილები დაიკავეს. „ლილმა" თავიდანვე პრაგმატული ფეხბურთი გააჩაღა, რაც მოსალოდნელიც იყო. **კლოდ პუელის** შეგირდები ყველანაირად ცდილობდნენ, ინგლისური გიგანტისთვის სივრცეები შეეზღუდათ და შეტევებზე ორიენტირებული მანკუნიანელებისთვის გასაქანი არ მიეცათ. ამიტომაც იყო, „მანჩესტერს" მისთვის ჩვეული თვალსასეირო ფეხბურთის გაჩაღება ძალიან რომ გაუჭირდა. გუნდების ასეთმა მიდგომამ ის შედეგი გამოიღო, რომ სახიფათო მომენტები თითქმის არ იქმნებოდა. ფრანგები შეტევებზე ნაკლებად ფიქრობდნენ და ისე გამოვიდა, რომ „ლილმა" პირველ ტაიმში მხოლოდ ერთი მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი შექმნა – **ბოდმერის** საჯარიმო დარტყმის შემდეგ **ვან დერ საარის** კარს ბურთი საკმაოდ დიდი მანძილით ასცდა. „მანჩესტერი" სათამაშო უპირატესობას ფლობდა და უტევდა, მაგრამ უშედეგოდ. 41-ე წუთზე **ლარსონს** მართებდა გოლის გატანა, მაგრამ ვერ ივარგა.

მეორე ტაიმში ფერგის შეგირდები უფრო აქტიურები გახდნენ. „მენიუს" დაწინაურება ჯერ **გიგზს** (51-ე წუთზე), მერე კი კრისტიანო რონალდოს (54) შეეძლოთ. პორტუგალიელი კონტრშეტევაზე „ლილის" გოლკიპერ **სილვასთან** პირისპირ დარჩა, მაგრამ მეკარემ აჯობა. მეორე ტაიმის მეორე ნახევარში კი პუელის გუნდი გააქტიურდა და რამდენიმე მომენტიც შეექმნა. ბოდმერს შესანიშნავად მოთამაშე ვან დერ საარმა აუღო (58), **ოდემვინგის** კი გოლი არ ჩაუთვალეს, რადგან თამაშგარე მდგომარეობიდან იხეირა. მასვე 81-ე წუთზე კიდევ ერთხელ მიეცა შანსი, თავისიანები დაეწინაურებინა. მერე კი (83) იყო გიგზის მოულოდნელი და ალბათ მაინც დაუმსახურებელი გოლი. უელსელმა 18 მეტრიდან ჯარიმა გაიტანა და ეს იმ დროს გააკეთა, როცა სილვა ჯერ კიდევ „ცოცხალ კედელს" აყენებდა, ჰოლანდიელ მსაჯ **ერიკ ბრამჰაარს** კი სასტვენი არ ჰქონდა მიცემული. შესაბამისად, გიგზს გოლის გატანა არ გასჭირვებია. ფრანგები აპროტესტებდნენ, მაგრამ უშედეგოდ – ბრამჰაარმა გოლი ჩათვალა.

**სერ ალექს ფერგიუსონი**: *„გოლი სამართლიანად გავიტანეთ და ვერავინ იტყვის, რომ ეს ასე არაა. მსაჯმა გიგზს დარტყმის უფლება მისცა და ამ უკანასკნელმაც შემთხვევით ისარგებლა. ინგლისის ჩემპიონატში ასეთი შემთხვევები ძალიან ხშირია. რთული მატჩი იყო და ძალიან მიხარია, რომ მოვიგეთ."*

**კლოდ პუელი**: *„ჩემი გუნდით ძალიან ვამაყობ. მათ მთელი მატჩის განმავლობაში თავი არ დაზოგეს და ბოლომდე იბრძოლეს. გული მწყდება, რომ გოლი ბოლო წუთებზე გავუშვით. გიგზის ჯარიმაზე შეგნებულად არაფერს ვიტყვი. ვისაუბრებ მხოლოდ იმაზე, რომ დღეს ძალიან ძლიერ გუნდთან დავმარცხდით. „მანჩესტერში" მოგება ჩვენთვის წარმოუდგენლად რთულია, მაგრამ ბოლომდე ვიბრძოლებთ."*

**სელტიკი–მილანი 0:0**

**სელტიკი**: ბორუცი, უილსონი, მაკმანუსი, ო'დეი, ნეილორი, ნაკამურა, ლენონი (81. გრავესენი), სნო, მაკგიდი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი, მილერი (63. იაროშიკი).

**მილანი**: კალაჩი, ოდო, მალდინი, კალაძე (63. ბონერა), იანკულოვსკი, გატუზო, პირლო, ამბროზინი, გურკუფი, კაკა, ჯილარდინო (77. ოლივეირა).

**მაყურებელი**: 59 146

**არბიტრი**: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

შეხვედრის მომდევნო დღეს იტალიური "გაძეტა დელო სპორტის" პირველ გვერდზე დიდი ასოებით ეწერა: "რონალდო რომ ყოფილიყო...". როგორც ცნობილია, "ფენომენი" "მილანს" ლიგაში ვერ ეხმარება, იმის გამო, რომ ჩემპიონთა ლიგის ამ გათამაშებაში "რეალის" მაისურით რამდენიმე წუთი აქვს ჩატარებული. ვერგამოყენებული მომენტების გათვალისწინებით, მილანელები მართლაც ძალიან ინანებდნენ, ბრაზილიელი გვერდით რომ არ ჰყავდათ. მაგრამ რონალდოზე მეტად, "მილანს" გლაზგოში გამბედაობა აკლდა და ამით აიხსნება ეს 0:0, რომელიც **ანჩელოტის** გუნდს სერიოზულ უპირატესობას აძლევს განმეორებითი მატჩის წინ, მაგრამ რამდენიმე შეკითხვას ტოვებს: რა ანგარიში იქნებოდა "სელტიკ პარკზე", "როსონერის" უფრო რომ გაებედა? პასუხი არ არის, თუმცა ასეთი შედეგი ალბათ მაინც იმ ტაქტიკური მიდგომით აიხსნება, რომელიც ანჩელოტიმ აირჩია და რომელიც მისმა ბიჭებმა ზედმიწევნით ზუსტად შეასრულეს: მაქსიმალური სიფრთხილე დაცვაში, სადაც **ამბროზინი, კალაძისა** და **მალდინის** წინ, პრაქტიკულად, მესამე ცენტრალური მცველი იყო, გამუდმებული პრესინგი მეტოქე ნახევარმცველებზე და მერე სწრაფი გარღვევები შოტლანდიური ციხე-სიმაგრის ასაღებად, რაც **კაკასა** და **გურკუფს** უნდა დაეწყოთ და წინ ეულად დარჩენილ **ჯილარდინოს** უნდა დაესრულებინა. აშკარაა, რომ სამი კაცით (ხანდახან ოთხით) შეტევისას მოწინააღმდეგეს დიდ ხიფათს ვერ შეუქმნი, მაგრამ ანჩელოტიმ დაცვითი თამაში ამჯობინა და ამ თვალსაზრისით, "მილანმა" გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა. ვინც სანახაობას ელოდა, განმეორებით შეხვედრამდე უნდა მოიცადოს: წესით, ორ კვირაში "სან სიროზე" ემოცია უფრო მეტი უნდა იყოს, რაკი მომდევნო წრეში გასვლისთვის "მილანს" სულ ცოტა ერთი გოლის გატანა მაინც სჭირდება.

დაშავებული **ზეედორფის** სახით სტუმრებს დიდი ძალა აკლდათ, თუმცა შაბათს სიენაში გაშვებული სამი გოლისა და დაცვითი ამნეზიების შემდეგ, ყველას ყურადღება მალდინისა და მისი თანარგოლელებისკენ იყო მიმართული. "მილანში" ვენეგოორ **ოფ ჰესელინკის** თავურებს უფრთხოდნენ, მაგრამ ჰოლანდიელს თავით ერთხელაც არ დაურტყამს – ბრავო, კალაძე და მალდინი.

**სტრაჩანის** "სელტიკი", სიმართლე ითქვას, დიდი ვერაფერი გუნდი ყოფილა. სტუმრებისთვის მთავარი საფრთხე 60-ათასიანი "სელტიკ პარკისგან" მოდიოდა, მაგრამ აქ გადამწყვეტი როლი მილანელების გამოცდილებამ ითამაშა. მოგუგუნე ტრიბუნებმა ანჩელოტის მრავალნაცად ფეხბურთელებს კონცენტრაცია ვერ დააკარგვინეს. "სელტიკი" პრიმიტიულ 4-4-2-ს თამაშობდა. განაპირა მცველები წინ თითქმის არასდროს მიდიოდნენ და გუნდის მთელი ტაქტიკა ვენეგოორზე გრძელი პასების კეთება იყო. **მაკგიდიმ** მარცხნივ **ოდო** რამდენჯერმე გვარიანად აწვალა, მაგრამ სტუმრების კართან ამას ხიფათი არ მოჰყოლია. მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში მეკარე **კალაჩი** თამაშში ერთხელ ჩაერთო, როცა **ნაკამურას** კარგად შესრულებული ჯარიმა მოუგერია. ნამდვილი საგოლე მომენტები კი "მილანს" ჰქონდა. 26-ე წუთზე კაკამ ჯილარდინო მეკარის პირისპირ გაიყვანა, მაგრამ ფორვარდმა ცოტა დააგვიანა და როცა დაარტყა, **ბორუცმა** ბურთს ხელი წაჰკრა და კუთხურში გადააგდო. მეორე ნახევარში **გატუზო** ურტყამდა ხელსაყრელი პოზიციიდან, მაგრამ ოდნავ ააცილა. ოლივეირას გამოსავლას (77-ე წუთზე ჯილარდინოს მაგივრად) სიტუაცია არანაირად არ შეუცვლია: თამაში იგივე სცენარით მიდიოდა, **გურკუფი** თავდაუზოგავად იბრძოდა უკან და თავგამოდებით მიდიოდა წინ ("გაძეტა დელო სპორტმა" საუკეთესოდ დაასახელა), მაგრამ "სელტიკის" კარის აღებაზე მაინც არავინ ფიქრობდა. ეს საქმე "მილანმა" 7 მარტისთვის გადადო.

გორდონ სტრაჩანი: *"გარკვეული ჯერ არაფერია და რაკი ჩვენი მეტოქე მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია, ჩემი ბიჭებისთვის მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. "სან სიროზე" ერთი გოლის გატანა ბრწყინვალე შანსს მოგვცემს, თუ ჩვენი თავის რწმენა გვექნება, მომდევნო წრეში გასვლა შეგვიძლია. ჩვენ ახალგაზრდა გუნდი გვყავს და დღეს კარგი გაკვეთილი მივიღეთ. ჩვენი და "მილანის" გამოცდილებას თუ შევადარებთ, სრული საფუძველი მაქვს, რომ კმაყოფილი ვიყო. "სელტიკის" საბრძოლო განწყობას 10 ქულით შევაფასებდი, თუმცა ჩვენი თამაშის ტექნიკურ მხარეს 5 ქულას მივცემდი."*

კარლო ანჩელოტი: *"0:0 ბრწყინვალე შედეგი არაა, მაგრამ სხვა დროსაც დაგვისრულებია პირველი შეხვედრა ამ ანგარიშით და მერე სასურველი შედეგისთვის მიგვიღწევია. კარგი შანსი გვაქვს, რომ მეოთხედფინალში გავიდეთ. ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ, კარგად ვითამაშეთ, ვერ ვიტყვი, რომ ანგარიში ზედმიწევნით ზუსტად ასახავს იმას, რაც მოედანზე ხდებოდა: რამდენიმე საგოლე მომენტი გვქონდა, მეტოქისთვის კი ხიფათის შექმნის შანსი ერთხელაც არ მიგვიცია. გუნდური ფეხბურთი ვითამაშეთ, მთავარი იყო, რომ შიშით არ გვეთამაშა, წინააღმდეგ შემთხვევაში, "სელტიკი" ადვილად დაგვიმორჩილებდა. ამ ამოცანას თავი მშვენივრად გავართვით. ეს ტაქტიკური სქემის დამსახურებაც იყო, რომელმაც საშუალება მოგვცა, რომ მეტოქის ნახევარმცველებისთვის ამოსუნთქვის საშუალება არ მიგვეცა. დაცვაში პროგრესი აშკარა იყო, ჩვენს ნახევარზე პრესინგი გამოვიყენეთ და "სელტიკს" ჩვეული აგრესიით თამაშის საშუალება არ მივეცით. კმაყოფილი ვარ განაპირა მცველებითაც, რომლებსაც დიდი სამუშაოს შესრულება დავავალე: იანკულოვსკი უკან უშეცდომოდ თამაშობდა და შეტევასაც დროულად ეხმარებოდა, იგივე ეხება ოდოსაც, განსაკუთრებით მეორე ტაიმს თუ გავიხსენებთ. გურკუფი? როგორც იქნა, დამანახა ის, რასაც მისგან ვითხოვ. ეს სეზონი მისთვის არასტაბილურია. თავიდან დიდებულად დაიწყო, მერე კი ტრავმა მიიღო და უკლო, თუმცა საუცხოო მონაცემები აქვს და მათ აუცილებლად დაადასტურებს."*



სელტიკი-მილანი. ზებერი მალდინი ორი გლაზგოელის გარემოცვაში

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

## კალათბურთი





ფაჩულია ბენ უოლესის წინააღმდეგ

# ერთი მეოთხედის სირცხვილის ქრონიკა

არც ერთი ქულა თამაშიდან მატჩის მესამე მეოთხედში - ასეთი სირცხვილი იწვნია ჩიკაგოს "იუნაიტედ სენტერში" მოსტუმრე "ატლანტა ჰოქსმა". "ოლ სტარიდან" რეგულარულში მიბრუნებულმა **ჯო ჯონსონმა** და საქართველოდან დაბრუნებულმა **ზაზა ფაჩულიამ** ამ მეოთხედში 4-4 საჯარიმო ქულა მიითვალეს, ეს იყო და ეს. ბუნებრივია, მატჩის ბედიც მესამე მეოთხედში გადაწყდა, არადა მანამდე სტუმრები სულ რაღაც ხუთი ქულით აგებდნენ "ბულზთან" მატჩში. ფაჩულიას მწვრთნელმა **მაიკ ვუდსონმა** ადგილი კვლავ სათადარიგოთა სკამზე მიუჩინა და სულ 25 წუთი ათამაშა, ქართველმა ცენტრმა 9 ქულა და 7 მოხსნა მიითვალა.

"ჩიკაგო ბულზი" მდიდარი ტრადიციების კლუბია, თუმცა მას ისტორიაში არ ჰქონია შემთხვევა, როცა მეტოქე მთელ მეოთხედში უქულოდ დაეტოვებინა (თამაშიდან მოტანილ ქულებს ვგულისხმობთ). 2006 წლის 3 თებერვალს კი "ატლანტელთა" დარი "გმირობა" "საკრამენტომ" ჩაიდინა, როცა "იუტამ" არ გაახარა. ჩიკაგოში ჯორჯიელთათვის საბედისწერო მეოთხედი 8:28 დასრულდა, "ჰოქსმა" კი თამაშიდან ზედიზედ 16 სროლა ააცილა! "ჰოქსის" ლიდერმა ჯო ჯონსონმა მატჩში მხოლოდ 9 ქულის დაგროვება შეძლო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ჩიკაგო-ატლანტა 106:81**

26:19, 22:24, 28:8, 30:30

**ჩიკაგო:** კ. ჰინრიხი (28 წთ. 16 ქ. 3 მ. 1 პ), ბ. გორდონი (20 წთ. 6 ქ. 1 მ. 3 პ.), პ. ბრაუნი (21 წთ. 11 ქ. 9 მ. 1 პ.), ლ. დენგი (29 წთ. 16 ქ. 6 მ. 2 პ.), ბ. უოლესი (32 წთ. 4 ქ. 14 მ. 2 პ.), კ. დიუონი (17 ქ.), მ. ალენი (12), ე. გრიფინი (10), ვ. ხრიაპა (6), ტ. ტომასი (6), ტ. სეფოლოშა (2).

**ატლანტა:** რ. აივი (11 წთ. უქულოდ. 3 მ. 1 პ.), ჯ. ჯონსონი (34 წთ. 9 ქ. 1 მ. 2 პ.), მ. უილიამსი (27 წთ. 12 ქ. 6 მ. 3 პ.), ჯ. სმიტი (33 წთ. 11 ქ. 8 მ. 1 პ.), ლ. რაიტი (16 წთ. 4 ქ. 1 მ. 1 პ.), ჯ. ჩილდრესი (16 ქ.), ს. სტაუდმაიერი (10), **ზ. ფაჩულია (25 წთ. 9 ქ. 7 მ.)**, შ. უილიამსი (5), ს. მედვედენკო (5), ს. კლექსტონი, ს. ჯოუნსი.

| | |
|---|---|
| **I მეოთხედი** | |
| 5:28 | ფაჩულიამ რაიტი შეცვალა |
| 4:33 | ორქულიანი ტყორცნა: 2 ქ. (16:14) |
| 3:44 | მოხსნა: 1 (შეტ: 0, დაც: 1) |
| 3:34 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 1:44 | მოხსნა: 2 (შეტ: 1, დაც: 1) |
| **II მეოთხედი** | |
| 10:33 | ორქულიანი ტყორცნა: უოლესმა დაუფარა |
| 10:30 | მოხსნა: 3 (შეტ: 2, დაც: 1) |
| 10:27 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 8:56 | ფოლი: 1 (დიუონზე) |
| 8:40 | მოხსნა: 4 (შეტ: 3, დაც: 1) |
| 8:38 | ორქულიანი ტყორცნა: 4 ქ. (26:30) |
| 6:15 | ფაჩულია რაიტმა შეცვალა |
| **III მეოთხედი** | |
| 7:26 | მერვინ უილიამსი შეცვალა |
| 7:07 | დაკარგვა: ბარგენი |
| 6:41 | ფაჩულიაზე უოლესი დაჯარიმდა |
| 6:41 | საჯარიმოები: 2/1 5 ქ. (44:58) |
| 6:11 | მოხსნა: 5 (შეტ: 3, დაც: 2) |
| 6:07 | ფაჩულიაზე უოლესი დაჯარიმდა |
| 2:26 | მოხსნა: 6 (შეტ: 4, დაც: 2) |
| 2:25 | ფაჩულიაზე უოლესი დაჯარიმდა |
| 2:25 | საჯარიმოები: 2/1. 6 ქ. (47:68) |
| 1:36 | მოხსნა: 7 (შეტ: 4, დაც: 3) |
| 1:14 | ფაჩულიაზე ალენი დაჯარიმდა |
| 1:14 | საჯარიმოები: 2/2. 8 ქ. (49-70) |
| **IV მეოთხედი** | |
| 9:51 | დაფარება: დიუონს დაუფარა |
| 8:37 | ჩაჭრა: სეფოლოშას ჩაუჭრა |
| 8:36 | ფაჩულიაზე სეფოლოშა დაჯარიმდა |
| 8:36 | საჯარიმოები: 2/1. 10 ქ. (61-84) |
| 5:33 | შელდენ უილიამსმა შეცვალა |

**ზაზა ფაჩულია:** 50 მატჩი (31 სასტარტოში), 11.3 ქულა, 6.7 მოხსნა, 1.5 პასი, 1.0 ჩაჭრა, 0.5 დაფარება, 2.2 შეცდომა, 3.7 ფოლი. **ატლანტა ჰოქსი:** 53 მატჩი, 21 მოგება, 32 წაგება, მე-4 ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში, მე-11 ადგილი აღმოსავლეთის კონფერენციაში. **მომდევნო მატჩი:** ატლანტა-სან ანტონიო, 21 თებერვალი (გამთენიისას დასრულდა)

# კალათბურთიდან სიგარეტის ბიზნესში

საქართველოში ნორმალური პირობების არარსებობას კიდევ ერთი კალათბურთელი შეეწირა. უფრო გასაგებად ვიტყვით - **გოჩა წოწელიამ** კარიერის ნაადრევად დასრულება იმიტომ გადაწყვიტა, რომ ოჯახის შესანახად კალათბურთზე ოდნავ უკეთესი წყარო მონახა. ამას თავად მოთამაშე მოგვახსენებს. აქ კი გეტყვით, რომ იგი 1977 წელსაა დაბადებული და წლეულს 30 წელი უსრულდება. ეს ასაკი ზოგიერთ საკალათბურთო ქვეყანაში გაფურჩქვნის ხანაა, საქართველოში კი...

**"კარიერის დასრულება ასაკის გამო გადავწყვიტე. ხშირად მეუბნებიან, ადრე მოგივიდაო, მაგრამ მიმაჩნია, რომ სწორად მოვიქეცი. ამას თან შარშანდელი სეზონის წარმატება დაემთხვა, "ავიამშენთან" ერთად ოქროს მედალი მოვიპოვე და კალათბურთიდან ჩემპიონად წასვლა ცუდი ნამდვილად არაა."**



გოჩა წოწელია

შეგახსენებთ, რომ გოჩა წოწელია სხვადასხვა დროს "დინამოში", "მაკაბიში", "ბასკოსა" და "ავიამშენში" თამაშობდი. ზუსტად ორი წლის წინათ "მაკაბის" მაისურით ეროვნული პირველობის სნაიპერიც გახდა. სამქულიანებით საჩემპიონო სეზონში "ავიამშენსაც" კარგად დაეხმარა, ხოლო მე-16 პირველობის წინ ქართული კლუბებისგან სერიოზული წინადადება არ მიუღია და მოედნიდან ტრიბუნებზე გადანაცვლება გადაწყვიტა. ჩვენი თხოვნით, საკუთარ კარიერასაც კიდევ ერთხელ შეავლო თვალი:

**"სპორტიდან გულნაკლული ნამდვილად არ წავსულვარ. რაც შემეძლო ყველაფერი გავაკეთე. გავხდი ქვეყნის ჩემპიონი, პირველობის სნაიპერი, მოვიპოვე საქართველოს თასი... ქართველი მოთამაშის კვალობაზე ნორმალური კარიერა მქონდა."**

ისიც ცხადია, რომ სხვა სამუშაო რომ არ მოეძებნა, წოწელია დღესაც ითამაშებდა, თუნდაც "მაკაბიში", რომლის მწვრთნელი, **ჯამლეტ ხუხაშვილი** გოჩას დიდ პატივს სცემს. დავინტერესდით, ყოფილი "ავიატორი" ამჟამად რას საქმიანობს და კითხვა ასე ჩამოვუყალიბეთ: რადგან სპორტს ნაადრევად შეეშვი, უკეთეს სამუშაოს ნახავდი...

**"კალათბურთზე უკეთესი რა უნდა იყოს?! თუ გაინტერესებთ, იმასაც გეტყვით, რომ სიგარეტების ფირმაში გადავინაცვლე. ოღონდ, როგორც ძველი სპორტსმენი, ისევ ჯანსაღ ცხოვრებას ვეწევი - ვვარჯიშობ და სიგარეტს არ ვეკარები. ხოლო თავისუფალ დროს, კალათბურთს ვუყურებ."**

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**

ევროთასი

# სანიკიძე პოდმოსკოვიეში

**ევროთასზე მეორე ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩები გაიმართა. ბელგიური "ლიეჟის" ძლევით (87:73) ცხრილში პირველი ადგილი შეინარჩუნა ვიქტორ სანიკიძის "ესტუდიანტესმა". ხოლო ვახტანგ ნაცვლიშვილის "დიჟონს" ესტონეთის "კალევის" ძლევა მხოლოდ კარის გამოსაჯახუნებლად ეყო - 68:64.**



სანიკიძე მატჩისწინა მოთელვაზე

აქვე გეტყვით, რომ "ესტუს" მეოთხედფინალში პოდმოსკოვიეს "დინამოს" სახით სერიოზული მეტოქე ერგო. აი, ყველა წყვილი: "ესტუდიანტესი"-"დინამო", ტელეკომი" (თურქეთი)-"ვირტუსი" (იტალია), "ხირონა" (ესპანეთი)-"პანიონიოსი" (საბერძნეთი), "აზოვმაში" (უკრაინა)-აელ (კვიპროსი).

მეოთხედფინალები ორ მოგებამდეა, საწყისი ორი მატჩი 6 და 9 მარტს გაიმართება, ხოლო თუ საჭირო გახდა, მესამე შეხვედრა 14 მარტს შედგება. გამარჯვებული ოთხეული ფინალურ ტურნირს 13-15 მარტს ითამაშებს.

ახლა ქართველთა შესახებ. "დიჟონის" შემადგენლობაში **ვახტანგ ნაცვლიშვილს** არ უთამაშია. მას კუნთი აქვს გაჭიმული და, სავარაუდოდ, მოედანს კვირის ბოლოს დაუბრუნდება. ხოლო **ვიქტორ სანიკიძემ** წლეულს "ესტუდიანტესის" შემადგენლობაში საუკეთესო მატჩი ჩაატარა: სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა, თითო ორი და სამქულიანი ჩააგდო, 5 ქულა, 7 მოხსნა და 1 პასი გააკეთაო. სხვათა შორის, 7 მოხსნა ვიქტორის ესპანური რეკორდია.

საინტერესოა, რომ ახალი მწვრთნელი **მარიანო დე პაბლო** ქართველ ფორვარდს ორ მნიშვნელოვან ეპიზოდში ენდო - პირველსა და მეოთხე პერიოდებში ციფრებიც მეტყველებს, რომ სანიკიძეს თავი არ შეურცხვენია - საწყის 7 წუთში 4-ჯერ მოხსნა, თითო ჩატენვა და სამქულიანი მიითვალა, რასაც ნიკოლიჩის მისამართით შესრულებული შედეგიანი გადაცემა მიაყოლა. ბოლო მოხსნა კი საფინალო სირენამდე ერთი წუთით ადრე გააკეთა.

ევროთასი. საბოლოო მდგომარეობა. I ჯგუფი. 1. **ესტუდიანტესი (ესპანეთი)** - 5 მოგება / 2. აელ (კვიპროსი) - 5, 3. ლიეჟი (ბელგია) - 1, 4. შაულიაი (ლიტვა) - 1; L ჯგუფი. 1. ხირონა (ესპანეთი) - 6 მოგება, 2. ვირტუსი (იტალია) - 4 / **3. დიჟონი (საფრანგეთი)** - 2, 4. კალევი (ესტონეთი) - 0



სერგო ათუაშვილი ნევეჟისთან მატჩში

ბალტიის თასი

# ნაყოფიერი 7 წუთი

ბალტიის თასის გათამაშების მეცხრე ტური ქართველთათვის ისევე საინტერესო იყო, როგორც მერვე. თუ წინა შემთხვევაში ეთმანეთს **სერგო ათუაშვილისა და გიორგი ცინცაძის** კლუბები დაუპირისპირდნენ, მეცხრე ტურშიც "ქართული" გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს - ათუაშვილის "ნეპტუნასმა" **ტატო ვაშაკიძის** "ნევეჟისს" უმასპინძლა. ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი წევრები კლაიპედაში ერთმანეთს კი შეხვდნენ, მაგრამ მოედნის მიღმა, თამაშისას კი ქართული დაპირისპირება არ შედგა. ამის მიზეზი "ნევეჟისის" მწვრთნელის **გინტარას ლეონავიჩუსის** გადაწყვეტილება იყო - ვაშაკიძე სათადარიგოთა სკამიდან წუთითაც არ ააყენა.

საკმარისი დრო არც ათუაშვილს მიეცა, თუმცა 7 წუთში იმაზე მეტი გააკეთა, ვიდრე მისგან ელოდნენ: 3-დან 2 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო გამოიყენა და 6 ქულას ერთი დაცვითი მოხსნაც წაამატა.

ვერც სერგოს 6 და ვერც სნაიპერ **დორსის** 21 ქულა გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა - "ნევეჟისმა" სტუმრად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა (83:73) და სატურნირო ცხრილში "ნეპტუნასის" გარდა კიდევ ორ გუნდს გადაასწრო.

ვიდრე მე-2 ჯგუფის სატურნირო მდგომარეობას გაგაცნობდეთ, კიდევ ერთ მატჩზე შევჩერდებით. ოღონდ მოკლედ, რადგან "ტარტუ როკის" შემადგენლობაში **გიორგი ცინცაძეს** არ უთამაშია. იგი არც განაცხადში ყოფილა. ვერც მისმა თანაამპლუელმა **ტანელ ტეინმა** ივარგა. მაგრამ ამ გარემოებებმა "როკს" გამარჯვებაში ხელი ვერ შეუშალა - ლიტვის "ატლეტასს" 98:60 სძლია.

ბალტიის თასი. B ჯგუფი. 9 ტურის შემდეგ. 1. როკი **(ესტონეთი) - 9 მოგება, 2. ნევეჟისი (ლიტვა)** - 5 / 3. კალევი (ესტონეთი) - 5, 4. ლიეპაია (ლატვია) - 5, 5. **ნეპტუნასი (ლიტვა)** - 4, 6. ატლეტასი (ლიტვა) - 2, 7. საკალაი (ლიტვა) - 1, 8. პანევეჟისი (ლიტვა) - 1.

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ბიბლიოთეკა

## რაგბი



საქართველოს ნაკრების კაპიტანი ილია ზედგინიძე და ანრი ბრონკანი

# ნაბიჯი, რომელიც ჯერ არ გადამიდგამს

## ანრი ბრონკანის ქრონიკა

**საქართველოს** მორაგბეთა ნაკრების კონსულტანტად ახლახან საფრანგეთის მეორე დივიზიონში მოასპარეზე "ოშის " მთავარი მწვრთნელი ანრი ბრონკანი დაინიშნა. ბორჯღალოსანთა კაპიტნის, ილია ზედგინიძის საკლუბო დამრიგებელი ფრანგულ სარაგბო წრეებში გამორჩეული პიროვნებაა. ფრანგული სარაგბო გაზეთი "მიდი ოლიმპიკი" კვირაში ერთხელ ბრონკანის მიერ აღწერილ განვლილი კვირის ქრონიკებს აქვეყნებს. ვფიქრობთ, ეს რაგბის ქართველი ქომაგებისთვისაც არ იქნება უინტერესო.

### 15 თებერვალი, ხუთშაბათი

პარიზში "ოშის" პრეზიდენტ **ბერნარ ლაფიტთან** ერთად გავემგზავრე. იქ ერთ პიროვნებას უნდა შევხვდეთ, რომელიც სავარაუდოდ ჩვენი კლუბის ფინანსური პარტნიორი უნდა გახდეს. შეხვედრა მიტერანის ბიბლიოთეკის მახლობლად გაიმართა. უშიშროების სამსახურმა გულდასმით გაგვჩხრიკა და მეხუთე სართულზე ავედით. უჰალსტუხოდ ვარ, ჯინსებში, ოღონდ გაპარსული. რატომღაც, სახის ძალიან კმაყოფილი გამომეტყველება მაქვს. თითქოს მეკარე ვიყო, რომელმაც ესესაა რონალდინიოს პენალტი აუღო.

გაოცებული ვარ. ბატონ დირექტორს, რომელმაც სპონსორობის სურვილი გამოთქვა, თურმე რაგბი სიგიჟემდე უყვარს. წინა კვირაში ლანგედოკის მხარეშიც ვნახეთ ასეთივე "გიჟი". ერთი სიტყვით, რაგბის სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი უღებს თავისი გულის კარებს.

პარიზში მშვენიერი ამინდია. ტაქსი გავაჩერეთ და ტრიუმფული თაღისკენ ავიღეთ გეზი. მძღოლმა გვიცნო. ბევრი გველაპარაკა. გვითხრა, თქვენისთანა ხალხი "ოშს" დიდ წარმატებებს მოუტანსო.

### 16 თებერვალი, პარასკევი.

დილის რვა საათზე პარიზის მერთან გვაქვს შეხვედრა. ადგილობრივ ყოველდღიურ გაზეთში სტატიას მოვკარი თვალი. ორ მსაჯს ეკითხებიან "ოში" პირველ დივიზიონში თუ ითამაშებს, - კარგია იქნება თუ ცუდი? პირველმა დადებითი პასუხი გასცა. მეორემ დაუფარავი აგრესია გამოავლინა. ნეტა რას გვერჩის? უმალ ჩვენი ქალაქის მერი გამახსენდა, რომელმაც რამდენიმე დღის წინ იგივე შეკითხვა დამისვა. ისე ვუპასუხე, როგორც მეფეს: "მე ვაპირებ ვებრძოლო თქვენი უდიდებულესობის მტრებს და გტოვებთ ჩემი მტრების გარემოცვაში". აბა მე რა ვიცი, კარგი იქნება ცუდი. გულთმისანი კი არ ვარ მომავალი განვჭვრიტო.

საღამოს უკვე ოშში ვართ. ოიონაქსში გამგზავრებამდე ბოლო ვარჯიში გავმართეთ.

### 17 თებერვალი, შაბათი.

დილის 7 საათია. სეზონში ყველაზე გრძელი მგზავრობისთვის ვემზადებით. ბიჭები უკმაყოფილებას ვერ მალავენ. თვითმფრინავით მგზავრობის ორგანიზება ვერ მოვახერხეთ და ოიონაქსისკენ ავტობუსით გავწიეთ. ეს ოხერი **რაფაელ ბასტიდიც** ("ოშის" კაპიტანი), რომელიც ჩემთან 1994 წლიდანაა, ისე ხვრინავს, სატანკო დივიზიის შეტევა გეგონებათ. ცხადია, ეს დანარჩენებს კიდევ უფრო მეტ დისკომფორტს უქმნის, მე კი მიყვარს ავტობუსით მგზავრობა. ეჰ, რაც მე საფრანგეთის ტრამალები მისერია ჩემი კარიერის დასაწყისიდან დღემდე მოყოლებული.

ეს ჩემი სტიქიაა. ჩემთან ერთად არიან ის მწვრთნელები და მორაგბეები, რომლებიც კლუბისთვის პირადად შევარჩიე. არავითარი საინფორმაციო საშუალება, არავითარი მშობლები, არავითარი მეგობარი გოგონები. ახლა ისინი მე მეკუთვნიან. ზოგი ბანქოს თამაშობს, ზოგი კითხულობს, ზოგიც "ოიონაქსის" ბოლო მატჩის ვიდეოჩანაწერს ადევნებს თვალყურს.

გზად ნიმში შევჩერდით. აქ "კოფმანის" სტადიონის სათადარიგო მოედანზე ვივარჯიშეთ. იქვე გვერდით, ფედერალ 1-ის "ნიმი" ემზადება პლეიოფში "შალონის" წინააღმდეგ სათამაშოდ. ნიმელებს შორის ნაცნობი სახეები დავლანდე: **შაბოვსკი, ანდრიო, ლანგლადი...** ესენი ხომ ჩვენი, "ოშის" აღზრდილები არიან. ძალიან გამეხარდა ბიჭების ნახვა. მოვიდნენ, ვისუბრეთ, ბევრი სურათი გადავიღეთ.

დღის ბოლოს ჩავაღწიეთ ნანტამდე, სადაც ბანაკი დავეცით. ჩემმა ზედმეტად ყურადღებიანმა მენეჯერმა დაიჩემა, გინდათ თუ არა, პირველ სართულზე აიღეთ ოთახი, სამი სართულის ფეხით ავლა რომ არ დაგჭირდეთო. მიფრთხილდება ბერიკაცს. მაგრამ, ყველაზე საინტერესო ისაა, რომ დაწესებულების მეპატრონე დაჟინებით მოითხოვს, აუცილებლად 312-ე ოთახში უნდა იცხოვროთო. თურმე რა ხდება - **ერიკ კატინომ**, ხვალინდელი მეტოქის, "ოიონაქსის" მწვრთნელმა და ჩემმა უახლოესმა მეგობარმა, ამ ოთახში საჩუქრად ჩემი საყვარელი მხატვრის, მაკ ვინის ესკიზი დამიტოვა. ხოდა, რა უნდა მექნა, მეგობარს ვერ ვაწყენინებდი და 312-ში დავსახლდი.

ერიკს თავისი გუნდი ქალაქგარეთ, პატარა დასახლებაში გაუხიზნავს და იქ ამზადებს საომრად. ქაღალდის ნაგლეჯი ავიღე და დავაწერე - "ძილი ნებისა, მეგობარო". ამ ჩანაწერს ხვალ თამაშის მერე ბოთლ "არმანიაკთან" ერთად გადავცემ. იმედი მაქვს, მოვიგებთ.

### 18 თებერვალი, კვირა.

დილის ვარჯიშზე ბიჭები ისევ წუწუნებენ. როგორც ჩანს დასვენება, ძალების აღდგენა ვერ მოასწრეს ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ. თამაში ცუდი გამოდგა. მორაგბეები შეუპოვრად იბრძოდნენ, ერთმანეთს არ ზოგავდნენ, ისმოდა ძვლების ჭახაჭუხი, მებრძოლთა გმინვა. ერთი სიტყვით, სუფთა მეორედივიზიონური თამაში გამოდგა. 16:16, ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება დაგრჩეს კაცს, რომ ყველაფერი წესრიგშია, ყველა კმაყოფილია. თუმცა მერწმუნეთ, თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე მე ასეთი მატჩი ერთიც არ მინახავს.

ერიკ კატინოს თავშეკავებულად გადავეხვიე, თუმცა მხურვალე მეგობრები ვართ. გუშინდელი ჩანაწერი არ ვუჩვენე. არ ეწყინებოდა, მაგრამ მაინც არ ჩავთვალე საჭიროდ, მით უფრო, რომ ვერ დავამარცხე.

### 19 თებერვალი, ორშაბათი.

რესტორანში ერთდროულად პირველი დივიზიონის ორი კლუბის პრეზიდენტთან ვისადილე. ერთი რაგბის წიაღიდანაა, მეორე ბიზნესის სამყაროდან. ორივეს თავის კლუბში ჩემი გადაბირება სურს. ერთ-ერთი სამწლიან კონტრაქტს მთავაზობს. სერიოზული, პატივმოყვრული, მაგრამ კონკრეტული მიზნები აქვს.

ცხრა წლის წინანდელი ამბავი გამახსენდა. როცა ჩემი მშობლიური გუნდი დავტოვე, რომელშიც 17 წელი გავატარე და "ოშში" გადავბარგდი. მაშინ ძალიან ძვირფასი მეგობრები დავკარგე. იმდენად, რომ განშორების სიმწარე დღესაც მალიმალ მახსენებს თავს. და ახლა, 63 წლისა, შესაძლოა ჩემი ცხოვრების ბოლო სპორტული თავგადასავლის საძებნელად გავემართო? ხუთშაბათს, წავალ და ტოქსში, ჩემი მუხის ქვეშ წამოვწვები. ყველაფერს კარგად ავწონ-დავწონი ლა გადავწყვეტ, გადასადგმელია თუ არა ეს ნაბიჯი.

## ჭადრაკი

### საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა

# გასამდა

**შეჯიბრებაზე** უმთავრესი ეტაპი დგება - ექვსმა ტურმა ჩაიარა და დარჩენილი სამი უმნიშვნელოვანესია. მეექვსე ტურის შემდეგ ერთპიროვნული ლიდერი ლიდერთა სამეულმა შეცვალა, ნახევარ ქულაში კიდევ ცხრა მოჭადრაკეა, უმაღლესის საგზური კი მხოლოდ ოთხია.

პირველ დაფაზე **შოთა აზალაძემ** კვლავ იოლად გააფორმა ზავი, აჯერად 14 სვლაში **დავით მაღალაშვილს** შეუთანხმდა ყაიმზე. ვნახოთ, თუ გაამართლებს მისი ამგვარი "მშვიდობიანი პოლიტიკა".

მშვიდად გაყრა ისურვეს **სოფიკო გურამიშვილმა** და **დავით ზარქუამაც**. გურამიშვილი აღმავლობით თამაშობს და მისი უბრძოლველობა გაგვიკვირდა - ზარქუა ძლიერი მოჭადრაკეა, მაგრამ სოფო აღმავლობის გზაზეა და თეთრებითაც უტევდა, არც პოზიცია ჰქონდა უარესი - პირიქით, უფრო სიმპათიურად გამოიყურებოდა, მაგრამ გურამიშვილმა ძალები დაზოგა. დღეს იგი პრინციპულ მეტოქეს ხვდება შავებით - **გიორგი მარგველაშვილს**, რომელსაც ამასწინათ 18-წლამდელთა საქართველოს ჩემპიონატზე კოეფიციენტით აჯობა და ჩემპიონიც გახდა.

შედეგიანი იყო მეორე და მესამე დაფებზე გამართული შეხვედრები: მეორეზე **დავით არუთინიანმა** მწვავე ბრძოლაში **გაიოზ ნიგალიძე** დაამარცხა, მესამეზე კი **გიგა ყუფარაძემ** შავებით აჯობა ერთ-ერთ ფავორიტს, **კონსტანტინე შანავას**.

ყუფარაძის მოგება მცირე მოულოდნელობა იყო, - შანავა დიდოსტატია და თან თეთრებით იყო, თუმცა ქუთაისელმა დებიუტშივე აჯობა და იმდენად დიდი უპირატესობა მოიპოვა, რომ მალევე უნდა დაესრულებინა პარტია. თუმცა გიგა აჩქარდა, რამდენიმე უზუსტობა დაუშვა და შანავას სულის მოთქმა აცალა, კონსტანტინემ პაიკთა რაოდენობა კი გაათანაბრა, მაგრამ მაგრამ ხარისხით უკან მაინც დარჩა. ენდშპილში ლაზიერები გაიცვალა და ორი ეტლით, ეტლისა და კუს მორევა ყუფარაძემ იოლად არა, მაგრამ შეძლო.

სწორედ ყუფარაძე და არუთინიანი შეუამხანაგდნენ აზალაძეს და ლიდერთა ტრიო შექმნეს.

**ზვიად შათირიშვილი**

**დღეს, მეშვიდე ტურში:** შოთა აზალაძე (4)-დავით არუთინიანი (4), გიგა ყუფარაძე (4)-ზვიად ფაცია (3.5), დავით მაღალაშვილი (3.5)-დავით ბენიძე (3.5), დავით ზარქუა (3.5)-გიორგი ბალათუროვი (3.5), ბეგლარ ჯობავა (3.5)-დავით ჯოჯუა (3.5), გიორგი მარგველაშვილი (3.5)-სოფიკო გურამიშვილი (3.5), ლუკა პაიჭაძე (3.5)-თამაზ მგელაძე (3.5), ლევან აროშიძე (3)-პარმენ გელაზონია (3), მიხეილ ჭიპაშვილი (3)-კონსტანტინე შანავა (3), გაიოზ ნიგალიძე (3)-თორნიკე სანიკიძე (3)

### აეროფლოტის თასი

# ჯობავამ გამოასწორა

**ორი** ტურიც და მოსკოვში დასრულდება დიდი საჭადრაკო ფესტივალი "აეროფლოტ-ოუფენი". უძლიერეს ტურნირში ერთადერთი ქართველი, **ბაადურ ჯობავა** თამაშობს.

ბაადური "აეროფლოტის" შარშანდელი გამარჯვებულია და პირველობის პრეტენზია წელსაც ჰქონდა, მაგრამ სტარტი მძიმედ აიღო. საბედნიეროდ, შუა ტურნირში ბაადურმა ჩვეულად გაილაღა და ზედიზედ სამი პარტია ულამაზეს სტილში მოიგო - მეშვიდე ტურში ბელარუსი **ალექსეი ალექსანდროვი** შავებით დაამარცხა, 5 ქულა დააგროვა და კოეფიციენტით ცხრილში მეოთხე ადგილი დაიკავა. 5 ქულა კიდევ სამ მოჭადრაკეს აქვს, ლიდერი კი სამია - რუსები **ევგენი ალექსეევი** (2661), **დმიტრი იაკოვენკო** (2691) და **ევგენი ტომაშევსკი** (2624) - 5.5 ქულა. მერვე ტურში ჯობავა ტომაშევსკის თეთრებით ხვდება, ხოლო ალექსეევი და იაკოვენკო ერთმანეთში თამაშობენ.

მეორე ტურნირშიც ერთი ქართველია - **ნანა ძაგნიძე**, რომელიც ძალიან ცუდად თამაშობს - 7 ტურის შემდეგ მხოლოდ 1.5 ქულა მოაგროვა და 139 მონაწილეს შორის 136-ეა. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არა აქვს რანგით მესამე, B ჯგუფში მოთამაშე **შავლეგ შამუგიას** - 2 ქულით ისიც ცხრილის ფსკერზეა.

ყველაზე კარგი ვითარება C ჯგუფში გვაქვს, სადაც 14 წლის **ნაზი პაიკიძე** თამაშობს. მართალია ამ ჯგუფში მოყვარულები და ჯერ კიდევ დაულვინებელი მოჭადრაკეები მონაწილეობენ, მაგრამ საერთო დონე მაინც რიგიანია. რეიტინგების სიმცირემაც არ უნდა მოატყუოს მკითხველი, - ზოგიერთი გამოცდილი მოჭადრაკე ამ ტურნირისთვის სპეციალურად იგდებს რეიტინგს, რათა C ჯგუფში გამარჯვება მოიპოვოს - პირველი ადგილისთვის 3 000 დოლარია დაწესებული. ნაზის არც არაფერი დაუკლია და პირიქით, მომატებისთვის იბრძვის, რასაც აუცილებლად შეძლებს, თუმცა ბოლო ტურში რთული ამოცანა ექნება გადასაწყვეტი - ნაზი 6.5 ქულით პირველ-მეორე ადგილებს იყოფს და რუს **სერგეი გალევს** თეთრებით ხვდება.

**ზვიად შათირიშვილი**

## ფარიკაობა

# ანზორ ალბრეხტი პეკინისკენ მიიწევს

**ტალინში** დასრულმა მოფარიკავეთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც გამოდიოდნენ 25 ქვეყნის უძლიერესი მუშკეტერები. დაშნით ფარიკაობაში 100 მონაწილეს შორის მე-15 ადგილზე გავიდა თბილისელი **ანზორ ალბრეხტი**.

*- თუ გავითვალისწინებთ, რომ სულ მალე, კონკრეტულად კი მაისიდან სალიცენზიო ტურნირები იწყება, სადაც ყოველ პროგრამაში 40 საუკეთესო მიიღებს პეკინის ოლიმპიადის საგზურს, ჩვენი მოფარიკავის შედეგი ტალინის ტურნირში დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს, მით უფრო, რომ სეზონი ეს-ესაა დაიწყო.* - უთხრა "ლელოს" კორესპონდენტს საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **მორის სახვაძემ**.

1920



საქართველოს რაგბის კავშირი და სარაგბო კლუბი "ლოკომოტივი" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ტრაგიკულად დაილუპა ამავე კლუბის მორაგბე

**სანდრო გილაური**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ

# კიდევ ერთი უკმაყოფილო

## კოტე კუპატაძე: წინასწარ ვიცოდი, რომ დამჩაგრავდნენ

**ორი დღის წინათ შემოგთავაზეთ ინტერვიუ საქართველოს ნაკრების ნევრ დავით ნიკლაურთან. ბოლო წლებში, თავის წონაში (81 კგ) გამოკვეთილი ლიდერი ღიად საუბრობდა იმაზე, რომ საქართველოს ჩემპიონატის ფინალურ ორთაბრძოლაში დაიჩაგრა და თუ ასე გაგრძელდა, საზღვარგარეთ გადაბარგდება.**

**64 კილოგრამში, ლევამიჩავა-კუპატაძის ფინალურმა ბრძოლამაც ეჭვი გამოიწვია. რა თქმა უნდა, მსაჯები ჩვენზე გაცილებით კომპეტენტურები არიან ქულების დარიცხვის საკითხში, მაგრამ დარბაზში, ძირითადად, საკრივო წრეების წარმომადგენლები ისხდნენ, რომლებიც საკმაოდ კარგად ერკვევიან ამ სახეობაში - ბევრი აღნიშნავდა, რომ კოტე აშკარად არ იმსახურებდა წაგებას. ამავე აზრზეა კოტე კუპატაძეც, რომელსაც გუშინ დავუკავშირდით.**

- როდესაც მსაჯი ასეთი დონის შეხვედრას ემსახურება, დარწმუნებულიც უნდა იყოს, რომ ეს შეუძლია და სამართლიანი იქნება. რა თქმა უნდა, მსაჯიც ადამიანია და, შესაძლოა, უნებლიედ შეცდეს, მაგრამ ჩემსა და ლევამიჩავას შორის გამართულ შეხვედრაში, აშკარად ადგილი ჰქონდა მსაჯებზე სხვა პიროვნების, ან პიროვნებების ზეგავლენას, რის გამოც, აშკარად მოგებულ შეხვედრაში წაგებულად გამომაცხადეს.

**- ფაქტობრივად, გაფრთხილებამ წაგაგებინა შეხვედრა. რამდენად სწორი იყო ამ შემთხვევაში რეფერი?**

- საერთოდ, თანამედროვე კრივში, საერთაშორისო შეჯიბრებებზე, ხშირია შემთხვევა, როცა მსაჯებს "ზემოდან" აქვთ დავალება, რომ ამა თუ იმ მოკრივემ არ უნდა გაიმარჯვოს. ასეთ შემთხვევაშიც კი, რეფერის თუ მისი გაფრთხილება უნდა, მინიმუმ, სამჯერ მაინც აძლევს სიტყვიერ შენიშვნას და მხოლოდ მერელა სჯის გაფრთხილებითა და მინუს ორი ქულით. მე კი პირველი შენიშვნის შემდეგ, უმალვე გამაფრთხილეს. თანაც, იმ მომენტში საერთოდ არ დამირტყამს გაშლილი ხელით. ასეც რომ ყოფილიყო, ასეთი დარღვევის დროს, პირველი შენიშვნის შემდეგვე გაფრთხილებას არსად აძლევენ. მიუხედავად ამისა, მაინც მქონდა იმხელა უპირატესობა, რომ იმ გაფრთხილების მიუხედავადაც კი, 7-8 ქულით მაინც მომეგო. თუმცა, ქულებს აშკარად მაკლებდნენ...

**- როგორც ფინალის დღეს თქვი, წინასწარვე იცოდი, რომ დაგჩაგრავდნენ. რა გაძლევდა ასეთი განცხადების საფუძველს?**

- შორიდან დავიწყებ. ალბათ გახსოვთ, რომ შარშანაც მქონდა პრობლემები. კერძოდ, შარშანდელ ეროვნულ ჩემპიონატამდე ორი კვირით ადრე, ხელფასი მომიხსნეს, მერე კი ნაკრების მაშინდელ მწვრთნელ დავით ცერცვაძესთან შემექმნა პრობლემა, რის მიზეზსაც დღემდე ვერ ვხვდები. მაშინ, საკმაოდ გულგატეხილი ვიყავი, არც საქართველოს ჩემპიონატზე გამოვსულვარ და საზღვარგარეთ ვაპირებდი წასვლას. საქართველოს კრივის ფედერაციის ახალმა ხელმძღვანელობამ მოახერხა, რომ აქ დარჩენაზე დავეყოლიებინე, ფინანსური პრობლემებიც მომიგვარეს და შეკრებებზე გამართულ სპარინგებშიც მივაღწიე იმას, რომ ნაკრები ადგილი დავიჯავშნე და ევროპის ჩემპიონატზე წავედი. თუმცა, ამდენი გაწამაწიის გამო, ისე მომზადება ვერ მოვახერხე, როგორიც საჭირო იყო და ევროპის ჩემპიონატზე, მეოთხედფინალში დავმარცხდი. არადა, კარგად რომ მოვმზადებულიყავი, მინიმუმ, ფინალში ვიჩხუბებდი.



კოტე კუპატაძის (მარცხნივ) და ლევან ლვამიჩავას ფინალი

შარშანდელი პრობლემები თითქოს წარსულს ჩაბარდა, მაგრამ როგორც საქართველოს წლევანდელმა ჩემპიონატმა დაგვანახა, ყველაფერი ასე მარტივად არ ყოფილა. არ დაგიმალავთ, წლეულსაც არ მინდოდა საქართველოს პირველობაზე გამოსვლა, მაგრამ მაინც ვიასპარეზე, რადგან ჩემი თავის იმედი მქონდა. თავიდანვე ვიცოდი, რომ თუკი ჩემპიონობა მინდოდა, ფინალში იმხელა უპირატესობა უნდა მქონოდა, რომ მსაჯებისთვის დაჩაგვრის ყველანაირი საშუალება მომესპო. პრინციპში, ასეც იყო, მაგრამ არბიტრების არაობიექტურობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ვიმედოვნებ, ჩემს ნათქვამს დამარცხებული კაცის ცხელ გულზე ნათქვამად არ ჩათვლით. მე სპორტსმენი ვარ, სპორტსმენმა კი გამარჯვების გარდა, ღირსეულად წაგებაც უნდა იცოდეს. მე კი არა, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებს წაუგიათ, მაგრამ მარცხსაც გააჩნია! ამ ფინალში დამარცხებულად გამოცხადების, უბრალოდ, მრცხვენია და ეს მხოლოდ ჩემი აზრი არაა. ჰკითხეთ ყველას, ვინც ჩემი ჩხუბის დროს ტრიბუნებზე იჯდა, ერთი კაცი მაინც თუ გეტყვით, რომ ალალად წავაგე...

**- სხვა მოკრივეებზე რას იტყვი, კიდევ თუ დაინახე ვინმეს აშკარად დაჩაგვრის შემთხვევა?**

- სიმართლე გითხრათ, სხვა შეხვედრებიდან, უმეტესობისთვის ხეირიანად არც მიყურებია, მხოლოდ წამიერად თუ შევავლებდი ხოლმე თვალს. უფრო საკუთარ თავზე ვიყავი კონცენტრირებული, თან წონის პრობლემაც მქონდა და მთელი ჩემპიონატი წონის კონტროლში ვიყავი. ამას გარდა, ფინალის შემდეგ, ისე ვიყავი დათრგუნული, რომ ახლაც ბუნდოვნად მახსოვს, რა ხდებოდა დარბაზში. მხოლოდ ის მახსენდება, რომ მოდიოდა ბევრი ადამიანი და მამხნევებდნენ, მე კი ვგრძნობდი, რომ მოხდა ძალიან ცუდი რამ...

**- ეროვნულ ნაკრებში მოხვედრის იმედი გადაგეწურა?**

- თუ ჩემპიონატის მიხედვით ვიმსჯელებთ, ალბათ ასეა. რამდენიმე დღეში, ნაკრები ბორჯომში შეკრებას იწყებს და იქ მხოლოდ ჩემპიონები მიჰყავთ. თუ მეც ვჭირდები, ხომ დამიძახებდნენ. შესაძლოა, შემდეგ შეკრებებზე გამომიძახონ კიდეც და სპარინგებიც გამამართინონ, მაგრამ როცა ამდენი ხალხისა და ჟურნალისტის თვალწინ ასე აშკარად დამჩაგრეს, რა გარანტია მაქვს, რომ შეკრებაზე, გაცილებით ვიწრო წრეშიც ასე არ მოხდება? ვნახოთ, მე ყოველთვის მზად ვარ, რომ ნაკრებს ვემსახურო, სადაც უნდა ვიყო, ყველგან დავამტკიცებ ჩემს სიძლიერეს. და თუ ამის საშუალება არ მომეცემა, სხვა გზას მოვნახავ.

**- სხვა გზაში რას გულისხმობ, ისევ საზღვარგარეთ წასვლაზე ხომ არ ფიქრობ?**

- ამწუთას, ამ ვარიანტზე არ ვფიქრობ, მაგრამ მომავალში გამორიცხული არაფერია. შევხედავ სიტუაციას, კიდევ ერთხელ საფუძვლიანად გავაანალიზებ ყველაფერს და გადაწყვეტილებას ამის მიხედვით მივიღებ...

**კობა ხატისაშვილი**



მერაბ თურქაძე მოგებული ფინალის შემდეგ

# პეკინისთვის ჩვენც გავიბრძოლებთ

**ახლახან დასრულებულ საქართველოს ჩემპიონატზე ქუთაისელმა მოკრივეებმა ექვსი მედალი მოიპოვეს. ორი ჩემპიონი გახდა, ოთხი კი მესამე ადგილზე გავიდა. ჩვენ ვესაუბრეთ ქუთაისის მოკრივეთა ნაკრების მთავარ მწვრთნელს კუკური შავგულიძესა და საქართველოს ჩემპიონატზე ერთ-ერთი ყველაზე დიდი სენსაციის ავტორს, 51 კილოგრამში გამარჯვებულ მერაბ თურქაძეს.**

**კუკური შავგულიძე**
მწვრთნელი

- ქუთაისის კრივის დარბაზებში რემონტია და საქართველოს ჩემპიონატს ბოლომდე მომზადებული ვერ შევხვდით, თუმცა შედეგებით მაინც კმაყოფილი ვარ. ჩემპიონატზე ძირითადად ახალგაზრდები წავიყვანეთ და გაგვიმართლეს კიდეც. ცოტა ხანში ეს ბიჭები ახალგაზრდებს შორის საქართველოს ჩემპიონატშიც ისპარეზებენ და მჯერა, რომ ამ ტურნირზე უფრო მეტი გამარჯვებული და პრიზიორი გვეყოლება. შემდეგ ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონატი გვიწევს, სექტემბერში კი დიდებში მსოფლიო ჩემპიონატია, სადაც ოლიმპიური ლიცენზიები გათამაშდება. მსოფლიოზე საქართველოს ნაკრების რიგებში 2-3 ქუთაისელი მოკრივე იქნება და იმედია, ოლიმპიური ლიცენზიებით დაგვიბრუნდებიან.

**- კონკრეტულად ვის აქვს ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვების შანსი?**

- საქართველოს ჩემპიონი კობა ფხაკაძე ძლიერი მოკრივეა და უპირველესი კანდიდატი ისაა. ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენია მერაბ თურქაძე და მისი ჩემპიონობა შემთხვევითობა სულაც არ ყოფილა. მერაბი ძალიან ახალგაზრდაა და სამუშაო ჯერაც ბევრი აქვს. დავაკვირდებით, როგორ იასპარეზებს ევროპის ჩემპიონატზე მის ასაკში და მის პერსპექტივაზე ამის მიხედვით ვიმსჯელებ. კრივს დაუბრუნდა საქართველოს ჩემპიონი მძიმე წონაში გაგა ბოლქვაძე. დიდი მონდომებით ემზადება და მისი იმედიც გვაქვს. ასევე დაგვიბრუნდა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ავთო კაშია, რომელიც ორი წლის განმავლობაში ჩამოშორებული იყო კრივს.

**მერაბ თურქაძე**
საქართველოს ჩემპიონი, 51 კგ

- 18 წლის ვარ. აქამდე ჭაბუკთა შორის საქართველოს ჩემპიონი და ახალგაზრდებს შორის ქვეყნის ვიცეჩემპიონი გახლდით. წელს ყველაზე დიდ წარმატებას მივაღწიე და დიდებში საქართველოს ჩემპიონობა მოვიპოვე.

**- რამდენად მოსალოდნელი იყო თქვენთვის ეს წარმატება?**

- 51 კილოში საკმაოდ დიდი კონკურენციაა. ნახევარფინალში ვახტანგ წინამძღვრიშვილის სახით ძალიან ძლიერი მეტოქე მყავდა, ფაქტობრივად ესეც ფინალი იყო. ალარაფერს ვიტყვი გიორგი კილანავაზე, რომელთან ჩხუბიც ძალიან გამიძნელდა, თუმცა ჩემპიონი მე გავხდი. იღბალიც ჩემს მხარეზე იყო. აქამდე მქონდა ისეთი შემთხვევები, როცა მეტოქეს აშკარად ვჯობდი, მაგრამ მსაჯები გამარჯვებულად მოწინააღმდეგეს ასახელებდნენ. როცა გიორგი კილანავასთან ფინალური ორთაბრძოლა 13:13 დასრულდა, ვიფიქრე, მეტოქეს აუწევენ ხელს-მეთქი, თუმცა, ამჯერად მე გამიმართლა.

**-სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით?**

- 28 თებერვალს საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი იწყება და ამ ტურნირზეც ჩემპიონობას ვაპირებ. შემდეგ ბაქოში ა კლასის საერთაშორისო ტურნირია და იქაც გამოვალ. შემდეგ ევროპის ახალგაზრდული პირველობაა და წლის ბოლოს - მსოფლიო ჩემპიონატი...

**- მადა ჭამაში მოდისო და, ოლიმპიურ ლიცენზიაზეც ხომ არ ფიქრობ?**

- რა თქმა უნდა, ეს ჩემი ყველაზე დიდი ოცნებაა!

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან



ვლადიმერ ჭანტურია პროფესიულ რინგზე

ინტერვიუ ვლადიმერ ჭანტურიასთან

# სიდნეიდან... ფორმენამდე

**სიდნეის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი, მძიმეწონოსანი ვლადიმერ ჭანტურია სამოყვარულო კრივიდან პროფესიონალებში გადავიდა და უკვე რამდენიმე ბრძოლაც მოიგო. მოკრივე სამომავლო გეგმებზე გვესაუბრა.**

- მოგეხსენებათ, სიდნეის ოლიმპიადის შემდეგ კრივს შევეშვი. ათენის ოლიმპიურ თამაშებზეც ვაპირებდი მონაწილეობას, მაგრამ საბერძნეთში ვერ მოვხვდი და სპორტს თავი დავანებე. ორი წელია, ერთ ტურნირზეც არ გამოვსულვარ, თუმცა, წელიწადნახევარი აჭარის კრივის ფედერაციას ვთავკაცობდი, ახლა კი სამეგრელო-ზემო-სვანეთის პროფესიონალური კრივის რეგიონალური ფედერაციის პრეზიდენტი ვარ. გადავწყვიტე, რინგსაც დავბრუნებოდი და ბედი პროფესიონალებში მეცადა. სამოყვარულო კრივში დაახლოებით 30 წლამდე ასპარეზობენ, პროფესიონალებში კი შეგიძლია ორმოცს გადაცილებულმაც იჩხუბო. მაგალითად, ჯორჯ ფორმენი 45 წლის იყო, კრივში რომ დაბრუნდა და მსოფლიო ჩემპიონობაც დაიბრუნა.

**- დღეს ბევრი სპორტსმენი საზღვარგარეთ ეძებს თავშესაფარს, მაგალითად, რამაზ ფალიანი და კობა გოგოლაძე...**

- მეც ხომ არ ვაპირებ უცხოეთში წასვლას? შემოთავაზებები აშშ-დან და გერმანიიდან მაქვს, მაგრამ თუ წავალ, მხოლოდ იქაური კლუბისა და საქართველოს ღირსებას დავიცავ. რაც შეეხება იმას, თუ რომელ ქვეყანას ავირჩევ, გააჩნია, უკეთეს პირობებს რომელი შემომთავაზებს. მათი მხრიდან დაინტერესება არის. ჩემი ბრძოლების ვიდეოფირები გაგზავნილია და ვნახოთ. იქ წაგებაშიცა და მოგებაშიც ფულს გიხდიან - შრომა გიფასდება.

**- როგორც ვიცით, ბათუმშიც აპირებთ ერთი ბრძოლის გამართვას...**

- საქართველოს პროფესიონალური კრივის პრეზიდენტს, გიორგი კანდელაკს აქვს ეს გეგმაში. იმედია, ზაფხულში ბათუმში ვიჩხუბებ. შესაძლოა, ამერიკელ ან რუს მოკრივეს შევხვდე.

**- თქვენ აღნიშნეთ, რომ აჭარის კრივის ფედერაციას თავკაცობდით. თანამდებობა რატომ დატოვეთ?**

- როგორც ვიცი, კრივი საქართველოში ბათუმიდან შემოვიდა. მინდოდა, აჭარაში კრივის აღორძინება დამეწყო, მაგრამ პირობები არ იყო. წლიური დაფინანსება რომ 4 000 ლარი იქნება, ძნელია იქ დიდ კრივზე ფიქრი.

**- მოკრივეებს ახალი დარბაზი აქვთ...**

- სპორტსკოლის დირექტორი მუხრან ვახტანგაძე ჩემი მეგობარია. მიხარია, რომ საქმეს კარგად უძღვება. ახალი დარბაზიც ვნახე. სავარჯიშოდ კარგი პირობებია.

**- მსოფლიო რეიტინგში რა ხდება?**

- პირველ ადგილზე რუსი ვალუევია. რამდენადაც ვიცი, 1 100 მოკრივეს შორის 145-ე ვიყავი, თუმცა, ახლა წინ უნდა წავეწია. კიდევ სამი-ოთხი ბრძოლის მოგების შემდეგ საკმაოდ უნდა დავწინაურდე.

**ირაკლი დარცმელიძე**
ბათუმიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კრივი

ზემძიმე წონა

# პიტერი დათმობაზე მიდის

ნიგერიელი **სემუელ პიტერი** მზადაა, WBC-ს ზემძიმეწონოსან ჩემპიონ **ოლეგ მასკაევთან** შეხვედრის უფლება ამავე ვერსიით მსოფლიოს საპატიო ჩემპიონს, უკრაინელ **ვიტალი კლიჩკოს** დაუთმოს. ამის თაობაზე მხარეებს შორის მოლაპარაკება ჯერაც არ დასრულებულა, თუმცა კლიჩკო ამბობს, რომ პიტერი, პრაქტიკულად, დაითანხმა და ახლა დეტალებილა დარჩა შესათანხმებელი.



ვიტალი კლიჩკო

შეგახსენებთ, რომ რაც კლიჩკომ რინგზე თავისი დაბრუნების თაობაზე გამოაცხადა, WBC-ს ვერსიით სავალდებულო პრეტენდენტთა რაოდენობა ორამდე გაიზარდა. პიტერმა ჩემპიონთა შეხვედრის უფლება **ჯეიმს ტონის** დამარცხებით მოიპოვა, კლიჩკოს კი ჩემპიონობისთვის დაუყოვნებლივ ბრძოლის უფლებას WBC-ს წესი აძლევს, რომლის მიხედვითაც სპორტიდან წასულ საპატიო ჩემპიონს, რინგზე დაბრუნებისთანავე შეუძლია ჩემპიონთან შეხვედრა მოითხოვოს.

მაგრამ კენჭისყრის შემდეგ, WBC-ს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, თავად მოკრივეებისთვის მიენდო საკითხის გადაჭრა. შესაბამისად, კლიჩკოსა და პიტერის ბანაკებმა მოლაპარაკება დაიწყეს და მის შედეგს მალე გააცნობენ საზოგადოებას.

კლიჩკოს თქმით, პიტერის ბანაკს თავიდან თავიანთი უფლების დათმობაზე სიტყვის გაგონებაც არ სურდა. ამ მხრივ, განსაკუთრებით ჯიბრიანი პიტერის პრომოუტერი **დინო დუვა** იყო, ვისაც შეთავაზებული თანხა არ აკმაყოფილებდა (გასაგებია რატომაც). მაგრამ შემდეგ მანაც შეარბილა პოზიცია. კლიჩკოს ვარაუდით, ეს მას შემდეგ მოხდა, რაც დუვამ კონსულტაცია გაიარა ადვოკატებთან, რის შემდეგაც დარწმუნდა, რომ თუ საქმე საარბიტრაჟო სასამართლოში გაირჩეოდა, მაშინ პიტერი წაგებული დარჩებოდა და შესაბამისად, ვერც საკომპენსაციო თანხას მიიღებდა.

*"ჩვენ პიტერს ის თანხა შევთავაზეთ, რომელსაც ალბათ ის მასკაევთან შეხვედრის შემთხვევაში მიიღებდა ჰონორარის სახით"*, - ამბობს საპატიო ჩემპიონი და დასძენს, რომ ალბათ, პიტერთან მოლაპარაკების შედეგის გამოცხადებისთანავე დაასახელებს მასკაევთან შეხვედრის დროსა და ადგილს.

## ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**კაროლინა-ატლანტა 1:3**
0:0, 1:0, 0:3
გოლები: 1:0 ბრინდამორი-19 (რეი უიტნი-44, ჰედიკანი-9), 1:1 მარიან ჰოსა-34 (ჰედბერგი-1), 1:2 კოვალჩუკი-33 (მარიან ჰოსა-42), 1:3 ბულტონი-2 (ბელანჟე-13, ვიჟიე-8).

**ტორონტო-ბოსტონი 0:3**
0:1, 0:2, 0:0
გოლები: 0:1 ჩისტოვი-4 (სავარი-57), 0:2 აქსელსონი-10 (ბოიესი-20, ალენი-2), 0:3 ჯ. იორკი-1 (ბოჩენსკი-3).

**მონრეალი-ვაშინგტონი 5:3**
3:0, 1:3, 1:0
გოლები: 1:0 ჰიგინსი-15 (მტრაიტი-18, ს. კოივუ-31), 2:0 რაიდერი-18 (სურეი-30, ს. კოივუ-32), 3:0 ჰიგინსი-16 (ს. კოივუ-33, რაიდერი-22), 3:1 სატერბი-4 (ჰიუვარდი-9, ზედნიკი-11), 3:2 ჰიუვარდი-4 (სატერბი-9), 4:2 რაიდერი-19 (კომისარეკი-8, მარკოვი-31), 4:3 სიომინი-32 (ჰიუვარდი-10, ბ. ჯონსონი-1), 5:3 გ. მიურეი-1 (პლეკანეცი-19, მილროი-1).

**ბაფალო-ფილადელფია 6:3**
2:1, 2:1, 2:1
გოლები: 1:0 დ. რუა-10 (პომინვილი-22, ნუმინენი-20), 1:1 განიე-32 (მ. რიჩარდსი-11, სანდერსონი-13), 2:1 პიტერსი-1 (პაეტში-15, მაკარტური-1), 3:1 მეირი-2 (ბ. კემპბელი-28, დ. რუა-30), 4:1 ბრიერი-27 (პაეტში-16, დრური-24), 4:2 განიე-33 (მ. რიჩარდსი-12, პიტკანენი-29), 4:3 ს. კაპანენი-8 (პიტკანენი-30, მ. რიჩარდსი-13), 5:3 დრური-32 (ბრიერი-46, ჰეხტი-21), 6:3 პომინვილი-24 (ბრიერი-47, ჰეხტი-22).

**ოტავა-ედმონტონი 4:3 (ბ)**
1:0, 1:0, 1:3, 0:0
გოლები: 1:0 ჰიტლი-33 (ვოლჩენკოვი-15, სპეცა-33), 2:0 ფიშერი-13 (ალფრედსონი-39, ფილიპსი-12), 2:1 სიკორა-19 (ჰემსკი-38, ჰორკოფი-27), 3:1 ალფრედსონი-20 (შეფერი-23, ფიშერი-19), 3:2 სიკორა-20 (ტორესი-17), 3:3 გილბერტი-1 (ჰემსკი-39, პულიო-3).
**ბულიტები გაიტანეს:** მაკამონდი (ოტავა), კომრი (ოტავა).

**ტამპა ბეი-ფლორიდა 3:2 (ბ)**
1:1, 0:1, 1:0, 0:0
გოლები: 1:0 კრეიგი-13 (კარლსონი-5, იანიკი-6), 1:1 ჰორტონი-20, 1:2 ჰორტონი-21 (გელინასი-20, ბ. ალენი-13), 2:2 სენტ ლუისი-36 (ბ. რიჩარდსი-32, ლეკავალიე-42).
**ბულიტები გაიტანეს:** ჰორტონი (ფლორიდა), ბ. რიჩარდსი (ტამპე ბეი), სენტ ლუისი (ტამპა ბეი).

**სენტ ლუისი-კოლამბუსი 5:4 (ბ)**
0:1, 2:2, 2:1, 0:0
გოლები: 0:1 ვიბორნი-14 (ნეში-22, ბერარი-3), 1:1 გერინი-28 (ვიდემანი-17, ჩაიანეკი-25), 2:1 სტემპნიაკი-18 (ვიდემანი-17, ჯეკმენი-16), 2:2 ჩიმერა-11, 2:3 ჰეინსი-7, 3:3 ბეკსი-7 (სტემპნიაკი-19, ჩაიანეკი-26), 4:3 ბეკმენი-5 (უეიტი-34, ბრიუერი-15), 4:4 ნეში-16.
**ბულიტები გაიტანეს:** სტემპნიაკი (სტ. ლუისი), უეიტი (სტ. ლუისი).

**მინესოტა-დალასი 2:1 (ბ)**
0:0, 1:1, 0:0: 0:0
გოლები: 1:0 როლსტონი-26 (მ. კოივუ-25), 1:1 ჰაგმანი-13 (ი. იოკინენი-20, მოდრი-9).
**ბულიტები გაიტანეს:** მ. კოივუ (მინესოტა).

**ანაჰაიმი-ვანკუვერი 2:3 (ო)**
1:0, 1:1, 0:1, 0:1
გოლები: 1:0 ბრენტი-1 (პენერი-14, შენონი-9), 1:1 ბიეკსა-9 (დ. სედინი-33, ჰ. სედინი-49), 2:1 კუნიტცი-21 (სელიანე-36, პრონგერი-38), 2:2 ნესლუნდი-20, 2:3 დ. სედინი-26 (ს. სალო-19, ნესლუნდი-29).

**კოლორადო-კალგარი 4:3**
3:2, 0:1, 1:0
გოლები: 1:0 პ. შჩასტნი-20 (ბრუნეტი-33, საკიკი-45), 1:1 ამონტე-9 (უ. პრიმო-10, ნილსონი-8), 2:1 პ. შჩასტნი-21 (ჰეიდუკი-23, ბ. კლარკი-27), 2:2 ფანოფი-15 (ლენგკოუ-37, ჰუსელიუსი-30), 3:2 ჰეიდუკი-22 (პ. შჩასტნი-32, საუერი-2), 3:3 ჰუსელიუსი-28 (იგინლა-39, ფანოფი-25), 4:3 სვატოსი-12 (ლაილსი-23, საკიკი-46).

**ნიუ ჯერსი-რეინჯერსი 2:1**
1:0, 0:1, 1:0
გოლები: 1:0 რაფალსკი-6 (გომესი-38, ბრილინი-21), 1:1 პრუხა-14 (ა. უორდი-10, ნიულანდერი-45), 2:1 პარიზე-24 (გომესი-39, ლუკოვიჩი-7).

## ოლიმპიზმი

არაოფიციალური ჩათვლა

# ოლიმპიადა შარშან რომ ჩატარებულიყო

### ჩინეთი მოწინავე სპორტული ქვეყანა ხდება

ზაფხულის ოლიმპიადა შარშან რომ ჩატარებულიყო, ჩინელი სპორტსმენები ამერიკელებზე 11 ოქროს მედლით მეტს დაეუფლებოდნენ - ირწმუნება ბრიტანეთის ოლიმპიური ასოციაციის დაკვეთით ჩატარებული გამოკვლევა, რომელიც სპორტის ოლიმპიურ სახეობებში შარშან დაფიქსირებულ შედეგებს ეყრდნობა.

*"ჩვენ გავითვალისწინეთ იმ ტურნირების შედეგები, რომლებშიც ყველა კონტინენტის სპორტსმენები მონაწილეობენ. სამაგიეროდ, ჩვენს გამოკვლევაში არაა გათვალისწინებული ევროპის ჩემპიონატების შედეგები, რომლებიც შედარებისთვის არ გამოგვადგებოდა"*, - ამბობს ბრიტანეთის ოლიმპიური ასოციაციის მთავარი ალმასრულებელი **საიმონ კლეგი**.

ათენის 2004 წლის ოლიმპიადის ბოლოს, მედლების არაოფიციალურ ჩათვლაში მოწინავე პოზიცია ამერიკელებს ეკავათ, რომლებმაც სულ 103 მედალი მოიპოვეს, რომელთაგან 35 ოქროსი იყო. ჩინელმა სპორტსმენებმა სულ 63 მედალს მოუყარეს თავი, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე კი 32 ჩინელი ავიდა. რუსების ანგარიშზე 92 მედალია, რომელთაგან მხოლოდ 27-ია ოქროსი.

შემდეგი ოლიმპიადა პეკინში გაიმართება და ბუნებრივია, ჩინელი სპორტსმენები მედლების ჩათვლაში პირველობისთვის იბრძოლებენ.

ბრიტანეთში ჩატარებული გამოკვლევის შესაბამისად, ოლიმპიადა შარშან რომ ჩატარებულიყო, ჩინელები 84 მედალს აიღებდნენ, რომელთაგან 48 იქნებოდა ოქროსი. ამერიკელების შესაბამისი მაჩვენებლები იქნებოდა 93/37, რუსებისა - 82/32, ავსტრალიელებისა - 43/20, ჰოლანდიელებისა კი - 20/13.

სხვათა შორის, ცოტა ხნის წინათ, აშშ-ის ოლიმპიური კომიტეტის მთავარმა ალმასრულებელმა **ჯიმ შერმა** განაცხადა, რომ პეკინის ოლიმპიადა კონკურენციის მხრივ, არნახულად დაძაბული იქნება და თუ ამ ოლიმპიადაზე ამერიკელებს მედლების ჩათვლაში პირველობა სურთ, მინიმუმ 35 ოქრო უნდა აიღონ.

*"თქმა არ უნდა, ჩინელებს დიდი სტიმული ექნებათ და ისინი გაორმაგებული მონდომებით იასპარეზებენ, რათა მედლების ჩათვლაში პირველობა არავის დაუთმონ. მათ თავისუფლად შეუძლიათ ჩვენზე მეტი, ვთქვათ, 40 ან მეტი ოქროს მედლის აღება. თუმცა, არ მგონია, რომ ისინი ასზე მეტ მედალს აიღებენ"*, - ამბობს შერი.

სხვათა შორის, ჩინელები ოფიციალურად გაცილებით ნაკლები მედლის მოპოვებას ვარაუდობენ, თუმცა არავის ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ მასპინძლები ქვეყნებს შორის პირველობას ესწრაფვიან და ამისთვის უპრეცენდენტოდ მასშტაბური სამზადისიც აქვთ.

რაც შეეხებათ ბრიტანელებს, სხვებზე რომ ლაპარაკობენ, რა თქმა უნდა, თავის ოლიმპიელებზეც ფიქრობენ. მათთვის პეკინის ოლიმპიადა ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპი იქნება ლონდონის ოლიმპიადისთვის, რომელზეც მედლების ჩათვლაში ისინი მეოთხე ადგილის დაკავებას იმედოვნებენ.

ათენის ოლიმპიადაზე ალბიონელთა ამბიციები ოქროს ხუთი და ჯამში 37 მედლით შემოიფარგლა, რითაც მათ ცხრილში მეათე ადგილი დაიკავეს. ოლიმპიადა შარშან რომ გამართულიყო, გამოკვლევის მიხედვით, ბრიტანელები მეშვიდე ადგილს დაიკავებდნენ (ისინი სულ 30 მედალს აიღებდნენ, რომელთაგან 9 ოქროსი იქნებოდა).

*"ჩვენ გვჯერა, რომ ლონდონის ოლიმპიადაზე ბრიტანელ ოლიმპიელებს მედლების ჩათვლაში მეოთხე ადგილის დაკავება შეუძლიათ"*, - იმედოვნებს კლეგი.

## კალათბურთი



ჯეისონ კიდი

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ჯეისონ კიდი ლეიკერსში გადადის?

### ფილ ჯექსონმა სკოტი პიპენს დაუმიზნა

ბოლო პერიოდში, ამერიკის საკალათბურთო ექსპერტები სულ უფრო ხშირად საუბრობენ იმის შესახებ, რომ ამ დღეებში "ნიუ ჯერსი ნეტსი" თავის ერთ-ერთ ლიდერს - **ჯეისონ კიდს** შეელევა. სახელდებოდა უამრავი კლუბი, სადაც სავარაუდოდ, კიდს კარიერა უნდა გაეგრძელებინა, მაგრამ ბოლო ინფორმაციით, მისი მსურველი მხოლოდ ერთადერთი გუნდი - "ლოს ანჯელეს ლეიკერსი" დარჩა. თუმცა, გაზეთ "ნიუ იორკ თაიმსის" ცნობით, ის პირობები, რომელიც "ლეიკერსმა" წამოაყენა, "ნიუ ჯერსის" მაინცა და მაინც არ აკმაყოფილებს.

ჭორების თანახმად, **ფილ ჯექსონის** გუნდი კიდის სანაცვლოდ სამ კალათბურთელს თმობს - **კრის მიმს, კვამე ბრაუნსა** და **ჯორდან ფარმარს**. გარდა ამისა, "ლეიკერსი" დრაფტში მოთამაშის არჩევის უფლებასაც შეელევა.

ამასობაში, უფრო კონკრეტული ინფორმაცია ვრცელდება NBA-ის ექვსგზის ჩემპიონ **სკოტი პიპენის** დიდ კალათბურთში დაბრუნებასთან დაკავშირებით. ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ 41 წლის ლეგენდარულმა კალათბურთელმა, კარიერის დასრულებიდან 2.5 წლის თავზე განაცხადა, რომ NBA-ში აპირებს დაბრუნებას. პიპენი ამბობდა, რომ შესანიშნავ სპორტულ ფორმაში იმყოფებოდა და კიდევ შეუძლია სარგებელი მოუტანოს NBA-ის რომელიმე კლუბს. თავისი კარგი ფიზიკური ფორმა მან "ოლ სტარის" უიქენდზეც წარმოგვიდგინა, როცა ერთ-ერთ კონკურსში მიიღო მონაწილეობა და ტოლი არაფერში დაუდო მოქმედ კალათბურთელებს.

"ლოს ანჯელეს თაიმსის" ინფორმაციით, პიპენის აყვანით "ლეიკერსი" დაინტერესდა, თანაც, ეს გუნდი ვეტერანის დამატებას უკვე ამ სეზონში აპირებს, რათა სკოტიმ ტრავმირებული **ვლადიმერ რადმანოვიჩი** შეცვალოს.

"ლეიკერსის" მთავარი მწვრთნელი ფილ ჯექსონი გახლავთ, რომლის ხელმძღვანელობითაც, პიპენი "ჩიკაგო ბულზში" თამაშობდა.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**სიეტლი-მემფისი 121:105**
32:24, 32:34, 32:22, 25:25
**სიეტლი:** რ. ლაენი (27 ქ), რ. ლუისი (27 ქ), უილკოქსი (12 ქ. 12 მ), რიდნური (10 ქ. 12 პ. 4 ჩ), კოლისონი (8 ქ. 12 მ).
**მემფისი:** მ. მილერი (20 ქ), გეი (13 ქ), გასოლი (11 ქ. 9 მ).

**ვაშინგტონი-მინესოტა 112:100**
31:19, 26:25, 26:30, 29:26
**ვაშინგტონი:** არენასი (38 ქ), სტივენსონი (23 ქ), კ. ბატლერი (15 ქ), ბლატჩი (7 ქ. 12 მ).
**მინესოტა:** გარნეტი (26 ქ. 13 მ), რ. დევისი (24 ქ), მ. ჯეიმსი (20 ქ).

**შარლოტი-ნიუ ორლეანი 104:100**
25:24, 28:20, 24:34, 27:22
**შარლოტი:** ფელტონი (21 ქ. 11 პ), ჯ. უოლასი (21 ქ), ოკაფორი (16 ქ. 15 მ).
**ნიუ ორლეანი:** პოლი (20 ქ), მეისონი (17 ქ), ჩენდლერი (16 ქ. 20 მ).

**ნიუ იორკი-ორლანდო 100:94**
23:22, 26:23, 30:31, 21:18
**ნიუ იორკი:** კარი (20 ქ. 3 ჩ), კროუფორდი (20 ქ), ლი (14 ქ. 16 მ).
**ორლანდო:** დუაიტ ჰოვარდი (27 ქ. 14 მ. 3 ჩ. 3 დ), ნელსონი (16 ქ), თურქოგლუ (14 ქ).

**მილუოკი-დეტროიტი 83:84**
18:28, 23:19, 23:16, 19:21
**მილუოკი:** ბელი (22 ქ), პატერსონი (18 ქ), რედი (17 ქ), სკინერი (4 ქ. 13 მ).
**დეტროიტი:** ბილაპსი (19 ქ), რ. უოლასი (16 ქ. 11 მ. 3 დ), მაკდაესი (15 ქ).

**სან ანტონიო-დენვერი 95:80**
25:21, 24:17, 30:10, 16:32
**სან ანტონიო:** ტ. პარკერი (17 ქ), ჯინობილი (14 ქ), დანკანი (12 ქ).
**დენვერი:** ენტონი (15 ქ. 8 ს), ნენე (13 ქ), აივერსონი (9 ქ. 3 მ. 5 პ).

**ჩიკაგო-ატლანტა 106:81**
26:19, 22:24, 28:8, 30:30
**ჩიკაგო:** დიუჰონი (17 ქ), ჰინრიხი (16 ქ), დენგი (16 ქ), ბ. უოლასი (4 ქ. 14 მ).
**ატლანტა:** ჩილდრესი (16 ქ), მერვ. უილიამსი (12 ქ).

**საკრამენტო-ბოსტონი 104:101**
34:26, 32:36, 25:19, 13:20
**საკრამენტო:** კევ. მარტინი (22 ქ), არტესტი (18 ქ. 8 მ. 4 ჩ. 2 დ).
**ბოსტონი:** პირსი (26 ქ), დელ. უესტი (23 ქ. 7 პ), ჯეფერსონი (15 ქ. 15 მ).

**პორტლენდი-იუტა 103:100**
27:30, 25:22, 25:19, 26:29
**პორტლენდი:** როი (27 ქ. 7 პ), რენდოლფი (22 ქ. 12 მ. 3 ჩ), უდოკა (15 ქ).
**იუტა:** ოქური (25 ქ), ფიშერი (20 ქ. 10 პ. 3 ჩ), მილსეპი (18 ქ), ჰარპრინგი (13 ქ. 12 მ).

**კლიპერსი-ფინიქსი 90:115**
26:38, 19:24, 23:30, 22:33
**კლიპერსი:** მაგეტი (19 ქ), ბრენდი (17 ქ), იუინგი (16 ქ), ტიმ ტომასი (13 ქ. 4 ჩ).
**ფინიქსი:** მერიონი (31 ქ), ა. სტაუდმაიერი (22 ქ), ნეში (13 ქ. 12 პ), ბენქსი (7 ქ. 10 მ).

## ველოსპორტი

### ლიეჟის ტურ დე ფრანსი სურს

ბელგიის ლიეჟის მთავრობამ გუშინ გამოაცხადა, რომ მათი ქალაქი, 2012 წელს "ტურ დე ფრანსის" პირველი ეტაპის ჩატარებაზე აცხადებს პრეტენზიას.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულმა ველორბოლამ ერთხელ უკვე აიღო სტარტი ბელგიის ამ ქალაქიდან - ეს 2004 წლის სეზონში მოხდა.

გარდა ამისა, ლიეჟში იმედოვნებენ, ამ ქალაქში გაივლის 2009 წლის "ვუელტასა" და 2010 წლის "ტურ დე ფრანსის" მარშრუტები.

## ფორმულა 1

### მასამ პრემია მიიღო

"ფერარიში" შარშანდელი წარმატებებისთვის, ბრაზილიელი პილოტი ფელიპე მასა ლორენცო ბანდინის სახელობის პრემიით დააჯილდოვეს.

იტალიური საჯინიბოს ავტომრბოლი პრიზს სპეციალურ ცერემონიალზე მიიღებს, რომელიც 6 მაისს გაიმართება. სხვადასხვა წლებში ამ პრემიის ლაურეატები იყვნენ - **მიხაელ შუმახერი, ჟაკ ვილნევი, კიმი რაიკონენი, ფერნანდო ალონსო და ლუკა დე მონტეძემელო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავი

# ჩაკვეტაძის ახალი მიზანი



დიდი ხანი არაა, რაც საჩოგბურთო ცისქვეშეთში **ანა ჩაკვეტაძის** სახით ახალი ვარსკვლავი აკიაფდა. რა თქმა უნდა, ნებისმიერი მოთამაშის მიზანი მოწინავეთა შორის ყოფნა და რაც შეიძლება ბევრი ტურნირის მოგებაა. ზოგი ელიტაში მალე აღწევს, ზოგი კი ამ რთულ გზას ნაბიჯ-ნაბიჯ მიუყვება. ჩაკვეტაძე სწორედ მეორე კატეგორიას მიეკუთვნება.

ანტვერპენის ტურნირზე წარმატებული გამოსვლის შემდეგ, მან ამ სეზონისთვის დასახულ ერთ-ერთ მთავარ მიზანს მიაღწია - რეიტინგის მეათე საფეხურზე გადაინაცვლა. მაგრამ წინსვლა გრძელდება და ახლა ანა სხვა მიზნებზე ალაპარაკდა. კერძოდ, ამ ეტაპზე, მისთვის მთავარია, რომ მოწინავე ჩოგბურთელებთან დაპირისპირებაში უფრო მეტი თავდაჯერებულობა შეიძინოს.

*"ადრე ვამბობდი, რომ ჩემი მიზანი მოწინავე ათეულში შესვლაა. ამას უკვე მივაღწიე. ახლა კი მთავარი საკუთარი თამაშის დახვეწა და ძლიერ ჩოგბურთელებთან მეტად თავდაჯერებული თამაშია. ამისთვის დიდი მნიშვნელობა ფიზიკურ მომზადებას აქვს, რასაც დიდ დროს ვუთმობ. გარდა ამისა, არის რამდენიმე სათამაშო კომპონენტი, რომელთა დახვეწა აუცილებლად მჭირდება. პირველ რიგში, ეს ჩემს მოწოდებას ეხება და ზოგიერთ ელემენტს, რომლებზეც ლაპარაკი ამ ეტაპზე არ მსურს"*, - ამბობს ჩაკვეტაძე.

ანტვერპენის ტურნირს ის ფრანგ **ამელი მორესმოსთან** წაგების შემდეგ გამოეთიშა. შემდგომში ტურნირი სწორედ მორესმომ მოიგო, ვინც ზედიზედ მესამედ გახდა ტურნირის ჩემპიონი და ამდენად, სამუდამოდ დაეპატრონა ჩემპიონისთვის განკუთვნილ ბრილიანტით მოოჭვილ ჩოგანს, რომელიც მილიონ ევროდაა შეფასებული.

ჩაკვეტაძემ მორესმოსთან კარგად ითამაშა. პირველი სეტი ერთი ბრეიკის წყალობით მოიგო. თანაც, ორჯერ თავად მოიგერია ბრეიკ პოინტები. მაგრამ შემდეგ შეცდომებს უმატა და ფრანგს მოგების საშუალება მისცა.

*"გადამწყვეტ სეტში, რამდენიმე გეიმის განმავლობაში, ყურადღება მოვადუნე, რაც წაგების ფასად დამიჯდა. ასეთი რამ დაუშვებელია. ტოპ-ჩოგბურთელები შეცდომებს არავის პატიობენ. უნდა მივეჩვიო იმას, რომ როცა კორტზე გავდივარ, ჩემთვის სხვა არაფერი უნდა არსებობდეს. თუ მოგება მინდა, მაშინ მნიშვნელოვან მომენტებში უფრო აგრესიული და მობილიზებული უნდა ვიყო"*, - ამბობს ჩაკვეტაძე, ვინც რეიტინგის მოწინავე ათეულში რუსეთის მეხუთე ჩოგბურთელია. შეგახსენებთ, რომ ამჟამად მსოფლიოს პირველი ჩოგნის სტატუსს რუსი **მარია შარაპოვა** ატარებს.

ანას ადრე არაერთხელ უთქვამს, რომ მომდევნო სამ სეზონში მისი მთავარი მიზანი ტოპ-ხუთეულში შესვლაა. სამაგიეროდ, ავსტრალიის ღიას მეოთხედფინალისტი თავს არიდებს პასუხს კითხვაზე, თუ როდის შეძლებს დიდი სლემის ტურნირის მოგებას.

*"დიდი სლემის მოგებაზე ბევრი ჩოგბურთელი ლაპარაკობს. ეს ხომ ნებისმიერის ოცნებაა. რა თქმა უნდა, დიდი ტურნირის მოგება მეც მინდა, მაგრამ ნამდვილად არ ვიცი, როდის შევძლებ ამას. ამიტომ, მირჩევნია, ამ თემაზე არ ვილაპარაკო"*, - ამბობს ჩაკვეტაძე, ვინც თურმე საფეხბურთო კლუბ "მილანისა" და "ჩელსის" ფანი ყოფილა.

სხვათა შორის, ჩაკვეტაძის პრინციპია, ბევრ ტურნირში არ ითამაშოს, რისი წყალობითაც, ტრავმების ალბათობის შემცირებას იმედოვნებს. ტრავმა კი მისი მიზნების განხორციელებაში ხელის შემშლელი ფაქტორია.

*"თუ ძალიან ბევრს ვთამაშობ, ვიღლები და ეს ჩემი თამაშის ხარისხზეც აისახება. განსაკუთრებით დამღლელი კი თიხაზე თამაშია. ამიტომ, ამ სეზონში თიხის კორტებზე მხოლოდ სამ ტურნირზე გამოსვლას ვაპირებ"*, - ამბობს ჩაკვეტაძე, ვისაც სათიხნარო ტურნირებიდან შერჩეული აქვს ვარშავის, ბერლინისა და რომის ტურნირები.

## ტურნირები

### ATP

**ABN AMRO-ს ჩემპიონატი**

როტერდამი (საემიროები). 19-25 თებერვალი. ჰარდი

**საპრიზო ფონდი**: 782 000 დოლარი

**I წრე**

**ტომი რობრედო (ესპ, 2)**-სიმონე ბოლელი (იტა) 6:2, 6:2; **ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 3)**-ტიემო დე ბაკერი (ჰოლ) 7:5, 6:3; **მიხაილ იუჟნი (რუს)**-ტომას ბერდიჩი (ჩეხ, 4) 6:4, 6:7(5), 6:1; **დავიდ ფერერი (ესპ, 6)**-კრისტოფერ როხუსი (ბელ) 6:3, 6:0; **კრისტოფ ვლიეგენი (ბელ)**-იარკო ნიემინენი (ფინ) 6:1, 6:4; **ფლორიან მაიერი (გერ)**-დომინიკ ჰრბატი (სლოვაკ) 7:6(5), 2:6, 7:5.

**მორგან კიგანის ჩემპიონატი**

მემფისი (აშშ). 18-24 თებერვალი. ჰარდი

**საპრიზო ფონდი**: 175 000 დოლარი

**I წრე**

**ტომი ჰაასი (გერ, 2)**-ვინსენტ სპეიდი (აშშ) 6:4, 6:1; **მარდი ფიში (აშშ, 4)**-ბიორნ ფაუ (გერ) 6:3, 6:2; **კრისტიან პლესი (დან)**-იგორ კუნიცინი (რუს) 6:3, 6:1; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 6:1, 6:2; **ამერ დელიჩი (აშშ)**-პოლ გოლდსტეინი (აშშ) 7:5, 7:6 (0).

**კოპა ტელმექსი**

ბუენოს აირესი (არგენტინა). 18-24 თებერვალი. თიხნარი

**საპრიზო ფონდი**: 445 000 დოლარი

**I ჯგუფი**

**ლუის ორნა (პერ)**-დავიდ ნალბანდიანი (არგ, 1) 6:4, 6:3.

**II ჯგუფი**

**კარლოს მოია (ესპ, 5)**-პოტიტო სტარაჩე (იტა) 6:4, 6:4.

**III ჯგუფი**

**ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 4)**-მარტინ ვასალო არგელო (არგ) 7:5, 6:4.

**V ჯგუფი**

**ალესიო დი მაურო (იტა)**-რუბენ რამირეს იდალგო (ესპ) 6:4, 7:6 (8).

**VI ჯგუფი**

**ალბერტ მონტანიესი (ესპ)**-აგუსტინ კალერი (არგ, 3) 6:7 (4), 6:4, 6:4.

**VIII ჯგუფი**

**ნიკოლას ლაპენტი (ეკვ)**-ნიკოლა დევილდერი (საფ) 6:3, 2:6, 6:3.

### WTA

**დუბაის ღია**

დუბაი (საემიროები). 19-24 თებერვალი. ჰარდი

**საპრიზო ფონდი**: 1 500 000 დოლარი

**I წრე**

**ელენა იანკოვიჩი (სერ, 5)**-არავან რეზაი (საფ) 6:1, 6:2; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 8)**-ელენა ვესნინა (რუს) 6:1, 6:3; **ტამირა პაჩეკი (ავსტრია)**-კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ) 7:5, 6:3; **მარა სანტანჯელო (იტა)**-მარტინა მიულერი (გერ) 6:3, 7:6(4); **მეგან შონესი (აშშ)**-ემანუელ გალიარდი (შვეიც) 6:3, 6:4; **ვერა დუშევინა (რუს)**-ელენა ლიხოვცევა (რუს) 6:2, ლიხოვცევას უარი; **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ)**-ანე კრამერი (ლუქ) 6:3, 6:4.

**მორგან კიგანის ჩემპიონატი**

მემფისი (აშშ). 18-24 თებერვალი. ჰარდი

**საპრიზო ფონდი**: 175 000 დოლარი

**I წრე**

**შაარ პეერი (ისრ, 1)**-ემა ლაინე (ფინ) 6:4, 6:3; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 4)**-ალექსანდრა ვოზნიაკი (კან) 6:2, 7:5; **იარმილა გაიდოშოვა (სლოვაკ)**-ევა ბირნეროვა (ჩეხ) 7:5, 6:3; **კამილ პინი (საფ)**-ვარვარი ლეპჩენკო (უზბ) 7:5, 6:1; **მილაგროს სეკერა (ვენ)**-ალინა ჟიდკოვა (რუს) 6:4, 1:6, 7:5; **სოფია არვიდსონი (შვედ)**-ეკატერინა ბიჩკოვა (რუს) 6:3, 0:6, 6:4.

**II წრე**

**ვინუს უილიამსი (აშშ, 7)**-კაროლინ ვოზნიაჩკი (დან) 6:4, 6:4; **მეილენ ტუ (აშშ)**-ჟილ კრეიბასი (აშშ, 8) 6:3, 6:1.

**კოპა კოლსანიტასი**

ბოგოტა (კოლუმბია). 19-25 თებერვალი. თიხნარი

**საპრიზო ფონდი**: 175 000 დოლარი

**I წრე**

**ტატიანა გარბინი (იტა, 1)**-კატრინ ვოერლე (გერ) 6:4, 6:4; **ფლავია პენეტა (იტა, 2)**-ტატიანა მალეკი (გერ) 6:4, 2:6, 6:3; **ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ, 3)**-სარა ერანი (იტა) 4:6, 6:1, 6:3; **რობერტა ვინჩი (იტა, 6)**-კატერინა ბოჰმოვა (ჩეხ) 3:6, 7:6(4), 6:2; **კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ, 7)**-ნურია ლაგოსტერა ვივესი (ესპ) 6:2, 6:3; **პანა სრომოვა (ჩეხ, 8)**-ესტელა კაბესა კანდელა (ესპ) 6:1, 6:2; **პოლინ პარმენტიე (საფ)**-ივანა აბრამოვიჩი (ხორ) 6:3, 7:6(5); **ბარბორა ზაჰვალოვა სტრიჩოვა (ჩეხ)**-მარტა მარერო (ესპ) 6:2, 6:2; **ხორხელინა კრავერო (არგ)**-ანა ტატიშვილი (საქ) 7:5, 4:6, 6:2; **გრეტა არნი (გერ)**-ჟული დიტი (აშშ) 6:3, 6:7(4), 6:3; **ალიზ კორნე (საფ)**-კირა ნადი (უნგ) 6:2, 6:3.



ფორმულა 1

# ბრაუნს მაკლარენში ეპატიჟებიან

გერმანულ "შპორტ ბილდში" გამოქვეყნებული ეს ინფორმაცია შესაძლოა ჭორი იყოს, მაგრამ იმდენად მნიშვნელოვნია, რომ ჩვენს მკითხველსაც ვთავაზობთ. ლაპარაკია იმაზე, რომ შესაძლოა, "ფერარის" ყოფილი ტექნიკური დირექტორი **როს ბრაუნი** მერმისიდან "მაკლარენში" გადავიდეს.

ბრაუნის გადაბირება, პირველ რიგში, "მაკლარენის" მთავარი პარტნიორის, ავტოკონცერნ "დაიმლერკრაისლერის" სურვილია, რომელიც **რონ დენისის** შესაძლო შემცვლელს ეძებს. "შპორტ ბილდი" გვახსენებს, რომ დენისი დიდი ხანია, ფორმულა ერთიდან წასვლაზე ფიქრობს და ამისთვის შესაფერის მომენტს ეძებს. შესაფერისი მომენტი კი შეიძლება გახდეს მისი გუნდის კვლავ გაჩემპიონება.

მაგრამ როგორც ჩანს, ამჯერად დენისს დიდი პრიზების ცირკიდან სამუდამოდ წასვლა აღარ სურს. საქმე ისაა, რომ "შპორტ ბილდის" ინფორმაციით, ის ფიქრობს ამ ეტაპზე უმოქმედო გუნდ "პროდრაივში" გადასვლაზე. შეგახსენებთ, რომ "პროდრაივ გრან პრი" მერმისიდან ჩაერთვება ჩემპიონატში. დენისისთვის კი საინტერესო უნდა იყოს ისეთ გუნდში მუშაობა, რომელიც ყველაფერს ნულიდან იწყებს.

რაც შეეხება ბრაუნს, მან "ფერარიში" ერთსეზონიანი შვებულება აიღო. ის ჯერჯერობით არაფერს ამბობს თავისი სამომავლო გეგმების შესახებ, თუმცა ამბობენ, რომ შვებულების შემდეგ მარანელოს საჯინიბოში აღარ დაბრუნდება.

კალათბურთი

## ილგაუსკასი ჯერ ვერ ბრუნდება

ჯერჯერობით ვერ ახერხებს მოედანზე დაბრუნებას "კლივლენდ კავალიერსის" ცენტრალური თავდამსხმელი **ჟიდრუნას ილგაუსკასი**. ტრავმის გამო, ლიტველ კალათბურთელს "ტორონტოსთან" მატჩის გამოტოვებაც მოუწევს. შეგახსენებთ, რომ ილგაუსკასმა "ოლ სტარის" უიქენდამდე "იუტასა" და "ლეიკერსის" წინააღმდეგაც ვერ შეძლო თამაში.

31 ცენტრმა ამ სეზონში 51 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ ერთ შეხვედრაში 11.7 ქულასა და 8.2 მოხსნას აგროვებდა.

## ეინიკისი კრიმინალად ჩამოყალიბდა

მორიგ უსიამოვნო ისტორიაში გაეხვა ლიტვის ნაკრების ყოფილი ცენტრალური თავდამსხმელი **გინტარას ეინიკისი**. ამჯერად, პოლიციას მიმართა ლიტვის პატარა ქალაქ რეკატვას ახლოს მდებარე ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებმა ქალბატონმა. მან განაცხადა, რომ ის კალათბურთელთან ერთად ცხოვრობს და ბოლო პერიოდში, ეინიკისი მას მუდმივად ატერორებს. პოლიციამ ეჭვმიტანილი განყოფილებაში გადაიყვანა. იქ კალათბურთელს ალკოჰოლზე ტესტი ჩაუტარეს და აღმოჩნდა, რომ ეინიკისი ნასვამი ყოფილა. საქმე სასამართლოს გადაეცა.

ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ გასული წლის დეკემბერში, ეინიკისი ავარიაში მოყვა. ის თავისი ჯიპით ავტომობილს შეეჯახა, რის გამოც მძიმე ტრავმა მიიღო იმ მანქანის მძღოლმა. თავად კალათბურთელი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. საბოლოოდ, ეინიკისი ციხეს გადაურჩა და სასამართლომ მას საკმაოდ მსხვილი ჯარიმა გადაახდევინა.

## ხუვენტუდი ძირითადი ცენტრის გარეშე დარჩა

ესპანეთის "ხუვენტუდის" ფორვარდი **ლიუბოშ ბარტონი** მინიმუმ ოთხი კვირა ვერ შეძლებს თამაშს. მან ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის პირველ ტურში მხრის ტრავმა მიიღო.

სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, რომ ტრავმა სერიოზულია და სავარაუდოდ, ჩეხ კალათბურთელს ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის სრულად გამოტოვება მოუწევს.

შედეგიანობის მიხედვით, ბარტონი "ხუვენტუდის" მეორე ბომბარდირია. ის საშუალოდ მატჩში 11.8 ქულას, 4.9 მოხსნას, 1.5 შედეგიან გადაცემასა და 1.8 ჩაჭრას აგროვებს.

## ბუზერი ორ კვირაში დაბრუნდება

როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, "იუტა ჯაზის" ლიდერი **კარლოს ბუზერი** ორ კვირაში ჩადგება მწყობრში. ტრავმირებული მუხლის აღდგენითი პროცესი წარმატებით მიმდინარეობს და კალათბურთელმა ბოლო დღეებში მსუბუქი ვარჯიშებიც ჩაატარა.

*"ერთი სული მაქვს, როდის დავუბრუნდები მოედანს. ახლა ჩემთვის მთავარია 100 პროცენტით ვიყო მზად მომდევნო მატჩებისთვის. რა თქმა უნდა, ძალიან მინდა გუნდს დავეხმარო, მაგრამ ამავდროულად, დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ სრულიად ჯანმრთელი ვარ. "იუტას" სატურნირო მდგომარეობა საშუალებას იძლევა, არ ვიჩქარო და სრულად აღვიდგინო ფიზიკური კონდიციები"*, - ამბობს ბუზერი.

სხვათა შორის, ამ კალათბურთელის არყოფნა "იუტას" დიდად არ დატყობია. კარლოსის გარეშე "ჯაზმენებმა" 8 შეხვედრა ჩაატარეს და ექვსი მოიგეს.

## კლიპერსმა კრისტი მოიშორა

"ლოს ანჯელეს კლიპერსმა" გუნდიდან დაითხოვა ვეტერანი **დაგ კრისტი**. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც კალათბურთელმა თავად არ მოინდომა ამ კლუბში თამაში.

სააგენტო AP-ის ცნობით, კრისტის დაუმთავრდა "კლიპერსთან" დროებითი, 10-დღიანი კონტრაქტი და ახლა, მას საშუალება აქვს ნებისმიერ კლუბში გადავიდეს, ვინაიდან თავისუფალი აგენტი გახდა.

## პეიტონი გაამართლეს

ტორონტოს სასამართლომ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის სამ მოთამაშეს - **გარი პეიტონს** ("მაიამი"), **სემ კასელსა** ("ლოს ანჯელეს ლეიკერსი") და **ჯეისონ კეფის** ("მილუოკი") ქალაქის ერთ-ერთ კლუბში, სტრიპტიზიორებზე თავდასხმის ბრალდება მოუხსნა. ეს ინციდენტი 2003 წლის 11 აპრილს მოხდა.

სასამართლომ გადაწყვიტა - მიუხედავად იმისა, რომ სკანდალის პროვოცირება პეიტონმა მოახდინა, მის მოქმედებას არ ჰქონია უხეში და აგრესიული ხასიათი.

ჰოკეი

## ბოსტონმა საუკეთესო სნაიპერი დაკარგა

"ბოსტონ ბრუინზის" საუკეთესო სნაიპერმა - **გლენ მიურეიმ** ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე საზარდულის ტრავმა მიიღო და გაურკვეველი ვადით გამოაკლდა თავის გუნდს.

მიურეიმ გასულ კვირას ტრავმის გამო სამი შეხვედრა გამოტოვა, მაგრამ შემდეგ მწყობრში ჩადგა და "ბოსტონს" ზედიზედ ორ მატჩში ("ფილადელფიასა" და "ბაფალოსთან") მოაგებინა.

*"სამწუხაროდ, უახლოეს მატჩებში ჩემს გუნდს ვერ დავეხმარები. ზუსტად არც კი ვიცი, როდის დავბრუნდები ყინულზე"*, - ამბობს ჰოკეისტი, რომელსაც ამ სეზონში 27 შაიბა აქვს გატანილი.

## მონრეალის მეკარე ფლეი ოფს ელოდება

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, "მონრეალის" გოლკიპერმა **კრისტობალ იუემ** ფეხის ტრავმა მიიღო და ოპერაციის გაკეთებაც კი დასჭირდა. ამ დღეებში გაირკვა, რომ "კანადიენსის" მეკარე რეგულარული ჩემპიონატის დარჩენილ ტურებს გამოტოვებს, თუმცა, სააგენტო "როიტერისთვის" მიცემულ ინტერვიუში იუე აცხადებს, რომ იმედი აქვს, თავისი გუნდისთვის ფლეი ოფში მაინც შეძლებს დახმარების გაწევას.

*"მჯერა, რომ "მონრეალი" ფლეი ოფში მოხვდება. მინდოდა, სტენლის თასის საგზურის მოპოვებისთვის დავხმარებოდი, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს - ჩემი გუნდის მატჩებს ტრიბუნიდან უნდა ვადევნო თვალი. მახარებს ის, რომ ტრავმა არც ისე სერიოზული ყოფილა, როგორიც თავიდან ეგონათ და შესაბამისად, ფლეი ოფში თამაშის იმედი მაქვს"*, - ამბობს კრისტობალ იუე.

ჩოგბურთი

## ჰიუიტმა როტერდამი დატოვა

როტერდამის ტურნირზე მეშვიდე ნომრად განთესილმა ავსტრალიელმა **ლეიტონ ჰიუიტმა** მთავარი პრიზისთვის ბრძოლა აღარ მოინდომა. როგორც ტურნირის ორაგნიზატორებმა განაცხადეს, ჩოგბურთელმა თამაშზე უარი მარჯვენა ბარძაყის ტრავმის გამო თქვა. ჰიუიტის თქმით, მან ეს ტრავმა გასულ კვირას, მარსელის ტურნირის დროს მიიღო.

ძირითად ბადეში ავსტრალიელის ადგილი ჰოლანდიელმა **დენის ვან შეპინგენმა** დაიკავა, რომელმაც კვალიფიკაციის ფინალი წააგო.



ბარსელონა-ლივერპული. ბარსელონას ნაადრევი სიხარული

## ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩები

### ბარსელონა-ლივერპული 1:2

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, ბელეტი, მარკესი, პუიოლი, ძამბროტა, ჩავი (65. ჟიული), მოტა (54. ინიესტა), დეკუ, რონალდინიო, მესი, სავიოლა (82. გუდიონსენი).

**ლივერპული:** რეინა, არბელოა, აგერი, კარაგერი, რიისე, ფინენი, სისოკო (84. ზენდენი), ჩაბი ალონსო, ჯერარდი, ბელამი (80. პენანტი), კუიტი (90+4. კრაუჩი).

**გოლები:** 1:0 დეკუ (14), 1:1 ბელამი (43), 1:2 რიისე (74)

**მაყურებელი:** 95 000

**არბიტრი:** კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** ბარსელონა
**პირველი ჯარიმა:** ლივერპული
**პირველი კუთხური:** ბარსელონა
**პირველი თამაშგარე:** ლივერპული
**პირველი გაფრთხილება:** ლივერპული

| | | |
|---|---|---|
| 14(4) | **დარტყმა** | 7(5) |
| 17 | **ჯარიმა** | 28 |
| 6 | **კუთხური** | 2 |
| 2 | **გაფრთხილება** | 4 |
| 63% | **ბურთის ფლობა** | 37% |

### პორტუ-ჩელსი 1:1

**პორტუ:** ჰელტონი, ბოსინგვა, პეპე, ბრუნო ალვეში, ფუჩილე (65. ბრუნო მორაეში), ლუჩო გონსალესი, პაულო ასუნსაო, რაულ მეირელესი (56. მ. ჩეხი), ლისანდრო ლოპესი, კუარეშმა, ელდერ პოშტიგა (77. ადრიანო).

**ჩელსი:** პ. ჩეხი, რიკარდო კარვალიო, ესიენი, ტერი (13. რობენი/46. ობი მიკელი), ბრიჯი, მაკელელე, დიარა, ბალაკი, ლამპარდი, შევჩენკო (88. კალუ), დროგბა.

**გოლები:** 1:0 რაულ მეირელესი (12), 1:1 შევჩენკო (16)

**მაყურებელი:** 45 500

**არბიტრი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** ჩელსი
**პირველი ჯარიმა:** პორტუ
**პირველი კუთხური:** ჩელსი
**პირველი თამაშგარე:** პორტუ
**პირველი გაფრთხილება:** ჩელსი

| | | |
|---|---|---|
| 10(5) | **დარტყმა** | 15(3) |
| 8 | **ჯარიმა** | 16 |
| 3 | **კუთხური** | 4 |
| 1 | **გაფრთხილება** | 4 |
| 49% | **ბურთის ფლობა** | 51% |

### ინტერი-ვალენსია 2:2

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, კორდობა, მატერაცი, ბურდისო, სტანკოვიჩი, ფიგუ (89. სოლარი), კამბიასო (31. დაკური), ძანეტი, იბრაჰიმოვიჩი, კრესპო (68. კრუსი).

**ვალენსია:** კანისარესი, მიგელი, აიალა, ალბიოლი, მორეტი, ანგულო (83. ხოაკინი), მარჩენა, ალბელდა, სილვა (90+1. ხორხე ლოპესი), ვილია, მორიენტესი (76. უგო ვიანა).

**გოლები:** 1:0 კამბიასო (29), 1:1 ვილია (64), 2:1 მაიკონი (76), 2:2 სილვა (86)

**მაყურებელი:** 55 000

**არბიტრი:** მარტინ ჰანსონი (შვედეთი)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** ვალენსია
**პირველი ჯარიმა:** ვალენსია
**პირველი კუთხური:** ვალენსია
**პირველი თამაშგარე:** ინტერი
**პირველი გაფრთხილება:** ვალენსია

| | | |
|---|---|---|
| 20(10) | **დარტყმა** | 13(8) |
| 15 | **ჯარიმა** | 10 |
| 2 | **კუთხური** | 3 |
| 2 | **გაფრთხილება** | 2 |
| 49% | **ბურთის ფლობა** | 51% |

### რომა-ლიონი 0:0

**რომა:** დონი, პანუჩი, მექსე, ფერარი, ტონეტო, დე როსი, პისარო, ტადეი (84. ვუჩინიჩი), პეროტა, მანსინი (76. ვილჰელმსონი), ტოტი.

**ლიონი:** კუპე, კლერკი, კრისი, სკილაჩი, აბიდალი, ტიაგო, ტულალანი, ჟუნინიო, მალუდა, ფრედი (74. ბაროში), გოვუ.

**მაყურებელი:** 40 000

**არბიტრი:** მაიკლ რაილი (ინგლისი)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** რომა
**პირველი ჯარიმა:** ლიონი
**პირველი კუთხური:** ლიონი
**პირველი თამაშგარე:** რომა
**პირველი გაფრთხილება:** რომა

| | | |
|---|---|---|
| 9(2) | **დარტყმა** | 16(5) |
| 20 | **ჯარიმა** | 32 |
| 5 | **კუთხური** | 5 |
| 8 | **გაფრთხილება** | 3 |
| 49% | **ბურთის ფლობა** | 51% |



რომა-ლიონი. რომში უხეში თამაში იყო

# TV სპორტი

## 22 თებერვალი. ხუთშაბათი

### SPORT 1 (უკრაინა)

**08:08** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ჰამბურგი.
**09:58** სპორტკლუბი.
**10:22** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის მიმოხილვა.
**11:22** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. ბარსელონა-ლივერპული.
**13:12** მინი-ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი.
**13:29** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ინტერი-ვალენსია.
**15:21** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. პორტუ-ჩელსი.
**17:12** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის მიმოხილვა.
**18:12** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-სან ხოსე.
**19:58** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**20:30** სპორტინფორმი.
**20:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის მიმოხილვა.
**21:45** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. II მატჩი. ალკმაარი-ფენერბაჰჩე (LIVE).
**23:39** სპორტკლუბი.
**00:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. II მატჩი. აიაქსი-ვერდერი (LIVE).
**01:55** კრივი. ნოკაუტების დრო.
**02:45** მინი-ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი.
**03:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის მიმოხილვა.
**04:00** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ბაფალო-ოტავა (LIVE).
**06:36** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**07:36** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

### EUROSPORT

**11:30** თხილამურებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. სპრინტი. კვალიფიკაცია. საპორო. იაპონია (LIVE).
**12:30** მულტისპორტი.
**12:45** ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. სპრინტი. ბანსკო. ბულგარეთი (LIVE).
**14:00** თხილამურებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. სპრინტი. კვალიფიკაცია. საპორო. იაპონია.
**14:30** თხილამურებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. სპრინტი. ფინალი. საპორო. იაპონია (LIVE).
**16:00** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).
**17:30** ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. სპრინტი. ბანსკო. ბულგარეთი (LIVE).
**18:30** თხილამურებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. სპრინტი. ფინალი. საპორო. იაპონია.
**19:00** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).
**20:00** თხილამურებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. სპრინტი. ფინალი. საპორო. იაპონია.
**22:00** ფიგურული სრიალი. ოთხი კონტინენტის ჩემპიონატი. საჩვენებელი გამოსვლები. კოლორადო სპრინგსი. აშშ.
**00:00** კრივი. მ. მურერი (აშშ)-კ. კუსერი (აშშ). ჰოლივუდი. აშშ.
**01:45** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. II მატჩების მიმოხილვა.
**03:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩების მიმოხილვა.

### EUROSPORT-2

**10:30** ახალი ამბები.
**13:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. სტიაუა-სევილია.
**13:30** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. ლევერკუზენი-ბლექბერნი.
**14:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. ჰაპოელი-რეინჯერსი.
**14:30** მულტისპორტი.
**15:00** ახალი ამბები.
**17:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. ლევერკუზენი-ბლექბერნი.
**17:30** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. ჰაპოელი-რეინჯერსი.
**18:00** ლაკროსი.
**19:30** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. ლევერკუზენი-ბლექბერნი.
**20:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. ჰაპოელი-რეინჯერსი.
**20:30** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. სტიაუა-სევილია.
**21:00** ახალი ამბები.
**21:30** სნოუბორდი. მსოფლიო თასი. ნენდასი. შვეიცარია.
**22:00** სნოუბორდი. მსოფლიო თასი. ბარდონეკია. იტალია.
**22:30** ახალი ამბები.
**23:00** სნოუბორდი.
**00:00** სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი.
**01:00** ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ლისაბონი. პორტუგალია.
**02:00** ახალი ამბები.
**02:15** სნოუბორდი.
**03:15** ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### ინგლისი

**უოტფორდი-უიგანი 1:1**

**უოტფორდი:** ფოსტერი, დემერიტი, მაკეი, მარიაპა, ტიუარტი, კავალი (46. ბუაზა), ფრენსისი, მაჰონი, ჰენდერსონი, კაბა (62. ჰოსკინსი), ტ. სმიტი.

**ვიგანი:** ფილანი, ბეინსი, ბოისი, ჰოლი, ჯექსონი, რ. ტეილორი, ლანდზაატი, სკოკო, ფოლანი (55. კილბეინი), ჰესკი, მაკალოხი.

**გოლები:** 1:0 ჰენდერსონი (24), 1:1 ფოლანი (40)

**გაძევება:** ჰოლი (20. ვიგანი)

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 10(6)-17(3); **კუთხური:** 8-3; **თამაშგარე:** 4-2; **ჯარიმა:** 11-11; **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 18 338

**ევერტონი-ტოტენჰემი 1:2**

**ევერტონი:** ჰოვარდი, ლესკოტი, ფ. ნევილი, სტაბსი, იობო, არტეტა, კარსლი, ფერნანდესი (85. ჰიბერტი), ოსმანი, ანიჩებე (46. ნეისმიტი/90. ვონი), ბიტი.

**ტოტენჰემი:** რობინსონი, შიმბონდა, დოუსონი, გარდნერი, იან-პიო ლი, ჯენასი, ლენონი (80. მალბრანკი), ტაინიო, ზოკორა, ბერბატოვი, რობი კინი.

**გოლები:** 0:1 ბერბატოვი (35), 1:1 არტეტა (42), 1:2 ჯენასი (89)

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 13(3)-8(4); **კუთხური:** 5-1; **თამაშგარე:** 0-1; **ჯარიმა:** 7-14; **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 34 121

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩ. იუნ | 27 | 21 | 3 | 3 | 63-18 | 66 |
| 2. ჩელსი | 27 | 18 | 6 | 3 | 48-19 | 60 |
| 3. ლივერპული | 27 | 15 | 5 | 7 | 40-19 | 50 |
| 4. არსენალი | 26 | 14 | 7 | 5 | 48-22 | 49 |
| 5. ბოლტონი | 27 | 14 | 5 | 8 | 32-21 | 47 |
| 6. რედინგი | 27 | 13 | 4 | 10 | 41-34 | 43 |
| 7. პორტსმუთი | 27 | 11 | 8 | 8 | 36-26 | 41 |
| 8. ევერტონი | 27 | 10 | 9 | 8 | 33-25 | 39 |
| 9. ნიუკასლი | 27 | 10 | 6 | 11 | 34-36 | 36 |
| 10. ტოტენჰემი | 27 | 10 | 6 | 11 | 32-39 | 36 |
| 11. ბლექბერნი | 27 | 10 | 4 | 13 | 30-38 | 34 |
| 12. მიდლსბრო | 27 | 8 | 8 | 11 | 30-33 | 32 |
| 13. ასტონ ვილა | 27 | 7 | 11 | 9 | 28-33 | 32 |
| 14. ფულჰემი | 27 | 7 | 11 | 9 | 29-41 | 32 |
| 15. მანჩ. სიტი | 26 | 8 | 6 | 12 | 20-32 | 30 |
| 16. შეფილდი | 27 | 8 | 6 | 13 | 24-36 | 30 |
| 17. ვიგანი | 27 | 7 | 5 | 15 | 28-44 | 26 |
| 18. ვესტ ჰემი | 27 | 5 | 5 | 17 | 18-42 | 20 |
| 19. ჩარლტონი | 27 | 5 | 5 | 17 | 20-47 | 20 |
| 20. უოტფორდი | 27 | 3 | 10 | 14 | 16-38 | 19 |

### ჩემპიონშიპი

**დერბი-სტოკი 0:2**

### II ლიგა

**ჩესტერი-ბერი 1:0**

### LDV Vans Trophy

**ბრისტოლი-როვერსი 0:0**

### გერმანია

#### რეგიონალლიგა (ჩრ)

**დორტმუნდი II-სტ. პაული 0:1**
**ვილჰელმსჰავენი-ვერდერი II 2:1**

### შოტლანდია

#### II დივიზიონი

**ეირი-რეითი 0:2**

### ფინეთის ლიგის თასი

**ჰიკ-კტპ 2:1**
**მარიეჰამნი-ჰონკა 0:1**

## კალათბურთი

### ევროლიგა

**ცსკა-პარტიზანი 67:44**
**პანათინაიკოსი-ბარსელონა 102:82**
**ბენეტონი-დინამო 74:55**
**უნიკახა-არისი 76:74**

## ჰოკეი

### რუსეთი

**ავანგარდი-ხიმიკი 4:0**
**ტრაქტორი-მვდ 1:1 ო.ტ. 2:1**
**მეტალურგი (ნ)-ნეფტეხიმიკი 3:1**
**აკ ბარსი-სიბირი 3:1**
**დინამო-ლოკომოტივი 5:2**
**კრილია-ს. იულაევი 0:4**
**სკა-ლადა 2:2 ო.ტ. 3:2**
**ვიტიაზი-სევერსტალი 3:4**

## ჩოგბურთი

### ATP. ბუენოს აირესი

ჩელა-მარტინი 6:1, 6:3
აკასუსო-**ჰარტფილდი** 3:6, 0:6
ფერერო-**დევილდერი** 6:1, 6:7, 0:6
**ვასალო**-გალვანი 6:2, 6:4

### ATP. მემფისი

**გაბაშვილი**-კუზნეცოვი 5:7, 6:3, 6:4
კარლოვიჩი-**კერი** 3:6, 2:6

### ATP. როტერდამი

**ფერერი**-ვლიგენი 6:4, 6:2
კლემანი-**ჟიკელი** 4:6, 3:6
**სტეპანეკი**-ჰერნიჩი 6:2, 7:5
სიმონი-**კოლშრაიბერი** 3:6, 1:6
მონფილსი-**ვან შეპინგენი** 7:6, 4:6, 3:6

### WTA. დუბაი

**შნიდერი**-მოლიკი 4:6, 6:2, 6:4
**ჰანტუხოვა**-კირილენკო 2:6, 6:4, 7:6
სუგიამა-**დანილიდუ** 7:5, 1:6, 5:7
**კუზნეცოვა**-შონესი 6:1, 7:6
**იანკოვიჩი**-სანტანჯელო 6:3, 7:5
**მორესმო**-დუშევინა 6:2, 6:2
**ანენი**-პაჩეკი 4:6, 7:5, 6:1
**ჰინგისი**-მედინა გარიგესი 5:7, 6:3, 6:4

### WTA. მემფისი

**სტოსური**-პინი 6:2, 6:7, 6:1
პერი-**მატეკი** 2:6, 1:6
**გრენვილი**-გაიდოშოვა 7:5, 3:6, 7:5
პრატი-**არვიდსონი** 7:5, 4:6, 3:6

დღეს ავტორად გვყავს ფიზიკოსი არჩილ გარიშვილი, რომელიც აქამდე არაერთხელ ნახსენებ თბილისის ფორუმზე აღმოვაჩინეთ ამასწინათ - ხელბურთის თემაში თავის შთაბეჭდილებებს გვიზიარებდა გერმანიიდან. ამ ახალგაზრდა კაცს საქართველოს ჩემპიონატშიც უთამაშია "თბილისის" მეკარედ, მერე კი სასწავლებლად გერმანიაში წავიდა და იქაური მეოთხე ბუნდესლიგის კლუბშიც თამაშობს. მეოთხეზე ირონიულად ნუ ჩაიცინებთ - წაიკითხეთ და ნახავთ გერმანული ხელბურთის ამბებს.

ამ ქვეყანაში ამასწინათ დასრულდა ხელბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი. ნამდვილი მუნდიალი, რომელიც გერმანელებისთვის არაფრით ჩამოუვარდებოდა ფეხბურთის ანალოგიურ, შარშანდელ ტურნირს. ამას ჩვენი ავტორის მონათხრობიდანაც შეიგრძნობთ და აქ მოყვანილი ფოტოებიდანაც. ოლიმპიურმა ჩემპიონმა, რობერ ვან დე ვალემაც გვითხრა ამასწინათ, სპორტი მარტო ფეხბურთი არააო.



გარიშვილი საინტერესოდ ჰყვება მუნდიალის ამბებსა და ბუნდესლიგების სტრუქტურაზე, მე კი მინდა, რომ მისი ერთი ფრაზისთვის მიგაქცევინოთ ყურადღება - გერმანიაში სახელმწიფო ფინანსურად თითქმის არ ეხმარება სპორტულ კლუბებს!

გასაგებია, რომ იმ ქვეყანამდე ჯერ ბევრი გვიკლია, მაგრამ მაინც ნიშანდობლივი ნათქვამია. საერთოდ, ევროპაში სპორტის მოწყობის საკითხები ძალიან საინტერესო უნდა იყოს. ამ თემაზე...

არა, ჯერ ხელბურთს დავუბრუნდეთ. გუშინ სტუმრად გვყავდა ძველი ლელოელი, გოგი ჩოჩიშვილი. ამ რუბრიკისთვის რას დაგვიწერდა, იმაზე ვსაუბრობდით. მისი მთავარი სახეობა მძლეოსნობა იყო, მაგრამ ჩვენთვის მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ გოგი ყოფილა ალექსანდრე ანპილოგოვის ძველი მეგობარი. თურმე ერთად სწავლობდნენ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

ახლა არ მითხრათ, რომ არ იცით, ვინაა ეს კაცი!

ცეესკას ვეთამაშებით. დრო ამოწურულია. ერთი ბურთით ვაგებთ და დაგვრჩა ერთი ცხრამეტრიანი დარტყმა. შვიდი კი არა, ცხრა! მთელი იმათი გუნდი, ექვსი კაცი დგება ცოცხალ კედელში. ხელები ყველას მაღლა აქვს აწეული. ანპილოგოვს ახტომის უფლება არა აქვს, ადგილიდან უნდა დაარტყას, ექვს კაცში უნდა გააძვრინოს და კარში კიდევ მეშვიდე, მეკარე დგას. აქედან გატანა დაახლოებით ისაა, ფეხბურთში კარიდან კარში რომ შეაგდო.

მაყურებელი უკვე წამოიშალა. ერთი ცრუ მოქნევა, დარტყმა და... ყველაზე სულსწრაფებს უკვე სპორტის სასახლის გასასვლელში მიეწიათ დარბაზის გრგვინვა. 19:19! ანგარიშიც კი დამამახსოვრდა.

აი, ესეც პარალელი ქართულ და გერმანულ სახელბურთო ცხოვრებას შორის. ჯერჯერობით მხოლოდ წარსულიდან, მაგრამ მაინც...

**მამუკა ჩიხლაძე,**
**კოორდინატორი**



ალექსანდრე ანპილოგოვი




მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი. გერმანია-პოლონეთი

# გერმანული პარალელები... საქართველოსთვის



**არჩილ გარიშვილი**

ტვ-ვაიდენის მეკარე

**ახლახან გერმანიაში მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა ხელბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი. რაკილა ამ ქვეყანაში ვთამაშობ და ვცხოვრობ, საშუალება მქონდა, თითქმის მთელ მუნდიალს დავსწრებოდი. მინდა, შთაბეჭდილებები თქვენც გაგიზიაროთ, ხოლო თანამედროვე და ქართულ ხელბურთს შორის პარალელების გავლება მკითხველისთვის მიმინდვია.**

დავიწყოთ გერმანიის მსოფლიო ჩემპიონობით. ჩემი აზრით, ეს ადვილად პროგნოზირებადი იყო და ახლავე აგიხსნით, რატომაც. მასპინძელთა ჩემპიონობაში, მთავარი "დამნაშავეა" გერმანიის ჩემპიონატის სუპერდონე და, საერთოდ, გერმანული ხელბურთის სისტემა. აქაური უმაღლესი, ანუ ბუნდესლიგა 18-გუნდიანია და მთელ მსოფლიოში რომ საუკეთესოა, არავინ კამათობს. პლანეტის თითქმის ყველა საუკეთესო ხელბურთელი აქ თამაშობს.

მერე მოდის ასევე 18-18-გუნდიანი ჩრდილოეთისა და სამხრეთის მეორე ბუნდესლიგები. მესამე დონეა - 8-9 ლიგა, უკვე რეგიონების მიხედვით დაყოფილი, თითოეულში 10-დან16 კლუბამდე. ამის შემდეგ ათამდე მეოთხე ლიგაა, საიდანაც ერთ-ერთში მეც ვთამაშობ. თითოეულ ლიგაში, საშუალოდ, 14 გუნდია. თქვენ გგონიათ სულ ეს არის? არა, მეოთხეს შემდეგ, მეხუთე და მეექვსე ლიგებია, რაც ბავშვთა ლიგებით მთავრდება. შთამბეჭდავია ხომ?

აქედან, სუფთა პროფესიულია პირველი და მეორე ბუნდესლიგები, დანარჩენები კი შერეულია. მაგალითად, შესაძლოა, ქვედა ლიგის გუნდმა მონახოს მძლავრი სპონსორი, გაპროფესიულდეს და უმაღლეს ლიგაში გადასვლისთვის დაიწყოს ბრძოლა. ამავე დროს, გერმანიაში არც ავტორიტეტებს ცნობენ და თუკი გუნდი ფინანსურ მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებს, რა მიღწევებიც ჰქონდეს, უმალ მკაცრად ისჯება. ამის დასტურად, ერთ შემთხვევას მოვიყვან: ბუნდესლიგურმა "ტუსემ-ესენმა" 2002 წელს მოიგო ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასი, თუმცა, მერე მალევე გაკოტრდა, მოთამაშეებს საკონტრაქტო ვალდებულებებს ვერ უსრულებდა და მესამე ბუნდესლიგაში ამოაყოფინეს თავი.

ჩემი გუნდი "ტვ-ვაიდენი" პატარა ქალაქ ურზელენის კლუბია (ტვ ტელევიზია არ გეგონით, სპორტული საზოგადოების აბრევიატურაა). აქ სულ 20 ათასამდე მცხოვრებია. მიუხედავად ამისა, ჰყავთ ხელბურთის გუნდები – სამი კაცების, ერთი ქალების და ორიც ბავშვთა. ამის გარდა - ბადმინტონის, ქალთა ფეხბურთის, სპორტული ცეკვების და მაგიდის ჩოგბურთის კლუბები. ყველა ძალიან კარგად ერკვევა სპორტში, ქუჩაში ბავშვებიდან დაწყებული და მოხუცებით დამთავრებული, ყველა გვცნობს სპორტსმენებს. "ვაიდენის" სახელბურთო გუნდს აქვს თანამედროვე დარბაზი, სადაც 700 მაყურებელი ეტევა და ყველა საშინაო მატჩში პირთამდე ივსება. ამას გარდა, სპეციალური ავტობუსია გამოყოფილი და 50-მდე გულშემატკივარი გასვლით მატჩებზეც დაგვყვება ხოლმე. ახლა წარმოიდგინეთ, ერთი ციდა დასახლებაში რომ ასე დუღს და გადმოდუღს სპორტული ცხოვრება, დიდ გერმანულ ქალაქებში რა იქნება. ბუნდესლიგის ჩემპიონატის ბილეთს, უბრალოდ, ვერ იშოვნი, თუ რომელიმე კლუბში ნაცნობი არ გყავს...

უშუალოდ ბუნდესლიგის დონესა და ამ ლიგაში მოასპარეზე კლუბების სიძლიერეზე მხოლოდ ორიოდე სიტყვითაც შეიძლება თქმა: ზღაპრული გარემო, ზღაპრული პირობები. თუმცა, ერთიც უნდა ითქვას: ფეხბურთისა თუ კალათბურთისაგან განსხვავებით, ხელბურთში გრანდებს გაცილებით მოკრძალებული ფინანსური შესაძლებლობები აქვთ. თუკი ფეხბურთში რომელიმე სუპერკლუბში 5-6 სეზონს გაატარებ, მერე შეგიძლია არხეინად წამოწვე და უზრუნველი დანარჩენი ცხოვრება განაღდებული გექნება, ხელბურთში ასე არ ხდება. ჩვენთან, ეგრეთ წოდებული "ვარსკვლავური ხელფასი" დაახლოებით, 25-30 000 ევროა თვეში. ეს საქართველოში, რა თქმა უნდა, დიდი ფულია და ევროპაშიც არა უშავს, მაგრამ არა იმდენი, რომ მთელი ცხოვრება იმყოფინო.

ამიტომაც, ხელბურთელები მიუხედავად თავიანთი დონისა, თამაშის პარალელურად, ისეთი ხელობის დაუფლებასაც ცდილობენ, კარიერის შემდეგ რომ მიჰყვებიან. ახლა გვარი არ მახსენდება, მაგრამ ერთი ხელბურთელი იყო, გერმანიის ნაკრების მოთამაშე, რომელიც კარიერის დასრულების შემდეგ, მთელ ქვეყანაში ცნობილი ადვოკატი გახდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ გერმანიაში სახელმწიფო ფინანსურად თითქმის არაფრით ეხმარება გუნდებს. ყველა კლუბი თუ სკოლა თავად ეძებს სპონსორს.

გერმანული ხელბურთის დონეზე ალბათ უკვე შეგიქმნით წარმოდგენა. კიდევ ერთი მიზეზი, რამაც გერმანელების მსოფლიო ჩემპიონობაში დიდი როლი ითამაშა, ეს იყო საკუთარი კედლების ფაქტორი. გერმანიაში ყველაზე პოპულარული სახეობაა ფეხბურთი, მერ მოდის ფორმულა-1 და მესამეა ხელბურთი. თუმცა, მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას, აშკარად ჩანდა, რომ ხელბურთი ყველა გერმანელისთვის პირველ ადგილზე იდგა. კაფე-ბარებსა თუ რესტორნებში ყველა ხელბურთს უყურებდა და ადგილობრივი ტელეეთერიც უდიდესი ნაწილიც ხელბურთს ეთმობოდა. პროფესიით ფიზიკოსი ვარ, თამაშის პარალელურად, იულიხის დიდი კვლევითი ცენტრის ასპირანტურაში ვსწავლობ. ამ ცენტრის დირექტორი ძალიან არასპორტული კაცია. ჰოდა, ძალიან გაგვიკვირდა, როცა გერმანია-სლოვენიის მატჩის შემდეგ, სლოვენიის ნაკრების ლიდერის გვარი იკითხა – ის ვინ იყო, ძალიან მაგრად გვეთამაშაო. მოკლედ, ხელბურთს გერმანიაში ყველა უყურებს – ისეთი ხალხიც კი, როგორიც ჩემი შეფია.

გერმანიის ნაკრების წარმატებაში დიდი როლი ითამაშა მეკარის ძალიან ძლიერმა თამაშმაც. საფრანგეთსა და ესპანეთთან გერმანელებს გამოცდილმა მეკარე ჰენინგ ფრიცმა მოაგებინა. მან საფრანგეთს სამივე პენალტი აუღო. საინტერესოა ისიც, რომ ფრიცი ამჟამად, "ტვკილში" მხოლოდ მესამე მეკარეა. ამ გუნდში მთავარი გოლკიპერი ფრანგია. უბრალოდ, ფრიცი საკმაოდ გამოცდილია, ბოლო 6-7 წელია, გერმანიის ნაკრების პირველი მეკარეა და ამიტომაც ენდნენ.

ჰო, მართლა, მეკარეები ვახსენეთ და, ისლანდიის ნაკრების ქართველ გოლკიპერ როლანდ ერაძეზეც ვთქვათ. სამწუხაროდ, უშუალოდ როლანდის ნახვა ვერ მოვახერხე, მაგრამ ტელევიზორში ვუყურებდი. ორი მატჩი ჩაატარა და საკმაოდ მაღალ დონეზეც. ასაკის მიუხედავად, როლანდი კვლავ ჩინებულად გამოიყურება. მას ევროპის საუკეთესო მეკარეთა ათეულში შევიყვანდი...

მსოფლიო ჩემპიონატმა კიდევ ერთხელ ნათლად დაგვანახა, რომ დღეს, დიდ წარმატებებს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევ, თუ გუნდში გყავს 14 თანაბარი ძალის ხელბურთელი. 7, 8 და თუნდაც 10 მოთამაშით ფონს ველარ გახვალ. შორს რომ არ წავიდეთ, საქართველოს ნაკრების ბოლო საკვალიფიკაციო ციკლი ავიღოთ, სადაც, ძირითადად, სწორედ 7-8 მოთამაშეს უწევდა თამაში და შედეგიც სახეზეა - ბულგარეთმაც კი გვაჯობა...

ჩანაწერი: კობა ხატისაშვილი

ლელო
ეროვნული სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ზაძარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, აზ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა